ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ორშაბათი, 23 მარტი, 2009 №15 (3508) | ფასი 1 ლარი


## გმირები

კვირიკაშვილი
მაჩხანელი
კაჭარავა
გიორგაძე
ურჯუკაშვილი
მალაღურაძე
აბუსერიძე
გორგოძე
ჩხაიძე
ლაბაძე
დათუნაშვილი
ზედგინიძე
შველიძე
ნატრიაშვილი
ხინჩაგიშვილი
ქუბრიაშვილი
ურუშაძე
ფეიქრიშვილი
ბასილაია
სამხარაძე
თოდუა
ბარკალაია
ტიმ ლეინი

**რუსეთი 21:29 საქართველო**

**რუსეთი:** კლიუჩნიკოვი, კუზინი, ბაბაევი, ტრიშინი, გვოზდოვსკი; კუშნარიოვი, შაკიროვი; გარბუზოვი, ოსტრიკოვი, გრეჩევი, კულიომინი, ვოიტოვი, პრიშჩეპენკო, კორშუნოვი (კაპ), ხროკინი
სათადარიგონი: მარჩენკო, ბოტვინიკოვი, ტრავკინი, ფარტახოვი, იანუშკინი, მატვეევი, არტემიევი
მწვრთნელი: ნიკოლაი ნერუში
2ლ: გვოზდოვსკი; 1გ: კუშნარიოვი; 3ს: კუშნარიოვი

**საქართველო:** კვირიკაშვილი, მაჩხანელი, კაჭარავა, ი. გიორგაძე, ურჯუკაშვილი; მალაღურაძე, აბუსერიძე (კაპ); გორგოძე; ჩხაიძე, ლაბაძე, დათუნაშვილი, ზედგინიძე, შველიძე, ნატრიაშვილი, ხინჩაგიშვილი
შეცვლაზე შევიდნენ: ქუბრიაშვილი, ურუშაძე
არ შესულან: ფეიქრიშვილი, ბასილაია, სამხარაძე, თოდუა, ბარკალაია
მწვრთნელი: ტიმ ლეინი
5ლ: მალაღურაძე, ლაბაძე, ურჯუკაშვილი, ხინჩაგიშვილი, მაჩხანელი; 2გ: კვირიკაშვილი
სინბინი: მალაღურაძე

**რუმინეთი 21:22 პორტუგალია**

| | თ | მ | ფ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 5 | 4 | 1 | 0 | +90 | 14 |
| პორტუგალია | 5 | 3 | 1 | 1 | +40 | 12 |
| რუსეთი | 4 | 3 | 0 | 1 | +32 | 10 |
| რუმინეთი | 5 | 2 | 0 | 3 | +16 | 9 |
| ესპანეთი | 5 | 1 | 0 | 4 | -74 | 7 |
| გერმანია | 4 | 0 | 0 | 4 | -104 | 4 |

# ქართველებმა მედვედევის მედვედები დაალილავეს!

**საქართველო** — რუსეთის სარაგბო ომში „ბორჯღალოსნებმა" კიდევ ერთი დაუვიწყარი ბრძოლა მოუგეს „დათვებს". არ შეიძლებოდა ახლა წაგება ამ მოძალადე ქვეყნის შვილებთან. ეს ხომ ის ქვეყანაა, რომელიც მხოლოდ უხეშ ძალას სცემს პატივს. ჰოდა, კიდევ ერთხელ იგრძნოს და იცოდეს თავისი ადგილი — რაგბიში, ამ ყველაზე ვაჟკაცურ სპორტში „დათვი" ვერ არის ქართველის დონის.

ქართველი მორაგბეებისთვის რუსებთან თამაში თამაშზე მეტია და მოედანზე გასულ ყოველ მათგანს ეს განწყობა ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. სატურნირო თვალსაზრისით სულ რომ არაფერს გვარგებდეს, მაინც უნდა მოვუგოთ და არ უნდა დავავიწყოთ, ოვალური ბურთისთვის ქართველის და რუსის ჯახში ვინაა მოედანზე უფრო ძლიერი, ჭკვიანი, მოხერხებული და ვაჟკაცი!

გუშინ ქართველებმა რუსებს ეს 13 შეხვედრაში მეთერთმეტედ ანახეს. ისე დაჩაგრეს, როგორც ყოველთვის ჩაგრავდნენ და ისევ თავჩალუნულები გააბრუნეს უკან. არადა, სატურნიროდაც უმნიშვნელოვანესი თამაში იყო. რუსები წაუგებლად მოვიდნენ ჩვენამდე, მოიგეს ორი ძნელი გასვლა პორტუგალიასა და რუმინეთში და პირველობის პრეტენზიით გულმოცემულებმა სცადეს ქართული კომპლექსის, უფრო კი შიშის გადალახვა.

მატჩი ნეიტრალურ მოედანზე კი გაიმართა, მაგრამ რა მასპინძლობა გასწიეს რუსებმა? მერამდენედ მოიქცნენ არაკაცურად: სტუმარ გუნდს არ დაახვედრეს სავარჯიშო მოედანი. თითქოს მაღალი დონის საერთაშორისო მატჩს კი არა, კრასნოდარის უბნების ჩემპიონატის უგემურ წიხლაობას ატარებდნენ...

მატჩი ნომინალური მასპინძლების საჯარიმოთი დაიწყო. კლიუჩნიკოვმა 3:0 დააწინაურა თავისიანები, მაგრამ ქართველებმა შემდეგი 40 წუთი შავი დღე აყარეს რუსებს და ზედიზედ გაუტანეს ოთხი ლელო. პირველად რუსული დაცვა ლაშა მალაღურაძემ შეგლიჯა, რასაც წინ უსწრებდა „ბორჯღალოსანთა" რამდენიმეწუთიანი, დაახლოებით 12-ფაზიანი შეტევა. შემდეგი ლელო ვეტერანმა გია ლაბაძემ მიითვალა, როცა რუსებმა თავიანთი აუტის მოგების შემდეგ ბურთი გიორგი ჩხაიძეს ჩააბარეს. მესამე ლელო განსაკუთრებით ლამაზი იყო — მერაბ კვირიკაშვილმა დაკიდებული ბურთი წაიღო, მეტოქეს ხაზი გაუჭრა და მალხაზ ურჯუკაშვილს უპასა.

ტაიმი ქართველთა სრული უპირატესობით გაილია — 19:6. მეორე კი დავით ხინჩაგიშვილის ძალისმიერი ლელოთი დაიწყო. არაფრის შანსი არ უჩანდა რუსეთს. საქართველო 24:6 იგებდა და ეს ანგარიში სწორედ რომ ადეკვატურად ასახავდა ძალთა ფარდობას.

რუსებმა ანგარიშის შერბილებაც შეძლეს და ამაში ფრანგ მსაჯთან ერთად ქართველებიც დაეხმარნენ თავიანთი შეცდომებით. დიდიე მენემ ლამის დაარღვია ქართველთა და რუსთა შორის წლობით ნაყალიბები ფარდობა. ის ძალზე ხშირად აჯარიმებდა დაცვაში ქართველებს, რუსთა ნახევარზე კი ჩვენს სასარგებლოდ ერთი ჯარიმაც არ დაუდია. 63-ე წუთზე მან ზედმეტად მკაცრად დასაჯა მალაღურაძე და რაქში ბურთის შეფერხებისთვის 10 წუთით გააძევა.

ქართველები ისედაც მოშვებულები იყვნენ და რუსებს ინერტული დაცვით დახვდნენ. მერეც, მამუკა გორგოძემ ზედმეტი აილო თავზე და ჩვენი 22-მეტრიანი მოედნიდან შერკინებიდან გამოტანილი ბურთის ხელით ამოტანა ითავა. ის ბურთი დაიკარგა და მალევე ლელოც მივილეთ. ცუდად შეცდა ურჯუკაშვილიც, რომელმაც ასევე საკუთარ 22-ში დაჭერილი ბურთი ფეხით კი არ მოიგერია, ხელდახელ განიზრახა წაღება, მაგრამ განდაგან წასული უცერემონიოდ შებოჭეს რუსებმა. მახოს ასეთი უხეში შეცდომა პირველად არ მოსდის. ხუთიოდ წლის წინ რუმინეთი და სხვანი ამისთვის მწარედ გვსჯიდნენ...

ეს რუსეთი თამაშებს კი იგებს, მაგრამ ჩვენდა ბედად, მაინც უკლასოა და მხოლოდ 21:24 შეამცირა სხვაობა.

მაგრამ მაინც ლამაზად დასრულდა ყველაფერი. წერტილი მაინც ქართველებმა დასვეს და პირველ ტაიმში მოგებული თამაში ბოლო წუთზე ირაკლი მაჩხანელის ლელოთი დაიბოლოვეს.

ამგვარად, საქართველომ პირველი ადგილით დაასრულა წლევანდელი საერთათასო სეზონი. ერთი სასიამოვნო სიახლეც: მსოფლიო რეიტინგში მეცამეტე ადგილიდან ტონგა ჩამოვაგდეთ. „ბორჯღალის გუნდისთვის" ეს სარეკორდო სიმაღლეა!

**ირაკლი ფირაშვილი**



„ბორჯღალოსნების" მარიუპოლური გამარჯვების ყიჟინა

## დათვი და რქიანი გინახავთ? ვეღარც ნახავთ, რადგან ბორჯღალოსნებმა უკვე მოამტვრიეს



# სია არის, მაგრამ...

**გამოძახება** ადვილია, მაგრამ ჩამოსვლა და გამოყენებაა ძნელი. ექტორ რაულ კუპერმა 22 რჩეული გამოაცხადა, თუმც ამათგან ზოგს ტრავმის კვალი აქვს, ზოგი საერთოდ უთამაშებელია.

სირაძე და მჭედლიძე: თუ კუპერის სტრატეგიას დავაკვირდებით, ერთ-ერთი აუცილებლად ძირითადში იქნება, მაგრამ ვაი, რომ პირველი უგუნდოდაა, მეორე კი ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ არის, რადგან ტრავმა ახალი მორჩენილი აქვს.

კუპერმა ამჯერად უარი თქვა რატი ალექსიძეზე და ზესტაფონელი ნიკა გელაშვილით ჩაანაცვლა, რომელიც ჩვენს ჩემპიონატში გამორჩეულთაგანი ფორვარდია.

კუპერი სწორად მოიქცა, რომ ამჯერად ერთი გუნდიდან ორი მეკარე აღარ იხმო. როინ კვასხვაძე გრიგოლ ბედიაშვილით შეცვალა. თუმც ეს მაინც პირობითია: მთავარმეკარე ხომ გიორგი ლომაიაა.

და, რა თქმა უნდა, სიაში არ არიან მალხაზ ასათიანი, ალეკო ამისულაშვილი, დავით დევდარიანი და კიდევ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, რომლებიც, საერთო აზრით, გამოძახებულთაგან რამდენიმეს ჯობნიან.

*მეკარეები:* გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), გრიგოლ ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ზურაბ მამალაძე (ზესტაფონი);

*მცველები:* უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), გურამ კაშია (დინამო), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), გიორგი შაშიაშვილი (შტურმი, ავსტრია), დავით კვირკველია (რუბინი, რუსეთი);

*ნახევარმცველები:* დავით ოდიკაძე (დიორ ეტო, უნგრეთი), ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია), ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), ლევან ხმალაძე (დინამო), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ლევან ყენია (შალკე, გერმანია);

*თავდამსხმელები:* ბექა გოცირიძე (დნიპრო, უკრაინა), ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), გიორგი მერებაშვილი (დინამო), ლევან მჭედლიძე (პალერმო, იტალია), დავით სირაძე (უგუნდოდ), ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი).

**ილია ნანობაშვილი**

# სირაძე რუმინულ ტაძარში

**ბუქარესტის** „სტიაუამ" აწი ველარაფერს რომ ვერ მიაღწიოს, ფეხბურთის ისტორიაში მაინც წარმტაცი დარჩება. პირველი აღმოსავლეთევროპული კლუბია, რომელმაც ჩემპიონთა თასი მოიგო.

და რაც უნდა ძლიერი იყოს რუსული პრემიერლიგა, ნალჩიკის „სპარტაკიდან" ოდესღაც „ბარსელონას" მძლეველ კლუბში გადასვლა წარმატებული ნაბიჯია.

დავით სირაძეზე ვამბობთ...

სირაძეს ნალჩიკელებთან კონტრაქტი აღარ აკავშირებს, ამდენად ნებისმიერ დროს შეუძლია სხვა კლუბში გადასვლა და სანაკრებო მატჩების შემდეგ, 2 აპრილს ჩვენიანი ბუქარესტში ჩავა.

გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრების ფორვარდი „სტიაუასთან" კონტრაქტს გააფორმებს, რითაც უკლუბოდ ყოფნას ბოლოს მოუღებს.

სირაძეს ერთი თვის წინ გროზნოს „ტერეკში" გადასვლა ჩაეშალა.

„სტიაუას" წარსულზე ვთქვით, ხოლო ახლა ეს კლუბი რუმინეთის ჩემპიონატში უჩვეულო, მეშვიდე ადგილზეა. არადა, მოქმედი ჩემპიონია და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც ითამაშა.

**ილია ნანობაშვილი**

# გალათასარაის კობი მოსდომებია

**საინტერესო** ამბავი: ლევან კობიაშვილით თურქული „გალათასარაი" დაინტერესდა, ოღონდ ეს ინფორმაცია ერთ-ორ გერმანულ ვებგვერდს ჯერ არ გასცილებია.

„კობი" „შალკესთვის" ძალიან მნიშვნელოვანი კაცია და მგონი, ერთადერთია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში „ხუმარების" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია, თუმცა „გალაც" არ უნდა იყოს ნაკლები.

ცნობილია ისიც, რომ თურქეთის წამყვანი კლუბი საკმაოდ აქტიურია გერმანულ ბაზარზე, „შალკედანაც" აუყვანია ფეხბურთელები, მათ შორის, ბრაზილიელი ლინკოლნი.

ისე კი, ლევანით შარშანაც იყო დაინტერესებული თურქული კლუბი, ოღონდ, „ბეშიქთაში".

**ილია ნანობაშვილი**

## ქართველები უცხოეთში

# ევრო-გოლი აქა-იქ

**ინგლისი:** ზურაბ ხიზანიშვილი კვლავ უქმადაა. ვერ გეტყვით, რა მოუვიდა თავში „ბლექბერნის" თავკაც სემ ალარდაისს, მაინცდამაინც „არსენალთან" გასვლაზე რომ ათამაშა ჩვენიანი, ამჯერად კი ისევ სკამიდან აყურებინა მატჩს. „ვარდები" 1:1 გაეყარნენ „ვესტ ჰემს" და ჯერაც საშიფათო ზონაში არიან.

**იტალია:** სასიხარულო ინფორმაცია ჩვენთვის და ექტორ კუპერისთვის: ლევან მჭედლიძემ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ითამაშა. „კიევო" — „პალერმოს" მატჩში (1:0) შესვენების შემდეგ გამოვიდა მინდორზე, თუმც ანგარიში ვერც მან შეცვალა და ვერც სხვა რომელიმე პალერმოელმა.

**უკრაინა:** ქართველების დერბი შეიძლებოდა, ყოფილიყო დნეპროპეტროვსკში, ოღონდ „დნიპროს" ბექა გოცირიძე მინდორზე მაშინ შეიყვანეს, როცა „კარპატის" ლიდერი სანდრო გურული უკვე გასული იყო. გურულმა ძირითადში დაიწყო, მაგრამ 27-ე წუთზე ტრავმის გამო შეცვალეს. გოცირიძე კი 84-ე წუთზე, 0:0-ისას შევიდა მინდორზე და ბოლოს მაინც მიაღწიეს მისიანებმა საწადელს: გადამწყვეტი გაიტანეს. რაც შეეხება დნიპროელთა სხვა ქართველებს, ჯაბა კანკავასთვის სეზონი დამთავრდა, სანდრო კობახიძე კი 18-კაციან განაცხადში ვერ ხვდება.

ვასილ გიგიაძე-ლადო ბურდულის „ტავრიამ" დონეცკის „მეტალურგს" 4:1 „ამოსცხო", თუმც გიგიაძე მხოლოდ ბოლო წუთებში ათამაშეს, ბურდული კი განაცხადში არ ყოფილა.

უხელფასოდ მოთამაშე „ზარიამ" ოდესის „ჩერნომორეცი" ისტუმრა და 2:1 სძლია. მოგებულთაგან გიორგი ციმაკურიძემ ითამაშა, 51-ე წუთზე შეუშვეს მინდორზე.

**ავსტრია:** როგორც იქნა, მოიგო „შტურმმა". საშინელი სერიის შემდეგ გრაცელებმა შინ „მატერსბურგს" 1:0 აჯობეს და გიორგი შაშიაშვილ-ილია კანდალაკიც საქმეში იყვნენ, შეუცვლელად ითამაშეს. ქართველების გუნდი მეოთხე ადგილზეა და ისე ჩანს, სამეულში შესვლა ძალიან გაუჭირდებათ, თუმც მდევრებსაც საკმაოდ უსწრებენ.

**უნგრეთი:** დავით იმედაშვილმა პირველი უნგრული გოლი მიითვალა. „ნიირედიჰაზა" სწორედ 24 წლის ქართველის გოლით დაწინაურდა — მე-8 წუთზე. „კეჩკემეტისთან" მატჩი კი 3:3 დასრულდა. იმედაშვილის გუნდი მეცხრეზეა.

მეათეზე კი დავით ოდიკაძე-რატი ალექსიძის „დიორ ეტოა", რომელიც შინ „კაპოშვართან" ფრეს (1:1) დასჯერდა. „ოდომ" სრულად ითამაშა, რატი კი პირველი ტაიმის მერე შეცვალეს, თუმც გატანილი გოლი მისი დამსახურებაც იყო. დაარტყა, მეკარეს ბურთი ხელიდან გაუვარდა და თანაგუნდელმა მარჯვედ დაამატა.

**ლატვია:** ლადო დვალიშვილს წინა ტურის მსგავსად ჰეთ თრიქი არ გაუფორმებია, მაგრამ უგოლოდ მაინც არ დაშვრა. „სკონტომ" სწორედ მისი სწრაფი გატანილით სძლია „ტრანზიტს". დვალიშვილმა და მისმა თანაგუნდელმა დავით გამეზარდაშვილმა სრულად ითამაშეს.

ჩემპიონმა „ვენტსპილსმაც" მოიგო: „ოლიმპსთან" 1:0. ზურაბ მენთეშაშვილი 90 წუთი საქმეში იყო.

**გერმანია:** სამწუხაროდ, ალექსანდრე იაშვილი ღრმა სათადარიგოდ იქცა „კარლსრუეში", მისიანებმა კი მიუნხენის „ბაიერნს", ცხადია, ქულები ვერ დასცინცლეს. „იაშის" გუნდმა სტუმრად 0:1 დათმო. ქართველი მინდორზე არ შესულა.

„შალკემ" შინ 1:2 დათმო „ჰამბურგთან" და სასწაული თუ გაიყვანს ევროტურნირზე. ლევან კობიაშვილი ძირითადში იყო და 78-ე წუთზე, 0:2-ისას შეცვალეს კრისტიან პანდერით.

მეორე ბუნდესლიგაში ლიდერი „ფრაიბურგი" დღეს თამაშობს, ქართველებიდან კი სხვას ვის უნდა ებურთავა, თუ არა დავით თარგამაძეს? „ვეენის" ლევან ცქიტიშვილს კუნთი აწუხებს, ოთარ ხიზანეიშვილის „აუგსბურგის" განაცხადში მოხვედრა უკვე ზღაპრად იქცა, თუმც სიახლეც არის: მათე ღვინიანიძე ტრავმისგან განიკურნა.

**რუსეთი:** ლევან გვაზავამ პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა „ტერეკში", 90 წუთი ჩაათამაშა სტუმრად „მოსკვასთან" (0:0) და გროზნოელთა მთავარმომენტის შემოქმედიც სწორედ ის იყო: მეკარესთან პირისპირ გაიყვანა რაიმ სადაევი, მაგრამ...

ლევანმა ყვითელიც მიიღო.

მოსკოვის „ლოკომოტივი" შარშანდელივით ცოდვილობს, ვერც ამჯერად მოიგო — 1:1 „როსტოვთან". დავით მუჯირმა ითამაშა და ყვითელი ბარათიც დაიმსახურა.

ნალჩიკის „სპარტაკმა" შინ 0:0 გააზერხა ყაზანის „რუბინთან". ოთხმა ქართველმა ითამაშა და სრულად მხოლოდ ალეკო ამისულაშვილმა. გოგიტა გოგუა ყაბარდოელთა შორის მე-80 წუთზე გამოჩნდა და ბოლო წუთებზე რამდენჯერმე მწვავედ შეუტია. „რუბინში" კი დავით კვირკველიამ და ლაშა სალუქვაძემ ტაიმები გაიყვეს — მეორემ პირველი შეცვალა.

**დანია:** დავით დევდარიანმა პირველი ტაიმი ითამაშა „ორჰუსში", მისიანებმა „ესბიერგთან" 0:1 დათმეს და მართალია, გასავარდ ადგილზე არ არიან, მაგრამ თავი ქუდშიც არ აქვთ.

რანგით მეორე ლიგაში კი გიორგი ფოფხაძის „ვიბორგმა" სტუმრად „სილკებორგთან" 0:0 ითამაშა და მეორე ადგილზე დარჩა, თუმც ლიდერ „ჰერფიოლგესთან" ოდენ ქულას აგებს. ფოფხაძეს მცირე ტრავმა აქვს და მინდორზე არ ყოფილა.

**სერბეთი:** „ვოივოდინამ" სტუმრად 1:0 აჯობა „ბანატს" და მეორე ადგილზეა. მიხეილ ხუციშვილი ამ მატჩში ბოლო წუთზე შევიდა შეცვლაზე, არადა, ტესტ-მატჩებში საქმე სხვანაირად ჰქონდა — ძირითადში უფრო ხშირად აყენებდნენ და გოლებიც გაჰქონდა.

**აზერბაიჯანი:** გამოსარჩევია თორნიკე აფციაურის გოლი „გაბალაში". მისიანებმა შინ 3:0 აჯობეს მიხეილ მესხის „ქარვანს". თორნიკემ მე-80 წუთზე მცველი მოატყუა და მეკარეს იოლად გაუტანა, რითაც 2:0 გახადა.

გიორგი ადამია-გიორგი დემეტრაძე-ამირან მუჯირის „ბაკომ" „ბაკილის" 3:1 აჯობა და ისევ ლიდერია. ჩვენებს არ გაუტანიათ.

**ჩეხეთი:** დიმიტრი ტატანაშვილი „პლზენის" მორიგ მატჩშიც სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, თუმც საკმაოდ ადრიანად — 36-ე წუთზე, როცა მისიანები „ბუდეიოვიცესთან" 0:1 აგებდნენ, მწვრთნელმა იკადრა და „ტატანა" შეიყვანა. პლზენელებმა მეორე ტაიმში გაათანაბრეს და მოგებასთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ... 1:1.

**ილია ნანობაშვილი**

# ხუბუტიამ ატლანტასს დაუმთავრა

**ლიტვურმა** „კაუნასმა" ტესტ-მატჩი 3:1 მოუგო „ატლანტასს" და მესამე გოლი აკაკი ხუბუტიამ გაიტანა. 23 წლის ქართველმა შეუცვლელად ითამაშა და 77-ე წუთზე იხეირა.

გეცოდინებათ, ხუბუტია ერთადერთი ქართველია „კაუნასში" — ნუკრი მანჩხავა და გივი კვარაცხელია ბელარუსში, შესაბამისად, ჟოდინოს „ტორპედოსა" და მინსკის „მტზ-რიპოში" ირჯებიან.

# ოცნება ოცნებად დარჩა

**18 მარტს** საქართველოს ფუტსალის ნაკრები 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში სათამაშოდ ლიტვაში გაემგზავრა.

პირველ მატჩში ჩვენებმა ფავორიტ იტალიასთან 1:10 წააგეს. ერთადერთი ბურთი ლაშა ცნობილაძემ შეაგდო.

მომდევნო შეხვედრაში ავთანდილ ასათიანის გუნდმა მასპინძელი ლიტვა 4:0 დაამარცხა.

ელიტ-რაუნდის ბოლო მატჩი კი ჩვენებმა 0:2 წააგეს ბელარუსთან და ამით დაემშვიდობნენ ფინალურ ეტაპზე გასვლის ოცნებას.

ასათიანმა ლიტვაში ეს ფეხბურთელები წაიყვანა: *ლევან ზაქაიძე, ლევან გაბუნია, არჩილ ბოკერია, ლაშა ცნობილაძე, შოთა კუბლაშვილი, დავით ბობოხიძე, გიორგი ხოზაშვილი, ირაკლი შელეგია, კახა მაისაია, კახა ახალაძე, დავით დარჩია, ნიკოლოზ ოსეფაშვილი.*

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, საქართველოს ნაკრებს სავიზო პრობლემების გამო ორი მოთამაშე, დევდარიანი და თორთლაძე ვერ დაეხმარნენ ლიტვაში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 3 | 0 | 0 | 19:1 | 9 |
| ბელარუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 5:12 | 3 |
| ლიტვა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:16 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ავი ავსტრია

## 17-წლამდელთა ელიტ-ლაბირინთი

**მოდით,** ცოტა ხნით ცაში ავფრინდეთ: ზეგ თუ საქართველო იტალიას მოუგებს, ხოლო ავსტრია შოტლანდია ვერ სძლევს, გელა შეყილაძის გუნდი გერმანიაში ფინალური ეტაპისკენ ვიზას მიიღებს.

არის კიდევ ერთი შანსი: ავსტრიამ შოტლანდიას თუ მოიგო, საქართველომ ხუთი ან მეტბურთიანი სხვაობით უნდა სძლიოს იტალიას. ამ შემთხვევაშიც შეიკვეთება გერმანული სასტუმრო...

არადა, გუშინ საღამომდე ასე ნაცრისფრად როდი იყო საქმე, ქართველმა 17-წლამდელებმა შოტლანდიელ თანატოლებს 1:0 მოუგეს და თან როგორ — 74-ე წუთზე მალტელმა მსაჯმა ავთანდილ ბრაჭული გააძევა, მაგრამ ზედ საფინალო სასტვენის წინ ჯანიკო ანანიძემ ისე დაასტვენინა, რომ პენალტის ნიშნულისკენაც გაეშვირა ხელი. ანანიძემ პენალტი მოინადირა, ირაკლი შეყილაძემ კი გაიტანა და 1:0.

პირველი ტურის მერე იტალია და საქართველო 3-3 ქულით ლიდერობდნენ ჯგუფს.

...მაგრამ გუშინ მასპინძელმა ავსტრიელებმა შავი დღე აყარეს გელა შეყილაძის შეგირდებს — 3:0.

პირველი გოლი ჩვენებმა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გაუშვეს, მეორეში კი სხვაობა სულ უფრო იზრდებოდა.

გუშინვე იტალიამ შოტლანდიას 3:1 მოუგო.

და ახლა რა ხდება: ლაბირინთებია საჭირო, რათა ჩვენები საწადელს ეწიონ.

**შოტლანდია 0:1 საქართველო**

**0:1 შეყილაძე (80პ)**

**საქართველო:** მეშველიანი, მირცხულავა, ხარაბაძე, ბრაჭული, ელიზბარაშვილი, კუხიანიძე (კობახიძე 79), ანანიძე, შეყილაძე, ჩაფიძე (ხაბაძე 62), კვეკვესკირი

**გაფრთხილება:** კუხიანიძე, ბრაჭული, მეშველიანი, საბაძე, ბრაჭული

**გაძევება:** ბრაჭული (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ავსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

# კვიპროსმა 22 თქვა

## ანასტასიადისი ქართველებთან კონსტანტინუს მოისაკლისებს

**28 მარტს** საქართველოს ეროვნული ნაკრები სტუმრად კვიპროსს გაეჯიბრება.

კუნძულელთა თავკაცმა ანგელოს ანასტასიადისმა უკვე გამოაცხადა იმ 22 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც ჯერ ქართველებთან, 1 აპრილს კი სტუმრად ბულგარეთთან სათამაშოდ მოემზადებიან:

*პარასკევას ხრისტოუ (აპოელ), მარინოს საციასი (აპოელ), მარიოს ილია (აპოელ), ხრისოსტომოს მიხაილი (აპოელ), კონსტანტინოს ხარალამბიდისი (აპოელ), ნეკტარია ალექსანდრი (აპოელ), სტელიოს ოკარიდისი (აპოლონი), სოფრონის ავგუსტი (აპოლონი), ანდრეას აბრაამი (აპოლონი), ალექსის გარპოცისი (ანორთოსისი), ანდრეას კონსტანტინუ (ანორთოსისი), გეორგ პანაგი (ანორთოსისი), ლამბროს ლამბრუ (ანორთოსისი), ანტონის გიორგალიდისი (ომონია), ევსტატიოს ალონეფტისი (ომონია), მიხალის კონსტანტინუ (ომონია), იანის ოკასი (ომონია), ელიას ხარალამბუსი (ომონია), დიმიტრის ხრისტოფი (ომონია), პოლ კოულისი (აეკ), გასმინ ვიასემაკისი (ეთნიკოსი, საბერძნეთი), მარიოს ნიკოლაუ (პანიონიოსი, საბერძნეთი).*

საინტერესოა, რომ კვიპროსელთა ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ანდრეას კონსტანტინუ ექტორ რაულ კუპერის გუნდის წინააღმდეგ დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს.

**ქახა ზალამბერიძე**

# ბულგარეთი ახალი თავით

**28 მარტს** ბულგარეთი ირლანდიას ესტუმრება, 1 აპრილს კი ჩვენებთან ნათამაშებ კვიპროსს დაუხვდება და სლავთა ახალმა თავკაცმა სტონიმირ სტოილოვმა უკვე დაასახელა შემადგენლობა...

***მეკარეები:*** *დიმიტარ ივანკოვი (ბურსასპორი, თურქეთი), გეორგი პეტკოვი (ლევსკი);*

***მცველები:*** *ივან ივანოვი (ცსკა), იორდან ტოდოროვი (ცსკა), ჟივკო მილანოვი (ლევსკი), ელინ ტოპუზაკოვი (ჰაპოელი, ისრაელი), იგორ ტომაშიჩი (მაკაბი, ისრაელი), ილიან სტოიანოვი (სანფრეჩე იაპონია);*

***ნახევარმცველები:*** *მარტინ პეტროვი (ასტონ ვილა, ინგლისი), რადოსტინ კიშიშევი (ლიტექსი), სტანისლავ ანგელოვი (კოტბუსი, გერმანია), დიმიტარ ტელკისკი (ჰაპოელი, ისრაელი), ჩავდარ იანკოვი (ჰანოვერი, გერმანია), ბლაგოი გეორგიევი (ტერეკი, რუსეთი), ველიზარ დიმიტროვი (მეტალურგი, უკრაინა);*

***თავდამსხმელები:*** *დიმიტარ ბერბატოვი (მანჩესტერი, ინგლისი), დიმიტარ რანგელოვი (კოტბუსი, გერმანია), ვალერი ბოჟინოვი (სიტი, ინგლისი), იველინ პოპოვი (ლიტექსი).*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| ირლანდია | 4 | 3 | 1 | 0 | 5:2 | 10 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ჩერნოგორია | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| საქართველო | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | 2 |
| კვიპროსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

17 მარტს ირლანდიის ნაკრების იტალიელ თავკაც ჯოვანი ტრაპატონის 70 წელი შეუსრულდა. ირლანდია, გეცოდინებათ, ჩვენი მეტოქეა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში და ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით, 2:1 დაგვამარცხა. იუბილესთან დაკავშირებით ფიფას ოფიციალურმა ვებგვერდმა ტრაპატონის ინტერვიუ ჩამოართვა, რასაც აქვე გთავაზობთ...



# ტრაპატონის მეუღლემ გოლი ვერ გაუტანა

## გამოცდილი მწვრთნელები მოდაში ყოველთვის იქნებიან

— მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში წაუგებლად თამაშობთ. შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს სწორედ ის არის, რასაც ელოდით?

— შედეგით კმაყოფილი ვარ. იმედი მაქვს, ჩემი ფეხბურთელები ასევე გააგრძელებენ და წარმატებასაც მივაღწევთ.

— რამ მიგიზიდათ ირლანდიის ნაკრებში? ეს ის სამუშაოა, საიდანაც სიამოვნებას იღებთ?

— ასეა. ბევრ ქვეყანაში შემეძლო წასვლა, მაგრამ ირლანდია ვარჩიე. საბედნიეროდ, ბევრ ირლანდიელ ფეხბურთელს იქამდეც ვიცნობდი, რამაც საქმე გამიიოლა. თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ კარგი შედეგები გვექნებოდა.

— თქვენი თანაშემწეა ლაიამ ბრეიდი, რომელიც 80-იან წლებში თქვენს გაწვრთნილ „იუვენტუსში" თამაშობდა. გეხმარებათ მარკო ტარდელიც. რამდენად მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ამ ადამიანებს?

— თანაშემწეებს ნებისმიერი მწვრთნელისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ადამიანები მიდგანან გვერდით. ბრეიდი ირლანდიის ნაკრების კაპიტანი იყო და იტალიაშიც მიაღწია წარმატებებს. ტარდელი კი, ყველამ იცის, მსოფლიოს ჩემპიონია. ფეხბურთელებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ასეთ პიროვნებებთან უწევთ მუშაობა.

— თქვენ უკვე მუშაობდით გერმანიაში, ავსტრიაში, პორტუგალიაში... საზღვარგარეთ მუშაობა თქვენთვის განსაკუთრებული გამოწვევაა?

— ყველა ქვეყანას თავისი კულტურა და მენტალიტეტი აქვს. თუმცა ბოლო წლებში ფეხბურთი გლობალიზაციას განიცდის და ჩემი აზრით, ეს ძალიან კარგია. ფეხბურთელები უცხოურ კლუბებში თამაშობენ და სხვა ქვეყნების ადათწესებს ეგუებიან, რაც ნაკრებში თამაშის დროსაც უწყობთ ხელს. ასე უფრო იოლი ხდება მათთან კონტაქტის დამყარება.

— თქვენი თანამემამულე ფაბიო კაპელო საკმაოდ წარმატებით მუშაობს ინგლისის ნაკრებში. თვლით, რომ უცხოურ ნაკრებებს ყველაზე უკეთ იტალიელი მწვრთნელები ეწყობიან?

— არა მგონია, ასეთი განსაკუთრებული ნიჭი გვქონდეს იტალიელებს. ჩვენი წარმატება უფრო დიდი გამოცდილების ბრალი მგონია.

— ლუის არაგონესმა 69 წლის ასაკში მოიგო ევროპის ჩემპიონობა. სერ ალექს ფერგიუსონიც ასაკის მიუხედავად ძალიან წარმატებულად მუშაობს „მანჩესტერ იუნაიტედში". თქვენი აზრით, გამოცდილებას დღევანდელ ფეხბურთში მთავარი როლი აკისრია?

— გამოცდილი მწვრთნელები ყოველთვის იქნებიან მოდაში.

— რა გითხრეს მეგობრებმა, როცა ირლანდია და იტალია ერთ ჯგუფში მოხვდნენ?

— კენჭისყრის შემდეგ უამრავმა ადამიანმა დამირეკა. მე ძალიან ბედნიერი ვიყავი წილისყრით, რადგან იტალიასთან შეხვედრა დიდი პატივია. ჩემი იტალიელობით ვამაყობ, თუმცა პროფესიონალი ვარ და ისიც მომწონს, რომ ირლანდიის ნაკრებს ვწვრთნი. ალბათ ჩვენი შეხვედრისას ჰიმნების მოსმენა განსაკუთრებულად ემოციური იქნება ჩემთვის.

— ირლანდიის ნაკრები თქვენს კარიერაში ბოლო იქნება?

— ვნახოთ... ჯერჯერობით ჯანმრთელად ვარ და მოტივაციის ნაკლებობასაც არ ვუჩივი. ახლა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვების გარდა არაფერზე ვფიქრობ და ვნახოთ, რა მოხდება მომავალში.

— ოჯახი კმაყოფილია თქვენი ამჟამინდელი საქმიანობით?

— შვილები კმაყოფილები არიან, მეუღლე კი პირიქით. ის სულ მეკითხება, როდის დაასრულებ კარიერასო. ჩემი პასუხია: მომავალში. ასე რომ, მეუღლეს ჯერჯერობით არ გამოსდის ფეხბურთიდან ჩემი ჩამოშორება.

— და ერთიც: წავა ირლანდია სამხრეთ აფრიკაში?

— ამ მიზნის მიღწევა შეგვიძლია, მაგრამ იღბალიც უნდა დაგვეხმაროს. ტრავმებს თუ ავირიდებთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გავალთ.

# ირლანდიამ ინგლისი გამოიძახა

**ირლანდიის** ნაკრებს 28 მარტს და 1 აპრილს ორი შესარჩევი მატჩი ელის: შინ ბულგარეთთან და სტუმრად იტალიასთან.

საამისოდ ჯოვანი ტრაპატონიმ უკვე დაასახელა ფეხბურთელები, რომელთაგან საუკეთესო 18-ს აარჩევს...

***მეკარეები:*** *შეი გივენი (სიტი, ინგლისი), დინ კილი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), კირენ ვესტვუდი (ქოვენთრი, ინგლისი);*

***მცველები:*** *ალექს ბრიუსი (იფსვიჩი, ინგლისი), ჯონ ოში (მანჩესტერი, ინგლისი), დემიენ დელენეი (ქუინზ პარკი, ინგლისი), კევინ ფოლი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), პოლ მაკშეინი (სანდერლენდი, ინგლისი), რიჩარდ დანი (სიტი, ინგლისი), სტივენ კელი (ბირმინგემი, ინგლისი), სტივ ფინანი (ესპანიოლი, ესპანეთი), კევინ კილბეინი (ჰალი, ინგლისი), დარენ ოდი (სელტიკი, შოტლანდია);*

***ნახევარმცველები:*** *ეიდენ მაკგიდი (სელტიკი, შოტლანდია), დემიენ დაფი (ნიუკასლი, ინგლისი), დარონ გიბსონი (მანჩესტერი, ინგლისი), გლენ უილანი (სტოკი, ინგლისი), კეიტ ენდრიუსი (ბლექბერნი, ინგლისი), ლაიამ მილერი (ქუინზ პარკი, ინგლისი), სტივენ ჰანტი (რედინგი, ინგლისი), ენდი კიგი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი);*

***თავდამსხმელები:*** *ქალებ ფოლანი (ჰალი, ინგლისი), კევინ დოილი (რედინგი, ინგლისი), რობი კინი (ტოტენჰემი, ინგლისი), შეინ ლონგი (რედინგი, ინგლისი), ნოელ ჰანტი (რედინგი, ინგლისი).*

**ქახა ზალამბერიძე**

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

25 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაინერ ცობელი შინ!

## კაჭარავას ძნელი გაზაფხული



სარბიელის არქივიდან

რა არის მწვრთნელის ბედი, სულ რომ იგებ და პრეტენზიებს ვერ გიბედავენ, ფეხს წამოჰკრავ და მორჩა...

ასე წამოჰკრა მარცხად ფეხი რაინერ ცობელმა და თბილისის „დინამოში" მორიგი უცხოელი მწვრთნელის მუშაობა დამთავრდა.

ფრე „სპარტაკთან", ფრე „ლოკომოტივთან" და ცობელი გერმანიაში მიდის.

„დინამოს" ოფიციალური განცხადებით, დაშორება ორმხრივი შეთანხმებით მოხდა, კლუბი მადლობას უხდის ცობელს გაწეული სამუშაოსთვის და მომავალში წარმატებებს უსურვებს.

გერმანელის ადგილს სეზონის ბოლომდე კახა კაჭარავა დაიკავებს — კაცი, რომელიც ბოლო წლებში „დინამოს" მთავარი მწვრთნელების თანაშემწე გახლდათ, ერთი პერიოდი კი თვითონაც თავკაცობდა გუნდს.

ცობელი ხშირად საყვედურობდა შეგირდებს, ეშვებიან, ჰგონიათ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში თამაში ადვილია და ცხრილის შუაგულოსნებს ან აუტსაიდერებს ცალი ფეხით მოუგებენო.

სწორედ ასეთ კლუბებთან წაიფორხილეს დინამოელებმა ბოლო ორ მატჩში...

კაჭარავას ძნელი გაზაფხული ელის: „დინამო" ვერა და ვერ ხდება ჩემპიონატის ლიდერი, მიზანი კი რა შესახსენებელია...

**ილია ნანოგაშვილი**

# რა სჭირს დინამოს?!

**საფინალო** სასტვენისთანავე „დინამოს" ლიდერი გიორგი მერებაშვილი მსაჯ მალხაზ ბეუქლიშვილს მიეჭრა და რაღაცას უმტკიცებდა. რაინერ ცობელიც გავიდა და გააშორა თავისი შეგირდი იქაურობას.

ნამდვილ სპორტსმენს წარუმატებლობა ყოველთვის უნდა სწყინდეს, აბა, უემოციო და თვითკმაყოფილი კაცი რად ვარგა. მერებაშვილმა თუ ბეუქლიშვილს მსაჯობა დაუწუნა, ამაშიც ვეთანხმებით, მაგრამ სამართლიანები ვიყოთ — თემიდელს შაბათს „დინამოსთვის" არაფერი დაუშავებია.

ცუდია, როცა მსაჯი უეჭველ სახიფათო ჯარიმას არ დებს, ერთ წუთში კი ფირფიტას ატრიალებს და საკომპენსაციოდ, აქეთ ატარებს წესის დარღვევას, ან ჯარიმის არდადების გამო „შეწყალებულ" გუნდს სხვა შანსსართმევს — მაგალითად, მათი კარგი შეტევისას ტაიმს ამთავრებს.

უბრალოდ, ეს ფაქტები აღვნიშნეთ, თორემ ბეუქლიშვილმა შედეგზე გავლენა მოახდინაო, ასეთი ნამდვილად არ ყოფილა.

ერთხელ „დინამოსაც" ჰქონდა საჩივარი, კერძოდ, მეორე ტაიმში გია ნერგაძე „ლოკომოტივის" საჯარიმოში შეიჭრა, მახვილი კუთხიდან კარში ურტყამდა თუ პასს აკეთებდა, ვერ გეტყვით, მაგრამ წაქცეულ ნიკა გუშარაშვილს ხელზე მოარტყა ბურთი. ასეთ სიტუაციებში პენალტი ნამეტანი მკაცრი სასჯელია: ბურთმა მონახა ხელი და არა ხელმა ბურთი, თანაც, გუშარაშვილი წაქცეული იყო და ნერგაძემაც, ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, განგებ მოარტყა ხელში.

ყოველ შემთხვევაში, დინამოელთა ნახევარმცველს ასეთი მოძრაობა გამოუვიდა.

0:0 — „ლოკომოტივი" ამ ანგარიშს მიეჩვია, „დინამოს" კი, ოჰ, როგორი ფასეული ქულები წაერთვა. მიჯრით მეორე მატჩია, ცობელის გუნდი ვერ იგებს, ასეთი მუხრუჭები კი, ვინძლო, ჩემპიონობის დაკარგვად დაუჯდეს.

როგორ გგონიათ, რატომ გამოხატა ყველაზე მეტად მსაჯისადმი უკმაყოფილება მერებაშვილმა? იმიტომ ხომ არა, რომ თუ ვინმეს უნდა დასწყვეტოდა გული ორი ქულის დაკარგვაზე, მერებაშვილია? ვფიქრობ, სწორედ ამიტომაც.

შეიძლება შეგვედავოთ, მაგრამ ბოლოდროინდელ „დინამოში" ასეთი გამოკვეთილი ფიგურა, რომლის თამაშზეც ამდენად იყოს დამოკიდებული გუნდის ავ-კარგი, არ ყოფილა.

ისევე, როგორც 90-იანი წლების რუმინეთს ვერ წარმოიდგენდი გეორგე ჰაჯის გარეშე, ასეა მერებაშვილი „დინამოსთვის".

სახიფათო მომენტია, მერებაშვილმა გოლი გაიტანა, გასატანი ვერ გაიტანა, კარგად იდრიბლინგა, კარგი პასი მისცა — ვინ? სულ მერებაშვილი!

ერთი კია, ძალიან გვინდა, ეს ბიჭი ნაკრებშიც ისე გახსნილი იყოს, როგორც მშობლიურ კლუბშია.

„ლოკომოტივთან" ოთხჯერ შეეძლო გატანა დინამოელთა 10 ნომერს: ერთხელ ვარდნაში ააცილა, მეორედ შორიდან ვერ მოზომა სიზუსტე, მესამედ ხარიხას მოარტყა, მეოთხედ კი ჯარიმიდან მისი რბილად დარტყმული გიორგი ლომაიამ მოიგერია.

თუმც, სტოპ! თუ გგონიათ, რომ „დინამომ" გადაურბინა ვაკელებს, ძალიან ცდებით. უშუალოდ თამაშში, ბურთის გორაობაში და ტერიტორიის ათვისებით „ლოკომოტივი" უფრო ხშირად უპირატესობდა.

მეორე წრეში აშკარად მომატებული აქვს გიორგი კახელიშვილს, ვინაც გუშინაც ყველაზე აქტიური იყო მასპინძლებში, ლევან ხმალაძეს რამდენჯერმე დაუსხლტა და ზოგჯერ ორ-სამ კაცშიც ძვრებოდა.

ართმევაზე შავ მუშებად მაგრად იყვნენ ირაკლი ჩირიკაშვილი და გიორგი დიაკვნიშვილი, ისინი „დინამოს" ნახევარმცველებზე შეუპოვრად თამაშობდნენ, აი, კახა მახარაძეს კი ბურთის ფლობასთან და კარგ პასთან ერთად სისწრაფეც რომ ჰქონდეს...

თავდამსხმელი — აი, რა აკლდა და აკლია კიდევ „ლოკომოტივს". ნიჭიერი ბიჭია შალვა კვანტალიანი, მაგრამ ვაკელებს კარზე დაგეშილი, დამრტყმელ-გამტანი ფორვარდი სჭირდებათ.

ჰო, რა თქმა უნდა, მატჩს ექტორ რაულ კუპერიც დაესწრო თანაშემწე ხოსე ფანტაგუცისთან ერთად.

**ილია ნანოგაშვილი**

# ზესტაფონმა ჭანტურია გაასაჩივრა

**გრიგოლ ჭანტურიას** და მის ყოფილ კლუბ „ზესტაფონს" შორის დავა ისევ გრძელდება.

„ზესტაფონს" უფლება ჰქონდა, 20 მარტამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საჩივარი შეეტანა და ასეც მოიქცა.

ამ საკითხს ალმასკომი, სავარაუდოდ, აპრილში განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ ჭანტურიამ „ზესტაფონს" უჩივლა და სფფ-ის გადაწყვეტილებით, თავისუფალი აგენტის სტატუსი და 15 თვის ხელფასი ერგო.

**ნუკრი ლოლაძე**



სარბიელის არქივიდან

**21 მარტი. 14 საათი**
**ლოკომოტივი თბილისი – დინამო თბილისი 0:0**
თბილისი. მ. მესხი. 400 მაყურებელი

ლოკომოტივი: გ. ლომაია, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, მ. ლომიძე, ელიავა, დიაკვნიშვილი, კ. მახარაძე, ჩირიკაშვილი, კახელიშვილი (ბებუა 90), შ. კვანტალიანი (გ. მოდებაძე 78), ი. გილაური (ნულაძე 66)

სათადარიგონი: ბელეური; ხუმარაშვილი, გ. კვანტალიანი, დ. ჩაგელიშვილი

მწვრთნელები: გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე

დინამო: ოვონო, თომაშვილი, გ. კაშია, კაკუბავა, ხმალაძე, შ. კაშია, დილმელაშვილი, ნერგაძე, ლომია (კოშკაძე 63), გ. მერებაშვილი, ჯიუსი (სპასოევიჩი 71)

სათადარიგონი: ლორია; ქანთარია, ტომიჩი, ნემსაძე, ჯიშკარიანი

მწვრთნელი: რაინერ ცობელი

გაფრთხილება: ლომაია (81)

მსაჯები: კ. ქაჭუა; ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე; გ. ვადაჭკორია

**21 მარტი. 15 საათი**
**სკ ბორჯომი – სიონი ბოლნისი 1:2**
ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 300 მაყურებელი

0:1 ხიდეშელი (30), 1:1 კიკნაძე (60), 1:2 სანიკიძე (78პ)

ბორჯომი: შეყრილაძე, მენთეშაშვილი (ზ. გოგოლაძე 2), გაჩეჩილაძე, ლომიძე, ხითარიშვილი, ვ. ხაჩიძე, დევიძე, ი. კიკნაძე, პაპელიაშვილი, ბაქრაძე, ქათამაძე

სათადარიგონი: საყვარელიძე, კირვალიძე, უ. გოგოლაძე, დევაძე

მწვრთნელი: ჯუნგლი ქართველიშვილი

სიონი: ქანტურია, დ. სვანიძე,ორბელაძე, ი. ვაშაკიძე, შალამბერიძე (კაკაშვილი 43), დიდავა, ზ. ქელიძე, სანიკიძე, გ. ხიდეშელი (რუსეიშვილი 75), მიკუჩაძე, რ. გოცირიძე (ბობოხიძე 70)

სათადარიგონი: ბობლიაშვილი, ქემოკლიძე, ლ. ბაჯელიძე, დავითაშვილი

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

გაფრთხილება: გაჩეჩილაძე, კიკნაძე

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გუდურაშვილი, კ. ტეფნაძე, ლ. კვარაცხელია

**21 მარტი. 15 საათი**
**სკ გაგრა – მგლები ზუგდიდი 2:2**
თბილისი. ამერი. 500 მაყურებელი

1:0 ტყეშელაშვილი (11პ), 1:1 თოდუა (16პ), 1:2 ქედია (45), 2:2 ნოზაძე (65)

გაგრა: ი. ხომერიკი, გიგაური, გაბუნია, გ. ტყეშელაშვილი, ცხადაია, კუპრეიშვილი, გაბედავა, ჩარგეიშვილი, ლ. ნოზაძე, იეონიკოკო, ძაგანია (ბ. ცხადაძე 46)

სათადარიგონი: ა. კოტრიკაძე, ლ. სეთურიძე, გედენიძე, ა. აბაშიძე, მოსიაშვილი

მწვრთნელი: ვიქტორ კაშჩეი

მგლები: სომხიშვილი, ქითანავა, აქუბარდია, რ. ონიანი, რაქვიაშვილი, გუჩუა, პ. დათუნაიშვილი, დ. ქირია (ა. ბაჯელიძე 88), გ. გულორდავა (ქკადუა 71), გ. თოდუა, გ. ქედია

სათადარიგონი: ქალდანი, მალიჩავა, ჯოჯუა, ხუხია, ხურციძე

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

გაფრთხილება: ონიანი (90)

მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. ფიფია, დ. კურტანიძე, ვ. გუმბერიძე

**22 მარტი. 14 საათი**
**სკ ზესტაფონი – მესხეთი ახალციხე 3:0**
ზესტაფონი. ცენტრალური. 600 მაყურებელი

1:0 გრიგალაშვილი (28), 2:0, 3:0 გელაშვილი (49, 67პ)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, უ. ლობჟანიძე, გ. ხიდეშელი, მაკარიანი, შ. გრიგალაშვილი, დაუშვილი (ქანკოტაძე 70), გორგიაშვილი (ნ. კვასხვაძე 58), ძარია, გ. ნუგ. ქელიძე, ლ. მელქაძე (კაკალაძე 65), გელაშვილი

სათადარიგონი: მამალაძე, კვესიეშვილი, კაქკაჭიშვილი, იონანიძე

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

მესხეთი: ძამუნაშვილი, ქოჩორაშვილი (გვირჯიშვილი 42), ფარულავა, ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, ზ. ჩხეტიანი, ლ. თედიაშვილი (ინასარიძე 87), ლეკიშვილი, პ. ხორგუაშვილი, ლ. ქებაძე, გ. მიქაბერიძე (სუდაძე 88)

სათადარიგონი: თელიაშვილი, სამადაშვილი, ლ. ვაშაკიძე

მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

გაფრთხილება: გელაშვილი (36), გვირჯიშვილი (44), ლობჟანიძე (75)

მსაჯები: მ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე, თ. ხუჭუა, ზვ. ასკაროლლი

**22 მარტი. 15 საათი**
**სპარტაკი ცხინვალი – ვიტ ჯორჯია თბილისი 0:0**
გორი. ქართლი. 100 მაყურებელი

სპარტაკი: გ. იაშვილი, მგალობლიშვილი, გ. კვახაძე, შ. ლონლაძე, ქორიძე, მეტრეველი (ავალიანი 83), შონია, ჯანგიძე, ჩივაძე (ცლენტი 81), მაისურაძე (შ. ჯიქია 69), სირბილაძე

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ჯაფარიძე, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ბექვაია, კლიმიაშვილი (ხურცილავა 70), რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, გ. მელქაძე, ვ. კვარაცხელია, ბერიაშვილი (ი. სვანიძე 56)

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

გაფრთხილება: რაზმაძე (14), ჯანგიძე (74)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. გურგენაძე, გ. დოგრაშვილი

საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
25 ტური


სარბიელის არქივიდან
ნიკა გელაშვილი დუბლით გამოირჩა

# დაპირება მესხეთს, მოგება ზესტაფონს

**ახალციხის** „მესხეთს“ კარგა ხანია, ფინანსურად უჭირს და ამ მატჩის წინ იმის საშიშროებაც კი იყო, რომ „მესხეთს“ საერთოდ არ ეთამაშა, თუმცა რაიონის ხელმძღვანელები მწვრთნელ-ფეხბურთელებს დახმარებას დაჰპირდნენ და „მესხეთიც“ უმაღლეს ლიგაში თამაშს აგრძელებს.

საწყისი წუთები სტუმრებმა ნორმალურად ჩაატარეს და პირველი ხიფათი როინ კვასხვაძის კართან იყო: გიორგი მიქაბერიძემ დაარტყა კარისკენ, თუმცა უხეიროდ. ამის მერე კი ზურაბ ბათიაშვილის ნაცვლად მოთამაშე გელა ძამუნაშვილს საქმე არ გამოლევია. შოთა გრიგალაშვილის მარჯვენიდან ჩაწოდებულს ლევან მელქაძემ შეაგება თავი და „მესხეთის“ მეკარემ ძალიან რთული ბურთი მოიგერია. აი, 28-ე წუთზე კი გრიგალაშვილის შორიდან დარტყმულს მეკარემ ვერაფერი მოუხერხა და 1:0.

მალევე კარგი კომბინაცია გაითამაშეს იმერლებმა, გრიგალაშვილი კარგ პოზიციაზე დატოვა ნიკა გელაშვილმა, თუმცა ამჯერად მეკარე დარჩა გამარჯვებული.

ტაიმის მიწურულს ორჯერ შეეძლო „ზესტაფონს“ ანგარიშის გაზრდა. ჯერ მელქაძემ დაარტყა თავური და კვლავ მეკარემ ითამაშა საიმედოდ, გელაშვილი კი პირისპირ გავიდა, თუმცა ხეირი ვერც მან ნახა.

მეორე ნახევარი ახალი განახლებული იყო, როცა გელაშვილმა მაინც მოახერხა სტუმრების დამწუხრება. იმერლები საკმაოდ კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობდნენ და სწორედ ასეთ სიტუაციას მოჰყვა მეორე გოლი: გიორგი ჭელიძემ მარჯვენიდან ჩააწოდა საჯარიმოში და გელაშვილმა თავით გაიტანა.

ამის მერე კიდევ უფრო დიდი გახდა მასპინძლების უპირატესობა. 67-ე წუთზე „მესხეთის“ მცველები საჯარიმოში ჭელიძეს ეუხეშნენ, გელაშვილმა პენალტი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში გიორგი მერებაშვილს გაუთანაბრდა.

**ნუკრი ლოლაძე**

# გაგრამ მგლები ახლებით გაიტოლა

**ცოტა** ხნის გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინელი ვიქტორ კაშჩეი „გაგრას“ მთავარი მწვრთნელი გახდებოდა და ასეც მოხდა.

უკრაინელი საკმაოდ ემოციური კაცი ჩანს, 90 წუთი ფეხბურთელებს ხმამაღლა აძლევდა მითითებებს, სულ თამაშში იყო ჩართული.

კაშჩეის გარდა „გაგრაში“ დებიუტი ჰქონდათ ყაზახეთში ნათამაშევ ლაშა ნოზაძეს, რომელმაც აშკარად გააძლიერა „გაგრას“ ნახევარდაცვა და 16 წლის ნიგერიელ აბაიომი ოვონიკოკო სეუნს.

პირველად გამოჩნდა ძირითად შემადგენლობაში იოსებ ხომერიკიც, რადგან რევაზ თევდორაძეს თურმე სიცხემ აუწია.

მატჩი საკმაოდ კარგი სანახავი გამოდგა, გუნდებმა დიდი ბრძოლა გამართეს და მთლიანობაში „მგლებმა“ ბევრად უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა. მეგრელები გაცილებით გააზრებულად თამაშობდნენ და თავიანთ თავს უნდა დააბრალონ, შინ მხოლოდ ქულა რომ წაილეს.

პირველი შეტევა სტუმრებმა განახორციელეს. პაატა დათუნაიშვილმა მარცხენა ფრთაზე გია თოდუა მონახა, რომელმაც ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა და გიორგი გულორდავას თავური სუსტი გამოდგა.

მასპინძლებმა პასუხი არ დააყოვნეს და მე-11 წუთზე „მგლების“ კარში პენალტი დაინიშნა. გიორგი ცხადაიამ დაბალი ბურთი ჩააწოდა საჯარიმოში, ოვონიკოკომ ყველას დაასწრო და დაარტყა კიდეც, მაგრამ მცველმა წესი დაარღვია და ლაშა სილაგავამ თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც გიორგი ტყემელაშვილმა უნაკლოდ დაარტყა — 1:0.

მალევე საპირისპირო კარშიც დაინიშნა პენალტი. ჯემალ გაბუნიამ დათუნაიშვილი დასცა და გია თოდუამ ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

ამის შემდეგ სახიფათო მომენტებმა გაგრელთა კართან იმატა.

გიორგი ჭედიას დარტყმული კუთხურზე მოიგერია ხომერიკმა, გულორდავას ჩაწოდებისას კი მაკარი აქუბარდიამ ახლოდან ააცილა კარს.

27-ე წუთზე ცხადაიამ შორიდან გაისროლა და გიორგი სომხიშვილმა ბურთი კუთხურზე გადააგდო.

მალევე გულორდავამ დათუნაიშვილს უპასა, რომელმაც თავით გადააწოდა ჭედიას და მას ისევ სიზუსტემ უმტყუნა.

მალე ისევ ჭედიას შეექმნა ძალიან რეალური შანსი, მაგრამ ბურთი ხარიხას გაარტყა.

ამ მომენტიდან რამდენიმე წუთში „მგლები“ კინაღამ დაისაჯა. როინ ონიანმა უხეში შეცდომა დაუშვა, თუმც ზურაბ ძაგანიამ ეს ვერ გამოიყენა — მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდება მოინდომა, რაც ძალიან ცუდად გამოუვიდა.

ტაიმის წამატებულ წუთზე ჭედიამ საწადელს მაინც მიაღწია. ვალტერ გუჩუასგან მიიღო ბურთი და დაახლოებით 25 მეტრიდან ცხრიანში გააზვია — 1:2.

მეორე ტაიმის საწყისი წუთებიც სტუმრებისა იყო, მერე კი თითქოს მოეშვნენ და აკი დაისაჯნენ. თამაზ ჩარგეიშვილის ნაკუთხურალს ახალწვეულმა ნოზაძემ თავი შეაგება და გუნდს ქულა აალებინა.

**ნამატჩევს**

***ბესიკ შეროზია, „მგლების“ მწვრთნელი:*** „შევეცადეთ, მეტოქისთვის პრესინგი დაგვეპირისპირებინა. მოსაგები თამაში გვქონდა, მაგრამ ჩვენივე დაუდევრობით დავკარგეთ ორი ქულა. მთლიანობაში, უკმაყოფილო არ ვარ“.

***ვიქტორ კაშჩეი, „გაგრას“ მწვრთნელი:*** „შემადგენლობა პირველი შთაბეჭდილებით დავაყენე და ვთვლი, რომ არცთუ ურიგო გადაწყვეტილებები მივიღეთ. იმედი მაქვს, ბიჭები კიდევ მოუმატებენ. ჩემპიონატის ბოლომდე დიდი დრო არ რჩება და უნდა ვიბრძოლოთ“.

**ნუკრი ლოლაძე**

## მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი

ლიახვი 2:0 გარეჯი
ალგეთი 2:0 ერთობა
სპარტაკი 2 4:2 სამგორი
ამირი 2 3:0 ბორჯომი 2
იმედი 1:1 ზოოვეტი
იბსუ 3:1 ჰერეთი 2
ნ. დინამო 2 0:3 ლოკომოტივი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირი 2 | 20 | 14 | 2 | 4 | 42:13 | 44 |
| ლოკომოტივი 2 | 20 | 13 | 3 | 4 | 46:23 | 42 |
| დუშეთი | 19 | 13 | 2 | 4 | 41:17 | 41 |
| სპარტაკი 2 | 20 | 12 | 4 | 4 | 52:24 | 40 |
| იბსუ | 20 | 11 | 1 | 8 | 42:34 | 34 |
| 35-ე სკოლა | 19 | 10 | 4 | 5 | 35:28 | 34 |
| გარეჯი | 20 | 10 | 3 | 7 | 32:23 | 33 |
| ლიახვი | 20 | 9 | 4 | 7 | 35:31 | 31 |
| იმედი | 20 | 7 | 6 | 7 | 27:28 | 27 |
| ჰერეთი 2 | 20 | 8 | 1 | 11 | 39:35 | 25 |
| სამგორი | 20 | 6 | 6 | 8 | 33:33 | 24 |
| ერთობა | 20 | 7 | 2 | 11 | 25:45 | 23 |
| ალგეთი | 20 | 6 | 4 | 10 | 26:43 | 22 |
| ბორჯომი 2 | 20 | 7 | 1 | 12 | 23:43 | 22 |
| არაგველები | 19 | 5 | 5 | 9 | 21:28 | 20 |
| ზოოვეტი | 20 | 4 | 4 | 12 | 23:43 | 16 |
| ალაზანი | 19 | 4 | 3 | 12 | 13:34 | 15 |
| ნ.დინამო 2 | 20 | 3 | 3 | 14 | 15:45 | 12 |

### დასავლეთი

სამტრედია 2 1:0 მარგვეთი
კოლხეთი 2 1:0 ნ. ტორპედო 2008
მერცხალი 2:1 სქური
ჭიათურა 2 0:3 გურია 2
მერანი 2 0:0 ადელი
იმერეთი 0:2 ბაია 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 13 | 10 | 3 | 0 | 27:9 | 33 |
| მერანი 2 (მ) | 13 | 8 | 2 | 3 | 21:12 | 26 |
| კოლხეთი 2 | 13 | 8 | 1 | 4 | 23:13 | 25 |
| ბაია 2 | 13 | 7 | 4 | 2 | 28:13 | 25 |
| სამტრედია 2 | 13 | 6 | 2 | 5 | 15:14 | 20 |
| გურია 2 | 13 | 6 | 1 | 6 | 23:18 | 19 |
| იმერეთი | 13 | 6 | 1 | 6 | 15:16 | 19 |
| ნ. ტორპედო 2008 | 13 | 4 | 2 | 7 | 10:16 | 14 |
| ტორპედო 2 | 12 | 4 | 1 | 7 | 22:28 | 13 |
| ჭიათურა 2 | 13 | 4 | 0 | 9 | 17:31 | 12 |
| მარგვეთი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:23 | 12 |
| ადელი | 13 | 3 | 3 | 7 | 16:25 | 12 |
| სქური | 13 | 3 | 1 | 9 | 14:27 | 10 |

### საფეხბურთო კლუბ ვიტ ჯორჯიას განცხადება

# მათ, ვისაც ფაქტები არ უყვართ

**ბოლო** პერიოდში საკმაოდ გახშირდა იაფფასიანი სპეკულაცია „ვიტ ჯორჯიასა“ და „გაგრას“ შორის განვლილ შეხვედრაზე (0:0). სასაცილო და არაპროფესიონალური „მტკიცებულებები“ თითქოსდა თერთმეტმეტრიანის არგატანა და სამართალის პურის ჭამა ერთი ყოფილა! საეჭვო პენალტი და ასე შემდეგ–

ჩვენ, როგორც კლუბი, რომელსაც სამართლიანად აქვს პრეტენზია პროფესიონალიზმზე, ყველაფერს შესაბამისად ვეკიდებით და შესაბამის სახელსაც ვარქმევთ. თერთმეტმეტრიანი არ გავიდა იმ მომენტში იმიტომ, რომ „ვიტ ჯორჯიას“ არაშტატიანმა პენალტისტმა ნერვიულობის მოთოკვა ვერ შეძლო და, უბრალოდ, ააცილა ბურთი მიზანს! რაც შეეხება საეჭვო პენალტს, კადრებზეც ჩანს, რომ ლომაიასა და „გაგრას“ მცველს შორის კონტაქტი იყო! აქ მოქმედებს შესაბამისი პუნქტი, რომელიც მთლიანად მსაჯის შეხედულებისამებრ უნდა იქნას განსაზღვრული. თუ მსაჯს თამაშის „გაკეთება“ სურდა, 49-ე წუთზე გატანილ საკამათო გოლს ჩათვლიდა! ჩვენს ვიდეომასალაში კი თვალნათლივ ჩანს, რომ რამდენჯერმე მსაჯი თამაშგარე სიტუაციის შექმნისას მაშინ შეცდა, როდესაც ვიტჯორჯიელები მეტოქის კარისკენ ხელსაყრელ შეტევას ამზადებდნენ.

თუმცა ჩვენ ეჭვებს არ ავყვებით (ვინაიდან მიგვაჩნია, რომ უსაფუძვლო ეჭვები არაპროფესიონალიზმის და საშიში ტენდენციის საწინდარია) და ვამბობთ, რომ შეხვედრის არბიტრი არავის მითითებით თუ დავალებით არ მოქმედებდა, ისიც ჩვეულებრივი ადამიანია და შეცდომისგან დაზღვეული არ არის.

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვიტ ჯორჯია | 23 | 14 | 8 | 1 | 37:12 | 25 | 50 | 11 | 6 | 4 | 1 | 18:7 | 11 | 22 | 12 | 8 | 4 | 0 | 19:5 | 14 | 28 |
| 2 დინამო | 23 | 15 | 4 | 4 | 48:17 | 31 | 49 | 11 | 9 | 2 | 0 | 32:9 | 23 | 29 | 12 | 6 | 2 | 4 | 16:8 | 7 | 20 |
| 3 ზესტაფონი | 23 | 13 | 4 | 6 | 29:15 | 14 | 43 | 11 | 8 | 0 | 3 | 18:6 | 12 | 24 | 12 | 5 | 4 | 3 | 11:9 | 2 | 19 |
| 4 ოლიმპი | 22 | 11 | 9 | 2 | 25:11 | 14 | 42 | 11 | 6 | 5 | 0 | 13:2 | 11 | 23 | 11 | 5 | 4 | 2 | 12:9 | 3 | 19 |
| 5 სიონი | 23 | 8 | 9 | 6 | 24:20 | 4 | 33 | 11 | 3 | 5 | 3 | 12:10 | 2 | 14 | 12 | 5 | 4 | 3 | 12:10 | 2 | 19 |
| 6 ლოკომოტივი | 22 | 8 | 5 | 9 | 24:21 | 3 | 29 | 12 | 5 | 2 | 5 | 12:8 | 4 | 17 | 10 | 3 | 3 | 4 | 12:13 | -1 | 12 |
| 7 მგლები | 23 | 7 | 5 | 11 | 26:29 | -3 | 26 | 12 | 6 | 1 | 5 | 17:9 | 8 | 19 | 11 | 1 | 4 | 6 | 9:20 | -11 | 7 |
| 8 მესხეთი | 23 | 5 | 8 | 10 | 15:29 | -14 | 23 | 11 | 4 | 3 | 4 | 10:11 | -1 | 13 | 12 | 2 | 4 | 6 | 5:18 | -13 | 10 |
| 9 გაგრა | 23 | 4 | 6 | 13 | 16:37 | -19 | 18 | 12 | 4 | 4 | 4 | 13:15 | -2 | 16 | 11 | 0 | 2 | 9 | 3:22 | -19 | 2 |
| 10 სპარტაკი | 22 | 3 | 6 | 13 | 20:47 | -17 | 15 | 11 | 1 | 4 | 6 | 10:18 | -8 | 7 | 11 | 2 | 2 | 7 | 10:19 | -9 | 8 |
| 11 ბორჯომი | 23 | 2 | 6 | 15 | 17:53 | -36 | 12 | 12 | 1 | 4 | 7 | 9:22 | -13 | 7 | 11 | 1 | 2 | 8 | 8:36 | -23 | 5 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 13 — | გიორგი მერებაშვილი | დინამო |
| | ნიკა გელაშვილი | ზესტაფონი |
| 10 — | მათე ვაწაძე | დინამო |
| | გია თოდუა | მგლები |
| 9 — | ილია სპასოევიჩი | დინამო |
| | ვახტანგ კვარაცხელია | ვიტ ჯორჯია |

### XXVI ტური

4 აპრილი. შაბათი
დინამო – ოლიმპი
მგლები – სპარტაკი
ბორჯომი – გაგრა
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
სიონი – მესხეთი
5 აპრილი. კვირა
ზესტაფონი ისვენებს

# საქართველოს 20 ჩემპიონატი
## პირველი ლიგა 21 ტური

### აღმოსავლეთი

**დინამო 2 4:1 ჰერეთი**

0:1 ყორღანაშვილი (14), 1:1 ბოლქვაძე (35), 2:1, 3:1, 4:1 ქანთარია (40, 67, 78)
დინამო 2: ლოსაბერიძე, მინდორაშვილი, გეთიაშვილი, ჩადუნელი, გ. ოთარაშვილი, ზვ. ლობჟანიძე (ლეკვთაძე 68), ნემსაძე (მამუჩიშვილი 77), ვ. ბოლქვაძე, ნ. ჯიშკარიანი (კოპაძე 46), სიხარულიძე, ზ. ქანთარია
სათადარიგონი: გ. ნადირაძე, კეკელია, გ. ჩიკვაიძე, ქავთარაძე
მწვრთნელი: დავით კეკელიშვილი
ჰერეთი: ჯალიაშვილი, ბ. ფოფხაძე (კ. წვერავა 53), ა. აბაშიძე, ტაკაშვილი, ხარაიშვილი, ოქრუაშვილი, ყორღანაშვილი, გერმანიშვილი, თანდაშვილი (ი. რეხვიაშვილი 70), მაჭარაშვილი, ყაველაშვილი (ლ. კობერიძე 76)
სათადარიგონი: კურტანიძე, ლ. ნადირაძე
მოთამაშე-მწვრთნელი: კარლო წვერავა
გაფრთხილება: მაჭარაშვილი, ყორღანაშვილი, ხარაიშვილი, კოპაძე
მსაჯი: ლ. კვარაცხელია
50 მაყურებელი

**დილა 0:1 ვიტ ჯორჯია 2**

0:1 სვანიძე (14)
დილა: კეჩხუაშვილი, ცოცხალაშვილი (დგებუაძე 41), ი. თოდუა, გ. თარგამაძე, ჩიხრაძე, მინდიაშვილი, ცერცვაძე, ბეგლარიშვილი, თ. ბარამიძე (ტიელიძე 73), ფაილოძე (ანდღულაძე 60), იჩქითი
სათადარიგონი: მაჭავარიანი, ქარდავა, დაჩანიძე, მსხვილიძე
მწვრთნელი: პაატა მეტრეველი
ვიტ ჯორჯია 2: ა. მიქაბერიძე, ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ვეკუა, მაისაშვილი, ვასაძე, იოსელიანი (ცხოვრებაძე 46), ზ. დათუნაშვილი, როსტიაშვილი (ხოკერაშვილი 79), ი. სვანიძე (გამრეკლიძე 66)
სათადარიგონი: ღურბელეიშვილი, ფურცელაძე, მიხანაშვილი
მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი
გაფრთხილება: თოდუა, როსტიაშვილი, ვასაძე, ცხოვრებაძე
გაძევება: კეჩხუაშვილი (41)
მსაჯი: ო. ხეცაძე
100 მაყურებელი

**სიონი 2 0:1 თბილისი**

0:1 ტორონჯაძე (82)
სიონი 2: ბობლიაშვილი, პატარქალაშვილი, ნაყოფია, ლ. ჩხეტიანი, არღვლიანი, კახნიაშვილი (ალფაიძე 75), ბუბუტეიშვილი, გაბრიჭიძე (გიორბელიძე 60), ვ. უგრეხელიძე, გოგიბერიშვილი (რუსეიშვილი 33)
სათადარიგონი: ბ. მესხი, გიგინეიშვილი, ბ. ჭაველაშვილი, მ. ქობულაძე
მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი
თბილისი: გიორგობიანი, სარაჯიშვილი, დ. ამისულაშვილი, ჭაფოძე, სებისკვერაძე, ხოხონიშვილი, ნ. გოგოხია, კორიფაძე (ბროლაძე 88), ზუიადაძე (გედენიძე 53), ჯაში (გურეშიძე 81), ტორონჯაძე
სათადარიგონი: ბ. ბაბუნაშვილი, ოდიშარია, ი. დევდარიანი, შუშიაშვილი
მწვრთნელი: გელა გოშელაური
გაფრთხილება: უგულავა, პატარქალაშვილი, ბუბუტეიშვილი
გაძევება: გიორგობიანი (52)
მსაჯი: ლ. სილაგავა
100 მაყურებელი

**გაგრა 2 0:2 ამერი**

0:1 ლვინიაშვილი (78), 0:2 ჩიმაკაძე (90)
გაგრა 2: ხომერიკი, ბ. ტეტუნაშვილი, სეფიაშვილი, ლ. ქანთარია, ბ. გედენიძე, ე. კილაძე, ფილია (მარგიანი 60), ლ. სეთურიძე, ნ. ფანცხავა (დემეტრაშვილი 46), დ. ჩხაიძე (ბეგალიშვილი 46), მოსიაშვილი
სათადარიგონი: ნაჭყებია, ჭაავა
მწვრთნელი: თემურ ჩხაიძე
ამერი: ლ. ნადირაშვილი, თ. სანიკიძე (ლვინიაშვილი 62), ი. მოდებაძე, ელბაქიძე, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, დ. მჭედლიშვილი, ტიკურიშვილი (ლაფერაშვილი 82), ჩიმაკაძე, დ. ჯანელიძე (ნ. ქებაძე 58)
სათადარიგონი: გვენცაძე, ბენდელიანი, ცხოვრებაშვილი, ბოჯგუა
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე
მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი
200 მაყურებელი

**კახეთი — ნორჩი დინამო**

უამინდობის გამო არ ჩატარდა

### XXII ტური

22 მარტი. კვირა

**ნორჩი დინამო 1:2 დილა**

**ჰერეთი 0:0 ჩიხურა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 20 | 13 | 4 | 3 | 38:13 | 43 |
| ამერი | 19 | 13 | 4 | 2 | 32:7 | 43 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 19 | 12 | 5 | 2 | 30:6 | 41 |
| დინამო 2 | 19 | 10 | 7 | 2 | 31:14 | 37 |
| დილა | 20 | 8 | 6 | 6 | 26:17 | 30 |
| თბილისი | 19 | 7 | 3 | 9 | 27:28 | 24 |
| სიონი 2 | 19 | 5 | 4 | 10 | 22:43 | 19 |
| გაგრა 2 | 20 | 5 | 3 | 12 | 27:42 | 18 |
| ნ. დინამო | 19 | 2 | 7 | 10 | 20:33 | 13 |
| კახეთი | 18 | 2 | 5 | 11 | 9:30 | 11 |
| ჰერეთი | 20 | 1 | 8 | 11 | 14:43 | 11 |

### XXII ტური

23 მარტი. ორშაბათი
ვიტ ჯორჯია 2 – დინამო 2
თბილისი – კახეთი
ამერი – სიონი 2

### დასავლეთი

**ტორპედო 2008 0:0 მერანი (მ)**

ტორპედო 2008: მიგინეიშვილი, ჩხარტიშვილი, ბიბილაშვილი, გურული, ო. ფიფია (ი. ჭანკვეტაძე 19; თ. დანელია 72), ბესარაშვილი, ლომაშვილი, კობერიძე, ბ. ჩხეტიანი, იმედაძე, ღლონტი (ზ. ქუთათელაძე 54)
სათადარიგონი: კუჭუხიძე, ლ. კირკიტაძე, ვაჩიბერაძე, ცაგარეიშვილი
მწვრთნელი: კახა კარანაძე
მერანი (მ): ქვილითაია, ვ. იობაშვილი, გ. ლომაძე, ბერიშვილი (დ. ჩხიკვაძე 69), კვიტატიანი, გ. ილურიძე, ტორაძე (ა. ნოზაძე 56), ჩომახიძე (წოწორია 85), ჩალაძე, ციცხვაია, პაპადოპულოსი
სათადარიგონი: ფარცვანია, დ. თოდუა, ენდელაძე, შეროზია
მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია
გაფრთხილება: ჩალაძე, დანელია
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი
200 მაყურებელი

**მეშახტე 0:0 ზესტაფონი 2**

*სულაბერიძემ ვერ გაიტანა პენალტი (48)*
მეშახტე: დ. მემარნიშვილი, გოგუა, დონაძე, მაჩალაძე, ჯიშიაშვილი, გ. სიჭინავა, გოდერიძე, ი. კუტალია (გ. გვენეტაძე 76), სულაბერიძე, ლ. ჯოხაძე, ავალიშვილი
სათადარიგონი: ი. ორბელაძე, წიქორიძე, რ. კალანდაძე, ხაბურზანია
მწვრთნელი: დავით გვენეტაძე
ზესტაფონი 2: ძაძამია, ხიხაძე, კაჭკაჭიშვილი, ი. ხვადაგიანი, ბერუაშვილი, ბუკია, კვირიკეიშვილი, არეშიძე, ჯულელი (ა. ლაბაძე 79), ჭანკოტაძე, კენჭოშვილი (გ. ხაჩიძე 80)
სათადარიგონი: მ. დოგრაშვილი, გ. გაბუნია, ნ. კიკრიტაძე, ვ. ტაბატაძე, ბერიძე
მწვრთნელი: მალხაზ ლონდაძე
გაფრთხილება: კენჭოშვილი, სულაბერიძე, ჯიშიაშვილი, ხიხაძე, ბუკია, მემარნიშვილი
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი
100 მაყურებელი

**კოლხეთი 4:0 ხობი**

1:0 სიჭინავა (37), 2:0 გულუა (47), 3:0 ციკოლია (48), 4:0 ლუსტა (73)
კოლხეთი: გ. შენგელია, თურქია, ლევანია, გ. სიჭინავა, ლემონჯავა, გოგონაია (ბებელია 67), გ. ციკოლია, ლუსტა, გელაჭეიშვილი (მ. რუსია 61), გულუა, ნიქარიშვილი (გვალია 57)
სათადარიგონი: ჩემია, გვიჩია, გოგნაძე, ქანდავაძე
მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი
ხობი: ქურღულია, მ. შონია, ა. კვირკველია, გ. გოგენია, ჩაჩიბაია, ალანია, ლეფსაია, კ. გოგენია, ო. შენგელია (ბ. ბუკია 66), გაგუა, გრიგოლია (ცობეხია 46)
სათადარიგონი: გელაშვილი, ჯამბურია, ფირცხელავა, წულაია, ლ. გოგენია
მწვრთნელი: ლევან ნოდია
გაფრთხილება: გოგონაია, გულუა
მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი
200 მაყურებელი

**გურია 1:1 ბაია**

0:1 რაფავა (55), 1:1 კვერენჩხილაძე (83პ)
გურია: კეკელიძე, ვ. ბრეგაძე, გოგიბერიძე, იმნაძე, ქურიძე, შენიფული (ლ. ციკოლია 77), ჯაყელი, ტ. კუკულაძე (ხ. მგელაძე 65), ი. კილაძე, ურუშაძე, კვერენჩხილაძე
სათადარიგონი: გოგუაძე, ფირცხალაიშვილი, ჯორბენაძე
მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი
ბაია: ზარქუა, პაჭკორია, გ. ჟვანია, ქვარცხავა, გუგუჩია (ნ. შონია 63), ეხვაია (დ. კუტალია 75), რაფავა, ვართაგავა, წურწუმია (ქაშაკაშვილი 85), ქირია, სვირავა
სათადარიგონი: მაქაცარია, სიხარულია, კ. შონია, კაკუშაძე
მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი
გაფრთხილება: ზარქუა, ეხვაია, კუტალია, გოგიბერიძე, კვერენჩხილაძე
გაძევება: ქომეთიანი (90, „ბაიას" მწვრთნელი)
მსაჯი: ვ. გუმბერიძე
200 მაყურებელი

**ჭიათურა 1:2 სამტრედია**

1:0 სევასტოპულო (8), 1:1 ადეიშვილი (45), 1:2 ბეგოიძე (51)
ჭიათურა: ბადურაშვილი, გაფრინდაშვილი, მ. სამხარაძე, გ. ბრეგვაძე, თემირ მიშველიძე, ვაშაძე (იობიძე 73), ნ. ტყემალაძე, ცუცქირიძე (ბარათაშვილი 77), პაპიძე, სევასტოპულო, ლაშხი
სათადარიგონი: რობაქიძე, ტატაშიძე, ი. ხარალიძე, აბესაძე, დარბაიძე
მწვრთნელი: დავით იობაშვილი
სამტრედია: ი. შენგელია, გოგია, ნინუა, კირთაძე, კ. ძაგანია, ბაკურაძე (გუბელაძე 90), ეცადეიშვილი, ტყემალაძე, ადეიშვილი (შალიკაშვილი 88), ჯიქიძე, ბეგოიძე
სათადარიგონი: ბანძავა, თელია, ი. ჟღენტი, ბოხუა, მუკბანიანი
მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი
გაფრთხილება: ლაშხი, კირთაძე
გაძევება: მესიაჩენკო (82, „სამტრედიას" მწვრთნელი)
მსაჯი: მ. ურუშაძე
100 მაყურებელი

### XXII ტური

22 მარტი. კვირა

**სამტრედია 1:0 გურია**

**ბაია 4:2 კოლხეთი**

**ხობი 2:0 მეშახტე**

**მერანი (მ) 1:0 ბათუმი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 20 | 14 | 2 | 4 | 35:16 | 44 |
| ბაია | 20 | 13 | 5 | 2 | 37:11 | 44 |
| მარტვილი | 20 | 12 | 6 | 2 | 30:15 | 42 |
| კოლხეთი | 20 | 9 | 4 | 7 | 28:22 | 31 |
| ხობი | 20 | 9 | 3 | 8 | 24:31 | 30 |
| ტორპედო | 19 | 7 | 2 | 10 | 16:14 | 23 |
| ჭიათურა | 20 | 7 | 2 | 11 | 27:30 | 23 |
| გურია | 20 | 6 | 4 | 10 | 27:32 | 22 |
| ზესტაფონი 2 | 19 | 5 | 5 | 9 | 18:26 | 20 |
| ბათუმი | 19 | 5 | 4 | 10 | 21:32 | 19 |
| მეშახტე | 19 | 1 | 3 | 15 | 9:43 | 6 |

### XXII ტური

23 მარტი. ორშაბათი
ზესტაფონი 2 – ტორპედო 2008

# ელიტ-ლიგა

### 1992-წლიანები

იმედი 0:1 ოლიმპიკი
დინამო 4:0 გარეჯი
ამერი 2 0:2 თბილისი
ავაზა 2:0 ნ. დინამო
ქართლი 2:0 გარეჯი
ავაზა 1:0 35-ე სკოლა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 13 | 1 | 0 | 61:5 | 40 |
| ამერი | 14 | 10 | 1 | 3 | 34:13 | 31 |
| ქართლი | 12 | 9 | 3 | 0 | 26:10 | 30 |
| ოლიმპიკი | 14 | 7 | 3 | 4 | 25:20 | 24 |
| თბილისი | 14 | 7 | 2 | 5 | 31:21 | 23 |
| ნ. დინამო | 14 | 7 | 2 | 5 | 32:27 | 23 |
| ავაზა | 13 | 7 | 1 | 5 | 28:18 | 22 |
| 35-ე სკოლა | 13 | 6 | 1 | 6 | 22:15 | 19 |
| იმედი | 14 | 5 | 2 | 7 | 20:30 | 17 |
| შევარდენი | 14 | 4 | 3 | 7 | 21:24 | 15 |
| აკადემია 92 | 14 | 4 | 1 | 9 | 17:32 | 13 |
| გარეჯი | 14 | 3 | 3 | 8 | 16:38 | 12 |
| ამერი 2 | 14 | 2 | 0 | 12 | 16:52 | 6 |
| აკადემია | 14 | 0 | 1 | 13 | 6:50 | 1 |

### 1993-წლიანები

აკადემია 1 0:1 ვეფხვები 2
აკადემია 2 1:2 ავაზა
შევარდენი 3:2 35-ე სკოლა 1
ვეფხვები 3:3 მთ. გლობუსი
იმედი 1:3 საბურთალო
35-ე სკოლა 2 7:3 35-ე სკოლა 3
ქუთაისი 0:1 35-ე სკოლა 4
ნ. დინამო 1 5:0 ამერი
ნ. დინამო 2 1:2 ოლიმპიკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო 1 | 13 | 11 | 1 | 1 | 59:6 | 34 |
| აკადემია 1 | 13 | 11 | 0 | 2 | 47:19 | 33 |
| შევარდენი | 13 | 9 | 2 | 2 | 27:13 | 29 |
| 35-ე სკოლა 1 | 13 | 9 | 1 | 3 | 38:18 | 28 |
| ავაზა | 13 | 9 | 1 | 3 | 36:19 | 28 |
| საბურთალო | 13 | 7 | 3 | 3 | 34:17 | 24 |
| მთ. გლობუსი | 13 | 6 | 4 | 3 | 36:20 | 22 |
| ოლიმპიკი | 13 | 5 | 4 | 4 | 30:17 | 19 |
| ნ. დინამო 2 | 13 | 5 | 3 | 5 | 25:17 | 18 |
| ამერი | 13 | 5 | 2 | 6 | 18:27 | 17 |
| ვეფხვები 2 | 13 | 4 | 4 | 5 | 16:19 | 16 |
| 35-ე სკოლა 2 | 13 | 4 | 3 | 6 | 30:36 | 15 |
| ქუთაისი | 12 | 3 | 2 | 7 | 14:27 | 11 |
| 35-ე სკოლა 4 | 13 | 3 | 2 | 8 | 11:25 | 11 |
| აკადემია 2 | 13 | 3 | 1 | 9 | 18:43 | 10 |
| ვეფხვები | 13 | 2 | 2 | 9 | 17:40 | 8 |
| იმედი | 13 | 1 | 2 | 10 | 13:50 | 5 |
| 35-ე სკოლა 3 | 12 | 0 | 1 | 11 | 12:68 | 1 |

### 1994-წლიანები

#### I ჯგუფი

ლოკომოტივი 3:0 ვეფხვები
35-ე სკოლა 1 4:2 ამერი
აკადემია 1:0 ერთობა
ავაზა 1:5 ნ. დინამო 1
საბურთალო 4:3 35-ე სკოლა 3
თბილისი 2 3:0 აკადემია 1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 13 | 12 | 1 | 0 | 65:3 | 37 |
| 35-ე სკოლა 1 | 12 | 11 | 1 | 0 | 46:8 | 34 |
| ნ. დინამო 1 | 13 | 9 | 1 | 3 | 35:11 | 28 |
| ამერი | 13 | 8 | 0 | 5 | 30:19 | 24 |
| საბურთალო | 11 | 7 | 1 | 3 | 33:20 | 22 |
| აკადემია | 13 | 5 | 5 | 3 | 18:18 | 20 |
| თბილისი 2 | 13 | 6 | 1 | 6 | 25:32 | 19 |
| ვეფხვები | 13 | 4 | 3 | 6 | 14:33 | 15 |
| 35-ე სკოლა 3 | 13 | 3 | 2 | 8 | 21:31 | 11 |
| ერთობა | 12 | 1 | 1 | 10 | 8:30 | 4 |
| ავაზა | 12 | 1 | 0 | 11 | 11:50 | 3 |
| აკადემია 1 | 12 | 0 | 0 | 12 | 1:52 | 0 |

#### II ჯგუფი

გორი 3:0 თბილისი 3
შევარდენი 3:2 ნ. დინამო 2
ოლიმპიკი 2:2 აკადემია 94
ამერი 2 3:0 მთ. გლობუსი
იმედი 6:0 35-ე სკოლა 2
თბილისი 1 0:0 35-მეტეხი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 13 | 12 | 0 | 1 | 34:8 | 35 |
| იმედი (თბ) | 13 | 9 | 1 | 3 | 42:15 | 28 |
| თბილისი 1 | 13 | 8 | 4 | 1 | 38:12 | 28 |
| აკადემია 94 | 13 | 8 | 3 | 2 | 33:13 | 27 |
| 35-მეტეხი | 13 | 7 | 1 | 5 | 29:22 | 22 |
| ოლიმპიკი | 12 | 6 | 3 | 3 | 20:14 | 21 |
| ვეფხვები 2 | 11 | 4 | 3 | 4 | 18:24 | 15 |
| გორი | 12 | 4 | 2 | 6 | 19:23 | 14 |
| 35-ე სკოლა 2 | 13 | 4 | 0 | 9 | 18:36 | 12 |
| მთ. გლობუსი | 13 | 3 | 2 | 8 | 13:28 | 11 |
| თბილისი 3 | 12 | 2 | 2 | 8 | 13:33 | 8 |
| ამერი 2 | 12 | 2 | 2 | 8 | 17:26 | 8 |
| ნ. დინამო 2 | 12 | 1 | 1 | 10 | 9:36 | 4 |

### 1995-წლიანები

საბურთალო 3:3 ჰერეთი
35-ე სკოლა 2 4:3 35-ე სკოლა 3
35-ე სკოლა 1 0:1 ავაზა 2
ავაზა 1 0:3 აკადემია 1
ნ. დინამო 3:0 აკადემია 95

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო | 11 | 10 | 0 | 1 | 52:4 | 30 |
| აკადემია 95 | 11 | 7 | 1 | 3 | 32:10 | 22 |
| აკადემია 1 | 11 | 7 | 0 | 4 | 16:9 | 21 |
| საბურთალო | 11 | 6 | 2 | 3 | 37:24 | 20 |
| ჰერეთი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:22 | 20 |
| ავაზა 2 | 11 | 6 | 0 | 5 | 20:24 | 18 |
| 35-ე სკოლა 1 | 11 | 5 | 1 | 5 | 34:25 | 16 |
| ავაზა 1 | 11 | 3 | 0 | 8 | 18:27 | 9 |
| 35-ე სკოლა 2 | 11 | 1 | 1 | 9 | 8:55 | 4 |
| 35-ე სკოლა 3 | 11 | 0 | 1 | 10 | 15:53 | 1 |

### 1996-წლიანები

ავაზა 0:3 ვეფხვები 1
იმედი 1:7 ლოკომოტივი
შევარდენი 4:1 ვეფხვები 2
თბილისი 1:0 ოლიმპი
ჩემპიონი 0:4 35-ე სკოლა
საბურთალო 1:4 ოლიმპიკი
ნ. დინამო 2 1:8 აკადემია 1
ნ. დინამო 1 3:0 აკადემია 2
გორი 6:1 ამერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გორი | 14 | 12 | 1 | 1 | 55:20 | 37 |
| 35-ე სკოლა | 14 | 11 | 3 | 0 | 70:14 | 36 |
| ჩემპიონი | 14 | 9 | 3 | 2 | 56:26 | 30 |
| შევარდენი | 14 | 9 | 1 | 4 | 38:13 | 28 |
| ნ. დინამო 1 | 14 | 9 | 1 | 4 | 57:39 | 28 |
| ოლიმპიკი | 13 | 8 | 1 | 4 | 34:14 | 25 |
| ოლიმპი | 14 | 8 | 0 | 6 | 43:16 | 24 |
| აკადემია 1 | 14 | 7 | 3 | 4 | 40:30 | 24 |
| თბილისი | 14 | 7 | 1 | 6 | 28:29 | 22 |
| ამერი | 14 | 6 | 4 | 4 | 36:38 | 22 |
| ვეფხვები 1 | 13 | 6 | 1 | 6 | 37:21 | 19 |
| აკადემია 2 | 14 | 5 | 3 | 6 | 26:30 | 18 |
| საბურთალო | 14 | 4 | 2 | 8 | 33:49 | 14 |
| იმედი | 14 | 4 | 0 | 10 | 23:33 | 12 |
| ლოკომოტივი | 14 | 3 | 1 | 10 | 18:39 | 10 |
| ავაზა | 14 | 2 | 0 | 12 | 19:64 | 6 |
| ვეფხვები 2 | 14 | 2 | 0 | 12 | 6:75 | 6 |
| ნ. დინამო 2 | 14 | 0 | 1 | 13 | 20:90 | 1 |

### 1997-წლიანები

აკადემია 1:0 ნ. დინამო 3
35-ე სკოლა 2 8:1 ამერი
თბილისი 2 1:4 ნ. დინამო 1
თბილისი 1 6:0 საბურთალო
ავაზა 0:0 იმედი
ნ. დინამო 2 3:5 35-ე სკოლა 1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი 1 | 12 | 12 | 0 | 0 | 55:9 | 36 |
| 35-ე სკოლა 2 | 12 | 9 | 1 | 2 | 36:10 | 28 |
| ლოკომოტივი | 12 | 7 | 2 | 3 | 40:22 | 23 |
| საბურთალო | 12 | 6 | 0 | 6 | 34:28 | 18 |
| იმედი (თბ) | 12 | 5 | 3 | 4 | 29:22 | 18 |
| ავაზა | 12 | 5 | 3 | 4 | 19:19 | 18 |
| ნ. დინამო 1 | 12 | 5 | 2 | 5 | 30:35 | 17 |
| თბილისი 2 | 12 | 4 | 4 | 4 | 24:26 | 16 |
| 35-ე სკოლა 1 | 12 | 5 | 0 | 7 | 23:39 | 15 |
| აკადემია | 12 | 3 | 3 | 6 | 24:29 | 12 |
| ამერი | 12 | 3 | 3 | 6 | 18:34 | 12 |
| ნ. დინამო 3 | 12 | 2 | 1 | 9 | 17:29 | 7 |
| ნ. დინამო 2 | 12 | 1 | 0 | 11 | 19:66 | 3 |

### 1998-წლიანები

გორი 2:1 ლოკომოტივი
ნ. დინამო 2 0:3 შევარდენი
ამერი 4:5 აკადემია
ავაზა 1:0 ნ. დინამო 3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გორი | 10 | 7 | 2 | 1 | 34:20 | 23 |
| ლოკომოტივი | 11 | 7 | 1 | 3 | 38:17 | 22 |
| ნ. დინამო 1 | 10 | 6 | 3 | 1 | 29:17 | 21 |
| აკადემია | 11 | 6 | 1 | 4 | 25:20 | 19 |
| ავაზა | 11 | 6 | 0 | 5 | 32:28 | 18 |
| შევარდენი | 11 | 5 | 0 | 6 | 25:26 | 15 |
| ამერი | 11 | 3 | 1 | 7 | 27:31 | 10 |
| ნ. დინამო 3 | 10 | 3 | 1 | 6 | 20:36 | 10 |
| ნ. დინამო 2 | 11 | 0 | 1 | 10 | 3:38 | 1 |



საკმაო ხანია, რაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად კახა ცხადაძე დაინიშნა, მაგრამ მის გაწვრთნილ გუნდს ჯერ თამაში არ ჩაუტარებია და უახლოეს დღეებში ერთბაშად ორი მატჩი ელის.
ჩვენები 27 მარტს სტუმრად კვიპროსს გაეჯიბრებიან ამხანაგურად, 1 აპრილს კი საქართველოში ბელარუსი ჩამოვა.
მოგეხსენებათ, აქამდე ცხადაძე აზერბაიჯანულ „სტანდარდში" მუშაობდა და მასთან კონტრაქტის განყვეტა მოუხდა.
ჩვენც პირველად ამ ნაბიჯზე ვკითხეთ...

# საქართველოს ნამდვილად აქვს წარმატების შანსი!

## მინდა, რაც შეიძლება ბევრი ფეხბურთელი გავსინჯო

— იქ ძალიან დიდი სამუშაო გავწიე. ფაქტობრივად, ერთ სეზონში ორი გუნდის გაკეთება მომიწია. ჩემი აზრით, ძალიან კარგად დაბალანსებული გუნდი დავტოვე, რომელსაც სამეულისთვის ბრძოლაც შეუძლია. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცობა რომ შემომთავაზეს, ეს ძალიან სასიამოვნო იყო. ყოველთვის ჩემი ქვეყნის გვერდით ვდგავარ და სულ ასე იქნება. მე ჯერ ახალგაზრდა მწვრთნელი ვარ და, რა თქმა უნდა, წინსვლა მსურს. ჩვენ ისეთი მეტოქეები შეგვხვდა ჯგუფში, როგორიც შვეიცარია, ირლანდია და თურქეთი არიან. მათთან ბრძოლა ძალიან საინტერესოა და ძალიან მინდა, წარმატებას მივაღწიო.

— ექტორ რაულ კუპერის მსგავსად, გასაცნობი ხასიათის ვარჯიში თქვენც ჩაატარეთ, თუმცა ძირითადად ისეთი ფეხბურთელები გყავდათ გამოძახებული, რომლებსაც საქართველოში ნაკლებად იცნობენ...

— ჩვენი მწვრთნელთა შტაბის ყველა წევრი საქართველოს ჩემპიონატის თამაშებს ვესწრებით. განაწილებული გვაქვს, ვინ რომელ თამაშზე წავა. ყველას ვაკვირდებით, არ გვინდა, ვინმე გამოგვრჩეს. ასეთი ვარჯიშების დროს კი უკეთ გაცნობის საშუალება გვეძლევა. ხედავ, როგორ ასრულებს ის შენს მითითებებს. ამ ფეხბურთელებს ვიცნობთ, ვუხსნით, რა გვსურს მათგან, რადგან შემდეგ უფრო მომზადებული მოვიდნენ და ისევ ნულიდან არ დაგვჭირდეს საქმის დაწყება.

— როგორც ვთქვით, ექტორ რაულ კუპერიც ატარებს ასეთ ვარჯიშებს. ახლა თქვენც დაიწყეთ. ქართული კლუბებიდან რამე პრობლემა ხომ არ იქმნება?

— ღვთის მადლით, ჯერ პრობლემა არ შეგვქმნია და იმედი მაქვს, არც შეგვექმნება.

— თქვენი სამწვრთნელო შტაბი ბოლომდე ჩამოყალიბდა?

— დიახ. მეხმარებიან ზაურ სვანაძე, გელა ინალიშვილი, ოთარ გაბელია და დავით გვარამაძე. მურთაზ შელია კი სკაუტი იქნება.

— კვიპროსზე რამდენი ფეხბურთელი მიგყავთ?

— მასპინძელთა მოთხოვნით მხოლოდ 18 ფეხბურთელი, მაგრამ 1 აპრილს ხომ ბელარუსებს ვეთამაშებით და არ არის გამორიცხული, ამ თამაშში სულ სხვა შემადგენლობით ვითამაშოთ. მინდა, რაც შეიძლება, მეტი ფეხბურთელი გავსინჯო.

— ამ ორი ამხანაგური მატჩის გამართვა გადაწყვეტილია და შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე, სავარაუდოდ, კიდევ რამდენ ტესტმატჩს გეგმავთ?

— 12 აგვისტოს ლიტვას ვეთამაშებით. აპრილში და მაისში ძალიან მჭიდრო კალენდარია და თანაც ფიფას დღეები არ არის. იქნებ ერთი მატჩი მაინც ვითამაშოთ ამ დროში — აზერბაიჯანის ნაკრები წინააღმდეგი არ არის და ვნახოთ...

— საქართველოში მოთამაშე ნაკრების კანდიდატებს აკვირდებით, მაგრამ უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელებზე რა ინფორმაცია გაქვთ და აქვს თუ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას იმდენი ფინანსური საშუალება, რომ მათ თავად დააკვირდეთ?

— მოგეხსენებათ, მსოფლიოში რა ფინანსურ კრიზისია და, რა თქმა უნდა, ჩვენთანაცაა პრობლემები. ფედერაციის გენერალური მდივანი რეზო არველაძე ჩემი მეგობარია და მაქსიმუმს აკეთებს, რათა ყველანაირად ხელი შემიწყოს. ამ ეტაპზე ამის საშუალება არ არის, მაგრამ ფეხბურთელთა მატჩების დისკების ნახვის საშუალება ნაღდად გვაქვს. საკმაოდ ბევრი ქართველი ფეხბურთელია უცხოეთში. მაგალითად, ახლახან „ვიტებსკის" მწვრთნელ ხაცკევიჩს ვესაუბრე. მის გუნდში მაისურაძე თამაშობს და ეს ბიჭი ძალიან შემიქო. მას აუცილებლად ვნახავთ საქმეში.

— შესარჩევი ეტაპი ჩვენ სექტემბერში გვეწყება, მაგრამ ჩვენი თანაჯგუფელები 31 მარტს იწყებენ — ირლანდია თურქეთს შეხვდება. მეტოქეებზე ალბათ აგროვებთ ინფორმაციებს...

— რა თქმა უნდა, ამ გუნდებმა უკვე ითამაშეს ამხანაგურები, მაგრამ ოფიციალური თამაში მაინც სხვაა. ამ თამაშის დისკს მომაწვდიან.

— ახლა შანსებზე ლაპარაკი შეიძლება ნაადრევია, მაგრამ რეალურად რომ შევხედოთ, აქვს საქართველოს წარმატების შანსი?

— ერთს დანამდვილებით გეტყვით: ჩვენი გუნდი მოედანზე გავა მაქსიმალურად მობილიზებული და მოგებაზე დაგეშილი. შანსებზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მაგრამ საქართველოს ნამდვილად აქვს წარმატების შანსი.

**ნუგზარი ლოლაძე**

### კახა ცხადაძემ კვიპროსის ახალგაზრდულ ნაკრებთან სათამაშოდ ეს შემადგენლობა შეარჩია

*მეკარეები:* როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), რევაზ თევდორაძე (ვაგრა), გიორგი ლოხაბერიძე (დინამო);

*მცველები:* დავით მჭედლიშვილი (ამერი), მაკარ აქუბარდია (მგლები), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), ლაშა თოთაძე (დინამო 2, უკრაინა), ლევან კაკუბავა (დინამო), გულვერდ თომაშვილი (დინამო), ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი);

*ნახევარმცველები:* მერაბ დაუშვილი (ზესტაფონი), ირაკლი ძარია (ზესტაფონი), ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი), თორნიკე გორგიაშვილი (ზესტაფონი), გიორგი გაბედავა (ვაგრა), თამაზ ჩარგეიშვილი (ვაგრა), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვალერი ბოლქვაძე (დინამო, თბილისი), ირაკლი ხუციძე (ამერი), გიორგი განუგრავა (უგუნდოდ);

*თავდამსხმელები:* მიხეილ რონსტიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვახტანგ კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია), ბესიკ ჩიმაკაძე (ამერი), მათე ვაწაძე (დინამო).

# ოღონდ საქართველოდან დაინტერესდნენ და...

## დავიდ ივანიდისმა ოლიმპიაკოსს გაუტანა

ადრეც ვწერდით, ბერძნული სალონიკის „ირაკლისის" დუბლებში ქართველი ბიჭი თამაშობს — 1990 წელს დაბადებული დავიდ ივანიდისი, მარჯვენა მცველი. ვფიქრობთ, საინტერესო სახე უნდა იყოს საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავკაც კახა ცხადაძისთვის. მთავარი, რაც არის, თვითონ ივანიდისიც მონადინებულია საქართველოს ნაკრებში თამაშზე. გუშინ დავიდს საბერძნეთში დავუკავშირდით და საინტერესო ამბები გამოვკითხეთ...



— როგორ მოხვდი „ირაკლისში"?

— ჭიათურაში დაბადებულ-გაზრდილი ვარ. 15 წლის რომ ვიყავი, სალონიკში წამოვედი საცხოვრებლად. მამა აქ ცხოვრობდა უკვე 10 წელი. თავიდან კლუბ „აიას ევისმოუში" მივედი. შარშან კი ამ კლუბის პრეზიდენტმა „ირაკლისში" მიმიყვანა აბსოლუტურად უსასყიდლოდ. რაც უნდა იყოს, „ირაკლისი" სახელიანი კლუბია და აქ უფრო მოვუმატებდი.

— საქართველოში ჩამოდიხარ ხოლმე?

— როცა თავისუფალი დრო მაქვს, აუცილებლად. საქართველოში ძმა მყავს, რომელიც დაოჯახებულია. დედა გარდაცვლილია და მის საფლავზეც ავდივარ ხოლმე ჭიათურის რაიონის სოფელ კაცხში.

— გასაგებია. „ირაკლისში" შენს თამაშზე რას იტყვი, როგორ მიგდის საქმეები?

— დუბლების ძირითადში სტაბილურად ვთამაშობ მარჯვენა მცველად. ბოლო ტურში „ოლიმპიაკოსს" 2:1 მოვუგეთ და გოლიც გავიტანე, 2:0 დავწინაურდით. დუბლების ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე ვართ. აქ ყველაფერია საიმისოდ, რათა დიდი ფეხბურთი ითამაშო. „ირაკლისს" სასწაული ბაზა აქვს ექვსი მოედნით. ვატყობ, რომ ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და ძალიან მინდა, დიდი ფეხბურთი ვითამაშო.

— საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი ხარ და ნაკრებში თამაშის არჩევანი რომ გქონდეს, რომელს აირჩევ: საქართველოს თუ საბერძნეთს?

— უეჭველად საქართველოს. ბედნიერი ვიქნები, თუ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიდან გამომიძახებენ. მართალია, საბერძნეთის მოქალაქეობა მაქვს და საქართველოსი არა, მაგრამ თუ ინტერესი იქნება, რა პრობლემა უნდა იყოს, ავიღებ ქართულ პასპორტს. ბოლოს და ბოლოს, 15 წელი მანდ ვიცხოვრე.

— მოკლედ, ეს გადაწყვეტილი გაქვს...

— დიახ. ოღონდ საქართველოდან დაინტერესდნენ და მზად ვარ.

**ილია ნანობაშვილი**

# კრუშკო და ფანები



www.fcdinamo.ge

**თბილისის** „დინამოს" სლოვაკმა მცველმა მილოშ კრშკომ ცხინვალის „სპარტაკთან" მატჩში (2:2) ფეხი რომ მოიტეხა, გეცოდინებათ. კრკშო დღე-დღეზე სამშობლოში დაბრუნდება ოპერაციის გასაკეთებლად და, ბუნებრივია, ამ სეზონში ველარ ითამაშებს.

ეს ფოტო კი რამდენიმე დღის წინაა გადაღებული — „დინამოს" ფანები კრშკოს შინ ესტუმრნენ და მალე გამოჯანმრთელება უსურვეს, რასაც, ცხადია, ჩვენც ვუერთდებით.

# ფეხბურთი: სად გართობა, სად ცხოვრების არსი...

...სოლოლაკში დაბადებულ-გაზრდილი ბიჭი ჩეხეთის მეორე ლიგის გუნდში აღმოჩნდა, იქ კარგად ითამაშა, მაგრამ საქართველოში დაბრუნდა. თითქმის არავინ იცნობდა, როცა გიორგი დევდარიანის „თბილისში" გაილაღა. მალე კაპიტნის სამკლავურიც მოარგეს. ფეხმარდი, გამხდარი და ტექნიკური ბიჭი საქართველოში ცნობილი გახდა, მერე თბილისის „დინამოში" გადაიყვანეს და ეროვნულ ნაკრებშიც დაუძახეს.
...ყველაფერი კარგად მისდიოდა, მაგრამ ბედმა უმუხთლა, მიზეზთა გამო ერთი წელი გაუცდა. გამოვიდა და ისევ ისეთი „ოდო" გახდა — „დინამოში" შეუცვლელი.
ახლა უკვე უნგრული „დიორ ეტოს" ერთ-ერთი საუკეთესო ახალწვეულია და ეროვნულ ნაკრებშიც მუდმივად იწვევენ.
საფეხბურთო წრეში კაცი არ გვინახავს, დავით ოდიკაძეზე ცუდი ეთქვას, უფრო მეტად, თავისი გულისხმიერობით და ადამიანობით დაამახსოვრა თავი ყველას...



## დავით ოდიკაძე: ასე დიდხანს არ გაგრძელდება

— ღმერთის წყალობით, „დიორ ეტო" თამაშს არ აგებს. მართლაც კარგ ფეხზე გადმოვედით აქ მე და რატი ალექსიძე, მაგრამ თუ წავაგებთ, ჯობია, სახლიდან გარეთ არ გამოვიდეთ — გვითხრა ოდიკაძემ.

— რატომ, ასეთი ექსპანსიური ფანები გყავთ?

— საკმაოდ. შინ 15 ათასი გულშემატკივარი გარანტირებულია, სტუმრადაც კი მინიმუმ 300 კაცი დაგვყვება. უნგრეთის კვალობაზე ცოტა არ არის.

— შენ და რატის ქალაქში თუ გცნობენ?

— კი. დიორი პატარა ქალაქია, აქ ლამის ყველა ყველას იცნობს. თამაში როცა არ არის, იმ დღეებშიც კი ბევრნი გუნდის მაისურებით დადიან.

— ამაზე მერეც ვთქვათ. ჯერ ის გვითხარი, როგორ აღმოჩნდით „დიორში"...

— „დინამოსთან" კონტრაქტი რომ დამიმთავრდა, ბევრი ვარიანტი მქონდა, მაგრამ... „დიორ ეტოს" შარშან ზაფხულში სდომებია რატის აყვანა, ხოლო მე რომ ჩაველი, შემეკითხნენ, ღირს თუ არა მისი შეძენაო. ალექსიძეზე კარგს ვერავის აიყვანთ-მეთქი, ვუთხარი. საბედნიეროდ, პროგნოზი მიმართლებს.

— რატის გოლები კი გააქვს, მაგრამ შენგან განსხვავებით, ძირითადში არ აყენებენ...

— ეჭვიც არ მეპარება, რომ მალე დააყენებენ. დღესაც გუნდის კრება იყო და რატი საგანგებოდ შეაქეს. ძალიან კარგად თამაშობს, მისი გამოსვლა და „დიორ ეტოს" შეტევების გამწვავება ერთია.

— როგორ მიგიღეს გუნდში?

— ძალიან თბილად. მართლაც მეგობრული გუნდია. ფანებისგანაც მხოლოდ სითბოს ვგრძნობ, ეგ კი არა, ვატყობ, უნგრელებზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ ვუყვარვართ.

— რა ენაზე საუბრობ თანაგუნდელებთან?

— მწვრთნელი სერბი გვყავს და რუსული იცის. სლავი ფეხბურთელები გვყავს და მათაც იციან რუსული. უნგრელების უმეტესობა ინგლისურად ლაპარაკობს, რატიმაც კარგად იცის ინგლისური და რასაც ვერ ვიგებ, მიხსნის-ხოლმე. მოკლედ, ენის პრობლემა არ არის.

— იმიტომ გკითხე, რომ ცნობილია, უნგრული ენა ერთ-ერთი ყველაზე რთულია...

— კი, მასეა. თუ ოდნავ მაინც რამე არ იცი, მათგან ვერაფერს გაიგებ.

— ჩახვედით და „დიორ ეტო" თითქმის მუდმივად იგებს. რატომ იყო მანამდე გუნდი ჩავარდნილი მე-13 ადგილზე?

— მწვრთნელის პრობლემა იყო, თან მას რაღაც უთანხმოება ჰქონია კლუბის ხელმძღვანელობასთან. ახალ მწვრთნელს კი ყველა აქებს და ეს გუნდსაც დაეტყო.

— მარჯვენა მცველად გათამაშებენ. მართალია, შენთვის უცხო პოზიცია არ არის, მაგრამ ალბათ წინ გირჩევნია...

— 4-3-3 სქემით ვთამაშობთ, სადაც თითქმის მთელი ფლანგი მიკავია და შეტევებს დიდ დროს ვუთმობ. შეიძლება ითქვას, უფრო მეტს ვუტევ, ვიდრე თავს ვიცავ.

— საგოლე პასებიც მოგიგროვდა...

— ამასწინათ თასზე 7:0 მოვიგეთ და სამი საგოლე პასი ჩემი იყო. ერთხელ ჩემპიონატშიც გავატანინე თანაგუნდელს.

— როგორია უნგრეთის ჩემპიონატის სპეციფიკა? უფრო ტექნიკას ანიჭებენ უპირატესობას თუ ფიზიკურ მომზადებას?

— საქართველოს ჩემპიონატთან შედარებით, ორივე მაღალ დონეზეა. საერთოდ, აქ ჯანზე თუ მაგრად არ ხარ, ვერ ითამაშებ. ბევრი ბრძოლაა, თუმც „დიორ ეტო" უნგრეთში ყველაზე ტექნიკური გუნდია. ამას მე არ ვიგონებ, აქაურები აღნიშნავენ.

— უნგრეთისა და საქართველოს საფეხბურთო დონება ძალიან წააგავს ერთმანეთს: იყო დრო, უნგრეთს მსოფლიოში საუკეთესო ნაკრები ჰყავდა. თუმც, ოც წელზე მეტია, დიდ ტურნირებზე არ უთამაშიათ. რითი ხსნიან უნგრელები ასეთ მწარე ჩავარდნას?

— ფინანსები არ იდებოდა ფეხბურთში, ალბათ თაობაც ვეღარ მოდიოდა ისეთი, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, ამოიწევენ. ახლა უკვე სერიოზულად უდგებიან ფეხბურთს, დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა ფეხბურთსაც. როგორც გავიგე, ჩემპიონატიც ახლა უკეთესი აქვთ, ვიდრე 5-10 წლის წინ. ჯერ მარტო უმაღლესი ლიგის არცერთი კლუბის ბიუჯეტი 10 მილიონ ევროზე ნაკლები არ არის...

...ამასწინათ თავისუფალი დღე გვქონდა და „ფერენცვაროშის" საშინაო თამაშზე წავედით. წარმოიდგინეთ, მეორე ლიგის მატჩზე 35 ათასი მაყურებელი მივიდა. კი, „ფერენცვაროში" უნგრეთის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია და ალბათ წლეულსვე ამოვა უმაღლესში, მაგრამ ამდენი გულშემატკივარი მეორე ლიგაში? ეს ცხადყოფს, რომ აქ ფეხბურთი ძალიან უყვართ.

— ფეხბურთი ჩვენთანაც უყვართ, მაგრამ სტადიონები ცარიელია...

— ეს იმიტომ, რომ ჩემპიონატის დონე დაბალია. როცა იცი, რომ კლუბი დაშლის პირასაა, იმის თამაშის საყურებლად სტადიონზე გული არ გაგიწევს. აქ არც ვამბობ, რომ საქართველოში კლუბები ასეთ დღეშია და 300 გულშემატკივრის მისვლა ზეიმია...

— უნგრეთის ჩემპიონატში თამაშები დაძაბულია თუ ლიდერ-აუტსაიდერს იოლად გაარჩევ?

— არ გადავამეტებ, ძალიან დაძაბული თამაშებია. ნებისმიერი გუნდი სწრაფ ტემპში თამაშობს და დიდი ანგარიშითაც რომ აგებდეს, ბოლომდე იბრძვის. რატომაც არ უნდა იყოს ასე? კარგი მინდვრები, ბაზები, პირობები...

— კრიზისი?




„დიორ ეტოს" ფანებმა ქართველ ახალწვეულებს საქართველოს დროშაც გამოუფინეს

— როგორ გითხრათ, მე ვერ ვგრძნობ აქ კრიზისს.

— დიორი როგორი ქალაქია, რა თავისებურებები აქვს?

— ლამაზი, კოხტა ქალაქია. ვერაფერს დაუწუნებ. ეგაა, ამინდებია ცუდი. დღესაც მოთოვა. გრძნობ, რომ შუაგულ ევროპაში ხარ, სადაც შეგიძლია მარტო ფეხბურთზე იფიქრო. მომწონს ისიც, რომ „დიორ ეტო" პოპულარული კლუბია — „ფერენცვაროშის" მერე ყველაზე მეტად ამ გუნდს აფასებენ და უყვართ, პრესა-ტელევიზია დიდ ყურადღებას გვაქცევს.

— „ნიირედიჰაზაში" დავით იმედაშვილი თამაშობს. მასთან გაქვს ხოლმე კონტაქტი?

— რა თქმა უნდა. დათოს გუნდს ცუდად წაუვიდა საქმეები, მეორე წრეში წაგებები დაიწყეს, თორემ მანამდე მეექვსე ადგილზე იყვნენ. „ნიირედიჰაზას" ერთ თამაშს ვუყურე და იმედაშვილი ნამდვილი ლიდერი იყო. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ქართველია, მართლა გამოირჩეოდა.

— თასის ნახევარფინალში გახვედით და ალბათ, უეფას თასის საგზურს უმიზნებთ...

— კარგი შანსი გვაქვს და ვნახოთ. შარშანდელი „დიორ ეტოსა" და წლევანდელის შედარება არც შეიძლებაო, ასე ამბობენ. კარგი ფეხბურთელები მოგვიგროვდა — თუნდაც ბოიან ნეზირი, რომელიც „ვოლფსბურგში" თამაშობდა ან ტარმო კინკი, ვისაც კარგი სეზონები ჰქონდა რუსეთის პრემიერლიგაში.

— შენი ყოფილი გუნდის ამბებით ინტერესდები?

— რა თქმა უნდა, „დინამო" ყოველთვის ჩემს გულშია, აქ მაქვს ქართული არხები და თუ საშუალებაა, თამაშებსაც ვუყურებ. მეწყინა, მილოშ კრშკო და მათე ვაწაძე რომ დაშავდნენ. მათ გარეშე ძნელია თამაში. მენატრებიან „დინამოს" ფანებიც — აი, „დიორ ეტოს" ხომ გაცილებით მრავალრიცხოვანი ფან-კლუბი ჰყავს, მაგრამ მათთვის ფეხბურთი უფრო გართობაა, არაფერი უჭირთ, ცხოვრების საფიქრალი არა აქვთ და სტადიონზე ერთობიან. „დინამოს" ფან-კლუბს რომ „დინამო" უყვარს, ეს სულ სხვაა — მათთვის ეს განცდაა, ნებისმიერი წაგება, ტრაგედიაა...

— ნაკრებზეც ვთქვათ: კვიპროსთან და ჩერნოგორიასთან მატჩებისთვის გამოგიძახეს...

— მე გამომიძახეს და რატი არა. 22 მარტს ჩამოვალ თბილისში. მოგების დროც დადგა, ასე დიდხანს არ გაგრძელდება...

— ეს ჰაერზე ნათქვამია თუ საფუძველიც გაქვს?

— მგონია, რომ რამდენსაც ექტორ კუპერი მუშაობს, არ შეიძლება, ნაყოფი არ გამოიღოს. ყველაფერი უცებ არ ხდება. კუპერი ჯადოქარი ხომ არ არის?! მთავარია, რომ ის ჩინებული სპეციალისტია, თავს დებს სამუშაოსთვის და ამის არდანახვა არ შეიძლება. როცა მწვრთნელი ძლიერი გყავს და ფეხბურთელებიც არ არიან სუსტები, შედეგიც მოვა.

**ილია ნანობაშვილი**

# გაგრამ ოვონიკოკო უნივერიოდ დაიმატა

„გაგრამ“ კონტრაქტი გაუფორმა ნიგერიელ ოვონიკოკო აბაიომი სეუნს, ვინც კარგა ხნის ჩამოსულია საქართველოში, თუმც აქამდე თამაშის უფლება არ ჰქონდა. აი, რა წერილი გამოაქვეყნა „გაგრას“ ოფიციალურმა ვებგვერდმა ამასთან დაკავშირებით...



„ნიგერიელი ფეხბურთელი ოვონიკოკო აბაიომი სეუნი საქართველოში იანვარში კი ჩამოვიდა, მაგრამ მისი გუნდის განაცხადში შეყვანა მხოლოდ 17 მარტს მოხერხდა.

საქმე ისაა, რომ სანამ „გაგრას“ მწვრთნელთა შტაბმა ფეხბურთელზე დაკვირვება დაასრულა, მასზე საბოლოო სიტყვა თქვა და სანამ, ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციიდან მისი გათავისუფლების ფურცელის მიღების იმედი არ ამოგვეწურა, მანამდე ამ მეტად ნიჭიერი ფეხბურთელის განაცხადში შეყვანა არ მოხერხდა.

ოვონიკოკო ბრაიტონის საფეხბურთო აკადემიაში ვარჯიშობდა, თუმცა არც ერთ ოფიციალურ შეხვედრაში მონაწილეობა მიღებული არ ჰქონდა და, შესაბამისად, მისი რეგისტრაცია ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციაში არ მომხდარა.

ამდენად, ნიგერიის ფეხბურთის ფედერაცია ვალდებული იყო, პირველივე მოთხოვნისთანავე ჩვენთვის ამ ფეხბურთელის ტრანსფერის ფურცელი გამოეგზავნა, მაგრამ...

ერთი თვის მანძილზე ამ ფურცელს ამაოდ ველოდით და შემდეგ კი ამოქმედდა ფიფას წესი, რომლის თანახმადაც, თუ მხარე ერთი თვის მანძილზე ოფიციალურ პასუხს არ გასცემს ფედერაციის მოთხოვნას, ამ ფეხბურთელზე დროებითი ტრანსფერი გაიცემა და შესაბამისად, ოვონიკოკო „გაგრას“ შემადგენლობაში ერთი წლის მანძილზე უპრობლემოდ ითამაშებს, თუ ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ რაიმე პრობლემა არ შექმნა.

ფეხბურთელმა საფეხბურთო კლუბ „გაგრასთან“ სამწლიანი კონტრაქტიც გააფორმა და ამის შემდეგ, მცირე კომენტარიც გააკეთა:

„მოხარული ვარ, რომ „გაგრას“ ფეხბურთელი ოფიციალურად გავხდი. როცა გუნდის გამოსვლას ვუყურებდი, გული მწყდებოდა, რომ ვერ ვეხმარებოდი. მოუთმენლად ველოდი იმ დღეს, როცა მეც გავიდოდი მინდორზე. მიხარია, რომ ეს დღეც დადგა. იმედია, „მგლებთან“ შეხვედრაში ვითამაშებ და გოლსაც გავიტან“.



# კალაძემ ჩავარდნა ტრავმებს დააბრალა

საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე ტრავმას იშუშებს, მისი „მილანი“ კი არცთუ დამაჯერებლად თამაშობს სერია A-ში.

ამ ამბით იტალიური „ჩენელ4“ დაინტერესდა და კომენტარი ქართველ მცველს სთხოვა...

„მიმდინარე სეზონში ძალიან ბევრი პრობლემა გვქონდა. მწვრთნელს, ფაქტობრივად, არ მიეცა ოპტიმალური შემადგენლობის დაყენების საშუალება. წარმოიდგინეთ, ალესანდრო ნესტას ამ სეზონში ერთხელაც არ უთამაშია. ძნელი სათქმელია, ასე რომ არ მომხდარიყო, უეჭველად მოვიგებდით თუ არა სკუდეტოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გარკვეულ წარმატებას მაინც მივაღწევდით. იმედი მაქვს, მომავალი სეზონი უკეთესი იქნება ჩვენთვის“ — განაცხადა კახა კალაძემ.

შეგახსენებთ, რომ კალაძეს ანტვერპენში გაკეთებული ოპერაციის შემდეგ 5 თვე მოუწევს დასვენება...

„ახლა თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ მოედანზე დაბრუნებაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა. აღდგენით პროცესს რამდენიმე თვე დასჭირდება“ — განუმარტა კახამ იტალიელ ჟურნალისტებს.

**კახა შალამბერიძე**

# ნოზაძეც დაბრუნდა



**ყაზახური** „შახტიორის“ ქართველი ნახევარმცველი ლაშა ნოზაძე „გაგრაში“ ჩაირიცხა.

გაგრელთა ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ნოზაძე სეზონის ბოლომდე ითამაშებს მათ გუნდში.

შეგახსენებთ, რომ ნოზაძე ყაზახეთში წასვლამდე თბილისის „ვიტ ჯორჯიასა“ და „დინამოში“ თამაშობდა...

**კახა შალამბერიძე**

# ალექსიძე დუბლით შევიდა



**უნგრეთის** თასის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაში ქართველების „დიორ ეტომ“ 7:0 გაანადგურა დაბალლიგელი „კაზინშბარჩიკა“.

ამ მატჩში დავით ოდიკაძემ სრულად ითამაშა და სამი საგოლე პასი გააკეთა, რატი ალექსიძე კი შესვენების შემდეგ შევიდა მოედანზე და ერთი საგოლე პასი და ორი გოლი ჩაიწერა აქტივში.

შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში დიორელებმა 2:0 სძლიეს მეტოქეს.

**კახა შალამბერიძე**

# აქ რაღა გინდათ?!

## აშვეთია და აბრამიძე რუსეთის მეორე ლიგაში

**ბევრი** იარეს თუ ცოტა, რუსეთის პირველდივიზიონელ მახაჩყალის „ანჟიდან“ წასულმა ქართველებმა, მიხეილ აშვეთიამ და ვალერი აბრამიძემ თავი მეორელიგელ ბარნაულის „დინამოში“ ამოჰყვეს.

ეს გუნდი თურქეთშია შეკრებაზე და აშვეთია-აბრამიძემ უკვე ამხანაგურ მატჩში თამაშიც მოასწრეს. ბარნაულელებმა აშვეთიას გოლით 1:0 დაამარცხეს ბელარუსული „მინსკი“.

როგორც ჩანს, ორივე ქართველი სეზონს სწორედ „დინამოში“ დაიწყებს.

მართალია, რუსეთის მეორე ლიგაში თამაშის უფლება ლეგიონერებს არა აქვთ, თუმცა აშვეთიასაც და აბრამიძესაც რუსული პასპორტები გააჩნიათ და ამგვარად, ლეგიონერებად არც ითვლებიან.

**კახა შალამბერიძე**

# ვაწაძემ სეზონი დაასრულა



**თბილისის** „დინამოს“ თავდამსხმელ მათე ვაწაძეს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და ისევ საოპერაციოა.

ვაწაძემ ცხინვალის „სპარტაკთან“ წინა ტურის მატჩში (2:2) ისევ გაიტეხა ლავიწის ძვალი, რომელიც ზამთარში თითქოს მოირჩინა, თუმცა...

როგორც ითქვა, ამ ახალგაზრდა თავდამსხმელმა ნაადრევად დაიწყო ვარჯიში, რამაც გამოიწვია ტრავმის გამიზეზება.

ვაწაძე დღე-დღეზე ხელმეორე ოპერაციას გაიკეთებს და უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ, სამწუხაროდ, მისთვის ეს სეზონი დასრულებულია...

**კახა შალამბერიძე**

## ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა

# დუმილიანი ტური

**ამ** უქმეებზე ბიზნესის ჩემპიონთა ლიგაში სუპერლიგის მეორე და უმაღლესი ლიგის პირველი ტურები გაიმართა.

უმაღლეს ლიგაში გამოსარჩევია „დინამოს“ დამატება — ამ გუნდში დინამოელთა მწვრთნელები თამაშობენ.

პირველ ტურში „დინამომ“ ბუბა ტყავაძის გოლით დაამარცხა „სპორტმედია“, არადა, ჩვენი კოლეგები თავიდან ორი ბურთით იგებდნენ.

სუპერლიგის პირველ ტურში „სარბიელმა“ და „იბერია ბიზნეს ჯგუფმა“ ერთმანეთში ითამაშეს ფრე და მეორე ტურშიც თითო ქულას დასჯერდნენ. იბერიელი არჩილ არველაძის გოლი ვისოლელმა კახა ვაჩეიშვილმა უმალ გაქვითა და თამაშიც ასე დასრულდა.

„სარბიელი“ კი 3:0-ს იგებდა, მაგრამ „პალიტრამ“ გათანაბრება მოახერხა.

ტურის საუკეთესო მოთამაშედ „ოლიმპიური ვარსკვლავის“ მეკარე ზაზა ლილუაშვილი დაასახელეს.

მატჩები წუთიერი დუმილით დაიწყო: „პატრულის“ მოთამაშე ალექსანდრე კეკელიძე რამდენიმე დღის წინ ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

სარბიელელები ბიზნესის ლიგის მონაწილე ყველა გუნდის სახელით თანავუგრძნობთ დალუპულის ოჯახს.

### სუპერლიგა

**დეპარტამენტი 1:1 ოლ. ვარსკვლავი**

0:1 არმოსულაშვილი (5), 1:1 ბ. ამბიძე (17)

**პევსი 1:1 პატრული**

1:0 მაყაშვილი (10), 1:1 გელაშვილი (13)

**სარბიელი 3:3 პალიტრა**

1:0 ჯიშკარიანი (9), 2:0 გაბისკირია (10), 3:0 ჯიშკარიანი (13), 3:1 სიდამონიძე (14), 3:2 კბილაძე (22), 3:3 აფტისოვი (23)

**სეუ 6:2 შერატონი**

1:0 გოგოლაძე (5), 2:0 გუნია (7), 3:0 ჩალაძე (13), 4:0 გოგოლაძე (18), 4:1 ლავთაძე (23), 4:2 აგაჯანოვი (26), 5:2, 6:2 გოგოლაძე (27, 29)

**იბერია ბ/ჯ 1:1 ვისოლი**

1:0 ა. არველაძე (4), 1:1 ვაჩეიშვილი (5)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპარტამენტი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ვისოლი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ალგორითმი 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 6:1 | 3 |
| სეუ | 2 | 1 | 0 | 1 | 7:8 | 3 |
| პალიტრა | 2 | 0 | 2 | 0 | 5:5 | 2 |
| სარბიელი | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| ოლ. ვარსკვლავი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| იბერია ბ/ჯ | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| პატრული | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| პევსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| შერატონი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:9 | 0 |

### უმაღლესი ლიგა

**დინამო 4:3 სპორტმედია**

0:1 ბარათაშვილი (4), 0:2 ედიშერაშვილი (11), 1:2 კველიშვილი (14), 1:3 ედიშერაშვილი (19), 2:3, 3:3 ნადირაძე (24, 26), 4:3 ტყავაძე (28)

**თიბისი ბანკი 8:1 AMTS-JAMC**

1:0, 2:0 გულორდავა (7, 13), 3:0 კილაძე (17), 4:0 გულორდავა (19), 5:0 მამულაშვილი (20), 6:0, 7:0 კილაძე (21, 23), 8:0 მამულაშვილი (28), 8:1 ყაზარაშვილი (28)

**საქ. ბანკი 4:2 ალგორითმი 2**

0:1 ლობჟანიძე (2), 1:1 ბარამიძე (11), 2:1 შელია (15), 3:1 იოსავა (22), 3:2 კულიევი (23), 4:2 ცაგარეიშვილი (24)

**საქ. უნივერსიტეტი 1:3 იუ ჯი თი**

0:1 გაშიაშვილი (12), 0:2 ულჩენკო (18), 1:2 ჭოხონელიძე (19), 1:3 ქოქუაშვილი (22)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თიბისი ბანკი | 1 | 1 | 0 | 0 | 8:1 | 3 |
| საქ. ბანკი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| იუ ჯი თი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 4:3 | 3 |
| სპორტმედია | 1 | 0 | 0 | 1 | 3:4 | 0 |
| ალგორითმი 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| უნივერსიტეტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| AMTS-JAMC | 1 | 0 | 0 | 1 | 1:8 | 0 |

ელექტრონული ბიბლიოთეკა





სარბიელის არქივიდან

ავთანდილ შალამბერიძე და ამირან კაჭახიძე

მსაჯობის თემა, ცხადია, ამოუწურავია. მსაჯების მიმართ ხშირად ისმის პრეტენზიები, რომ ისინი ტენდენციურები არიან და ამის მიზეზი ანგარებაა. ეს ადრეც გვესმოდა და, სამწუხაროდ, ალბათ მომავალშიც ითქმება. ამასწინათ, რუსთავის „ოლიმპის" პრეზიდენტმა ზურაბ ჯაფარიძემ თქვა, ალექსანდრე კრიჭაშვილმა აშკარა მიკერძოებით იმსაჯაო და ისიც დაამატა — ზოგი კლუბის წარმომადგენელი მსაჯებს იმხელა ქრთამს აძლევს, რომ ისინი ცდუნებას ვერ უძლებენო. ნორმალურ ქვეყანაში კლუბის პრეზიდენტის ასეთ ნათქვამს გამოძიება მოჰყვებოდა, მით უმეტეს, ორი წელია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გვესმის, რომ კორუფციას თუ სხვა სახის გარიგებას ომს უცხადებს, თუმცა ამ ფაქტზე ჯერ კაციშვილს ხმა არ ამოუღია. მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების ხელმძღვანელებს, ამირან კაჭაძიხეს და ავთანდილ შალამბერიძეს ფეხბურთის ფედერაციაში ვესტუმრეთ და არაერთ საინტერესო თემას შევეხეთ...

# ცუდი მსაჯობა ყოველთვის ისჯება

## ადამიანების ლაფში ტყუილად ამოსვრა კარგი საქციელი არაა

— „ოლიმპის" პრეზიდენტმა ზურაბ ჯაფარიძემ თქვა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფლიგა ბინძურ საქმეებში არ არიან გარეულნი, ყველაფერში დამნაშავენი კლუბის ხელმძღვანელები არიან, რომლებიც მსაჯებს ქრთამს აძლევენო. ეს საკმაოდ მძიმე ბრალდებაა მსაჯთა კორპუსის მიმართ...

**ავთანდილ შალამბერიძე:** როცა კლუბის პრეზიდენტი ამას ამბობს, შესაბამისმა ორგანოებმა აუცილებლად უნდა მოსთხოვონ, ფაქტები წარმოადგინოს. ენამ შეიძლება ყველაფერი თქვას, მთავარია, რამდენად შეეფერება ეს ნათქვამი სიმართლეს. ზურაბ ჯაფარიძე ამას რომ ამბობს, უნდა დაამტკიცოს!

**ამირან კაჭახიძე:** კლუბის პრეზიდენტი ასეთ რამეს დაუსაბუთებლად არ უნდა ამბობდეს. ყველა კლუბის ხელმძღვანელს ვურჩევ: თუ ცხელ გულზე გააკეთებენ განცხადებებს და რამეს იტყვიან, მაშინ დაამტკიცონ. ადამიანების ლაფში ტყუილად ამოსვრა კარგი საქციელი არ არის.

**— ბრალდებები ხშირად ისმის თქვენს მიმართაც. კერძოდ, მსაჯმა რაც უნდა შეცდომა დაუშვას, მაინც დაუსჯელი რჩება...**

**ავთანდილ შალამბერიძე:** ეს სიმართლეს არ შეეფერება. ნებისმიერი მსაჯი, რომელიც ცუდ შეფასებას იღებს, დაუსჯელი არ რჩება. უბრალოდ, ჩვენ არ გვაქვს უფლება, ეს საამკარაოზე გამოვიტანოთ. მსაჯის დამკვირვებლის პატაკის მიხედვით ხდება მსაჯის შეფასება. თუ ეს არადამაკმაყოფილებელი იქნება, ვიხილავთ და შესაბამისად ვსჯით. ყველა კარგად დააკვირდეს — რომელ ტურში ვინ იმსაჯა და ვინ დაისვენა. ამ სეზონში უკვე საკმაო რაოდენობის მსაჯი დაისაჯა. მათ ორი-სამი ტური გამოტოვეს, რაც თითქმის ერთთვიანი დისკვალიფიკაციაა.

**ამირან კაჭახიძე:** ჩვენ ამა თუ იმ კლუბის ხელმძღვანელის პრეტენზიებს ვერ დავეყრდნობით — ისინი ამ შემთხვევაში ტენდენციურები არიან. ვითვალისწინებთ ჟურნალისტების ნაწერს, რადგან მათ ტენდენციურობის საბაბი არ აქვთ. მთავარი კი, ცხადია, დამკვირვებლის შეფასებაა — ვინც ცუდად იმსაჯებს, ყველა ისჯება. ჩვენზე ამბობენ, მსაჯთა კორპუსს გალავანი შემოარტყესო, რაც სიმართლე გითხრათ, სიამაყეს მმატებს. ასეც უნდა იყოს, მსაჯების საქმიანობაში ვერავინ ვერ უნდა ერეოდეს — ეს არის ფიფას და უეფას კანონი. რომელიმე კლუბის ხელმძღვანელის მითითებებზე ვერ ვილით. ვინმე კაბინეტში დამიჯდეს და ამა თუ იმ მსაჯის დანიშვნა მომთხოვოს, ეს გამორიცხულია!

**— ეროვნული ჩემპიონატი ნელნელა დასასრულისკენ მიდის და ალბათ მსაჯების მიმართ ზეწოლა კიდევ უფრო გაძლიერდება...**

**ავთანდილ შალამბერიძე:** ეს თავისთავად. ჩვენი სურვილია, ყველა კლუბი თანაბარ პირობებში იყოს და მსაჯებმა ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩაამთავრონ.

**ამირან კაჭახიძე:** ჩემპიონობისა და საპრიზო ადგილებისთვის საკმაო თანხაა გამოყოფილი, რაც მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს. ვიცი, რომ მოიმატებს მსაჯების მიმართ პრეტენზიებიც. კრიტიკა სულაც არ მწყინს, ეს აუცილებელიცაა. კრიტიკა წამალია, მაგრამ ამ კრიტიკაში სიბოროტე არ უნდა იყოს ჩადებული.

**— შეუმცდარი მსაჯი არ არსებობს, შესაბამისად, არც ქართველი მსაჯები არიან გამონაკლისი. ოთხი ფიფას არბიტრი გვყავს, რვა ასისტენტი და ორიც ფუტსალის ფიფას არბიტრი. ისინი უცხოეთშიც ემსახურებიან მატჩებს და საინტერესოა, როგორი შეფასებებით ბრუნდებიან...**

**ავთანდილ შალამბერიძე:** მსაჯიც ადამიანია და, რა თქმა უნდა, მასაც მოსდის შეცდომები, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ჩვენი მსაჯები ევროპიდან ცუდი შეფასებებით ჯერ არ დაბრუნებულან.

**ამირან კაჭახიძე:** იმ მატჩებს ხომ ჰყავთ უცხოელი დამკვირვებლები — ცუდად თუ იმსაჯებ, არავინ გაპატიებს.

**— ფეხბურთის ფედერაციაში სულ რამდენი მსაჯია დარეგისტრირებული?**

**ავთანდილ შალამბერიძე:** სადღეისოდ 120 მსაჯი გვყავს.

**— მსაჯობა საქართველოში საკმაოდ არაპოპულარული პროფესიაა და ახალგაზრდა მსაჯები რამდენად ბევრნი მოდიან?**

**ავთანდილ შალამბერიძე:** მსაჯთა აკადემიაში 24 გოგო-ბიჭი სწავლობს და კიდევ ბევრია მსურველი.

**— ბოლოს ერთიც: როგორ უყურებთ იმ ფაქტს, რომ ქართულმა ტოტალიზატორმა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე დაიწყო ფსონების მიღება?**

**ავთანდილ შალამბერიძე:** უარყოფითად. როგორც ამბობენ, ტოტალიზატორი ევროპაში ახდენს გავლენას ფეხბურთზე და მით უმეტეს, საქართველოში ამან შეიძლება ცუდად იმოქმედოს. ჩვენს ჩემპიონატში რამდენიმე გუნდია, რომლის ფეხბურთელებს ექვსი თვე ხელფასი არ აუღიათ. რა წამოუვლის გაჭირვებულ ფეხბურთელს, კაცმა არ იცის, შეიძლება, თავისი გუნდის წაგებაზეც კი დადოს თანხა.

**ამირან კაჭახიძე:** უარყოფითად ვუყურებ ამ საკითხს.

**ნუკრი ლოლაძე**



ჯაბა დვალი

# მჟავანაძის დებიუტი და საუკეთესო დვალი

**მოლდოვის** ჩემპიონატის გასულ ტურში „დაჩიამ" 2:0 მოუგო „აკადემიას" და ამ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ჯაბა დვალი დაასახელეს.

გამოკითხვა „დაჩიას" ოფიციალურმა ვებგვერდმა ჩაატარა და ქართველმა თავდამსხმელმაც პირველობა არავის დაუთმო.

ახალგამოჯანმრთელებული დვალი მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა და მე-60 წუთზე გახსნა ანგარიში, რაც ამ სეზონში მისი მეექვსე გოლი იყო.

შეცვლაზე ითამაშა ამ მატჩში „დაჩიას" კიდევ ერთმა ქართველმა ლეგიონერმა, ლევან კორღალიძემ. ის 51-ე წუთზე ჩაერთო თამაშში.

მომდევნო ტურში კი „დაჩია" სტუმრად 0:1 დამარცხდა ტირასპოლის „შერიფთან".

კორღალიძემ შერიფელი ვაჟა თარხნიშვილის დარად, სრულად ითამაშა, დვალი კი 67-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

ერთიც: ამ მატჩში შედგა „დაჩიას" ახალწვეულ კახა მჟავანაძის დებიუტი. ის სრულად გაისარჯა.

**კახა შალამბერიძე**

# ცქიტიშვილი უქმობს



**მეორებუნდესლიგური** „ვენის" ქართველი ახალწვეული ლევან ცქიტიშვილი ტრავმირებულია და გუნდს „ფრანკფურტთან" მატჩში ვერ დაეხმარა.

„ვენის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ცქიტიშვილს კუნთი აწუხებს.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რამდენი ხანი გაუცდება 32 წლის ქართველ ნახევარმცველს.

**კახა შალამბერიძე**

# თოთაძე სრულად, ფარცვანია ნახევრად

**კიევის** „დინამო 2" სეზონის განახლებისთვის ემზადება და კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა — დაბალლიგელ „ედნისტს" 7:0 გაუმარჯვა.

კიეველთა შორის სრულად გაისარჯა ქართველი მცველი ლაშა თოთაძე. კიდევ ერთი ქართველი, ოღონდ უკრაინის მოქალაქე თემურ ფარცვანია კი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს.

**ოთარ მხეიძე**

# გეფერიძის გოლაობა



**ისრაელის** პირველი ლიგის ლიდერმა ჰაიფას „ჰაპოელმა" ირაკლი გეფერიძის ორი გოლით დაამარცხა რაანანას „ჰაპოელი" (1:0) და ნაზრატის „მაკაბი" (3:1).

„ჰაპოელთან" გეფერიძემ 34-ე წუთზე იხეირა.

ქართველი ფეხბურთელი მწვრთნელმა 68-ე წუთზე შეცვალა.

„მაკაბისთან" კი მე-13 წუთზე გამოიჩინა თავი, რაც მისი მეშვიდე გოლი იყო ამ სეზონში.

**ოთარ მხეიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

# თურმანიძის თავისუფლები ევროპულ ხალიჩაზე

## ლუკა კურტანიძე მეექვსე ოქროსთვის იჭიდავებს



ლუკა კურტანიძე

**თავისუფალი** სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაცმა ზაზა თურმანიძემ საევროპო შემადგენლობა ჩამოწერა. ჩვენი ნაკრები 31 მარტსა და 1 აპრილს ვილნიუსში ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავებს.

თურმანიძის შეგირდები ბორჯომის 12-დღიანი შეკრების შემდეგ თბილისში ჩამოვლენ და 29 მარტს ლიტვას მიაშურებენ. ევროპულ ხალიჩაზე ტრავმის გამო არ გამოვლენ ოლიმპიური მედალოსნები — ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი (84კგ) და ბრინჯაოს პრიზიორები ოთარ თუშიშვილი (66კგ) და გიორგი გოგშელიძე (96კგ). გოგშელიძემ გვითხრა, ახლა ვმკურნალობ და ვარჯიშს როდის დავიწყებ, ჯერ ვერ გეტყვითო.

საევროპო შვიდეულიდან ექვსი საქართველოს წლევანდელი ჩემპიონია. ერთადერთი, 55 კგ-ია ისეთი, სადაც ჩემპიონი არ იჭიდავებს. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი მწვრთნელმა დიდებში საჭიდაოდ ჯერ ვერ გაიმეტა. სამაგიეროდ, ხინჩეგაშვილი ზაფხულში თბილისში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იჭიდავებს. ლიტვაში კი ამ წონაში ბესიკ გუჩაშვილი გამოვა.

სხვა წონებიდან საინტერესოა ლუკა კურტანიძის (96კგ) ნაკრებში დაბრუნება. მსოფლიოს ორგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი ევროპულ ხალიჩას კიდევ ერთხელ მოსინჯავს.

საქართველოს ნაკრები: ბესიკ გუჩაშვილი (55კგ), მალხაზ ქურდიანი (60კგ), მალხაზ მუზიაშვილი (66კგ), გელა სალირაშვილი (74კგ), ბექა ჭელიძე (84კგ), ლუკა კურტანიძე (96კგ), დავით ოთიაშვილი (120კგ).

**ნიკა კობაძე**

სპორტი



დავით ნამგალაური, ნიკა რურუა, დავით ბაქრაძე და გია ნაცვლიშვილი

# სპორტი და პოლიტეკონომია

**გასულ** კვირას სპორტის ამქარმა კაფე „მსოფლიო სპორტში" მოიყარა თავი. თავშეყრის მიზეზი საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის დავით ბაქრაძის სტუმრობა იყო. სპორტსმენებს კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკა რურუა, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი და სპორტის დეპარტამენტის თავჯდომარე დავით ნამგალაურიც შეხვდნენ.

საუბარი ნიკა რურუამ დაიწყო: „დიდი პატივია, თქვენთან ერთად ყოფნა. ვილაპარაკოთ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე, რათა არსებული მდგომარეობა გავაუმჯობესოთ."

ამის შემდეგ სიტყვა დავით ბაქრაძემ აიღო: „სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა. სამ ძირითად საკითხზე ვისაუბრებთ: ეკონომიკური კრიზისი, რუსული აგრესია და შიდაპოლიტიკური მდგრადობა..."

ბაქრაძემ საკმაოდ დიდხანს ისაუბრა სამივე საკითხზე, თუმცა მისი მონათხრობის შინაარსი სპორტული გაზეთის თემა ნაკლებადაა...

შეკრებაზე მოსულებს ბოლოს კითხვების დასმის საშუალება მიეცათ. რამდენიმე საკითხი წამოიჭრა და მალალჩინოსნებმა დაპირებებიც გასცეს, ყველაფერს გავაკეთებთო.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაცმა ზაზა თურმანიძემ თქვა, ნაკრების მოჭიდავეებს ჯარში იწვევენ და დაგვეხმარეთო. უთხრეს, რომ წერილობითი მიმართვის შემთხვევაში პრობლემა გადაიჭრებოდა.

ტანმოვარჯიშეებმა, სანაპიროზე ახალი დარბაზი რომ გადმოგვეცით კარგია, მაგრამ ვერ ვეტევითო.

სამბისტების თავკაცმა ოლეგ იაძემ ჯერ ნინო ბურჯანაძის დანაპირები გაახსენა შეკრებილთ, აქაოდა, პრემიები არაოლიმპიურ სახეობებსაც გერგებათო, თუმც ტყუილად — ჩვენ ფულს ვერ ვიღებთო, მერე კი გიორგი რევაზიშვილის განთავისუფლების საქმეში დახმარება ითხოვა და დაპირებაც მიიღო.

შეხვედრაზე კიდევ რამდენიმე საკითხი წამოიჭრა და დაუიმედებლად არავინ გაუშვიათ. შეკრებილნი სხვადასხვა განწყობით ტოვებდნენ დარბაზს, ზოგი გახარებული, ზოგიც გაკვირვებული...

**ნიკა კობაძე**

ხელბურთი

# ხელბურთელები მსოფლიოს მეზობლებით იწყებენ

**საქართველოს** ხელბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მზადებას განაგრძობს.

გაფართოებულ შემადგენლობაში 20-მდე მოთამაშეა. ბიჭებთან ერთადაა მეკარე გაგა სამყურაშვილი, ვისაც თურქულ „ჩაიკურთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და ნაკრებში ჩამოსვლა ადრიანად შეძლო.



გაგა სამყურაშვილი

ჯემალ ბარამიძის გაწვრთნილებს კიდევ ორი ლეგიონერი უნდა შეუერთდეთ: სერბული „მეტალოპლასტიკას" ხელბურთელი ირაკლი ჩიქოვანი და თემურ ლექავა. ეს ბიჭი იაპონიაში ცხოვრობს და იქვე თამაშობს ერთ-ერთი გუნდის დუბლებში. ზუსტად როდის შეუერთდებიან ნაკრებს, ჯერ უცნობია, თუმც ფედერაცია ცდილობს, მათი ჩამოსვლა რაც შეიძლება მალე მოხერხდეს.

ჩვენები B ჯგუფში პორტუგალიის, თურქეთის და ბელგიის ნაკრებებთან ითამაშებენ. ფინალურ ეტაპზე გამარჯვებული გადის. ქართველები პორტუგალიაში 9 აპრილს მიდიან. 10 აპრილს თურქეთს ვეთამაშებით, 11-ში მასპინძლებს, 12-ში კი ბელგიელებს.

**ნიკა კობაძე**

# პატარების ბოლო ტური

16 მარტი

ბათუმი 28:24 გორი

ქუთაისი 19:20 რუსთავი

17 მარტი

გორი 27:35 ქუთაისი

სამტრედია 31:23 ყვარელი

რუსთავი 46:20 ბათუმი

ფოთი 30:42 ქარიშხალა

18 მარტი

გორი 19:35 სამტრედია

ფოთი 26:38 რუსთავი

ბათუმი 23:27 ქარიშხალა

ყვარელი 27:23 ქუთაისი

19 მარტი

ფოთი 10:0 გორი (არ გამოცხადდა)

სამტრედია 24:19 რუსთავი

ბათუმი 30:40 ყვარელი

ქარიშხალა 38:14 ქუთაისი

**გლდანში** მდებარე ჯემალ ცერცვაძის სახელობის დარბაზში 1990-92 წლებში დაბადებულ ხელბურთელთა ჩემპიონატის მე-4 წრე დამთავრდა. პატარა ხელბურთელებმა საუკეთესო ოთხეული გამოავლინეს, რომელიც პლეი ოფში ითამაშებს და ჩემპიონის ვინაობას გაარკვევს.

გადამწყვეტი მატჩები, სავარაუდოდ, აპრილის შუა რიცხვებში ჩატარდება, როდესაც ახალგაზრდული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს მოილევს.

**ოთარ მხეიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 14 | 12 | 2 | 0 | 381:278 | 24 |
| ფოთი | 14 | 10 | 1 | 4 | 88:381 | 22 |
| სამტრედია | 14 | 10 | 2 | 1 | 413:337 | 21 |
| ქარიშხალა | 14 | 8 | 4 | 1 | 358:317 | 17 |
| ყვარელი | 14 | 6 | 2 | 2 | 396:377 | 14 |
| ქუთაისი | 14 | 4 | 8 | 0 | 339:409 | 8 |
| გორი | 14 | 1 | 13 | 0 | 290:421 | 2 |
| ბათუმი | 14 | 1 | 13 | 0 | 245:382 | 2 |

მეკლდეურობა

# მეკლდეურობა დარბაზში

**ალპური** კლუბის სპორტულმა დარბაზმა ქართველი მთამსვლელის და მეკლდეურის ირაკლი გელდიაშვილის მემორიალურ ტურნირს უმასპინძლა ბოლდერინგში.

შეჯიბრში საქართველოს უძლიერესმა მეკლდეურებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა — თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, ლენტეხიდან, მესტიიდან და ყაზბეგიდან. ეს ბოლდერინგში პირველი ოფიციალური შეჯიბრი იყო და ყოველწლიური გახდება.

ბოლდერინგი გახლავთ ბუნებრივი ან ხელოვნური კედლის ურთულესი მონაკვეთის მოცემულ დროში დალაშქვრა.

ვაჟებში ჩემპიონი გუგა დაბრუნდაშვილი გახდა, ვერცხლი ერეკლე მიქელაძემ დაისაკუთრა, ხოლო ბრინჯაო ავთანდილ გაზდელიანს ერგო.

გოგონებში პირველ ადგილზე ანა დულარიძე გავიდა, მეორეზე — სოფო მიმინოშვილი. მესამე ადგილი კი თამუნა მელაძეს ერგო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# 75 ზღვარი არ არის!



**თსუ-ს კალათბურთელი გიორგი მარკოიშვილი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის აბსოლუტური რეკორდსმენია: ბოლო ორი კვირის განმავლობაში ჯერ 71, მერე კი 75 ქულა ჩააგდო და დავით ჩიქოვანის რეკორდი (74 ქულა ერთ მატჩში) მოხსნა...**

**— გუნდში არსებული მდგომარეობით დავიწყოთ. ფინანსური პრობლემები ხომ არ მოგვარებულა?**

— პრობლემები არ მოგვარებულა და არც მოგვარდება. პრობლემა პრობლემად რჩება.

**— ზედიზედ ორჯერ გაგვიკვირეთ ქულებით და ჩემპიონატის რეკორდი მოხსენით..**

— 71 ქულა რომ ჩავაგდე, არ ვიცოდი, რეკორდი თუ 74 ქულა იყო, თამაშის შემდეგ გავიგე, რომ 90-იან წლებში მომხდარა ამგვარი რამ. მე სულ სამი ქულა დამაკლდა. მომდევნო თამაში „ბათუმთან" გვქონდა და ვიგრძენი, რომ რეკორდის მოხსნა შემეძლო. 75 ქულა დავაგროვე და რეკორდი მოვხსენი. გამიჭირდება, მაგრამ ვეცდები, კარიერის ბოლომდე რეკორდი კიდევ გავაუმჯობესო.

**— გუნდის მთავარი ძალა ხართ, რამდენად გეხმარებიან ახალგაზრდა მოთამაშეები?**

— ჯერ პატარები არიან იმისთვის, რომ მთელი თამაში მოედანზე იყვნენ. მაგრამ ნიჭიერები არიან. თავს არ ზოგავენ და ერთ გუნდად ვართ შეკრულები.

**— თქვენ აქამდე წარმატებად თსუ-ს ოთეხულში მოხვედრას თვლიდით...**

— რეალობას ვერ გავექცევით. მართალია, მისაგები თამაშები მოვიგეთ და ბიჭებმა ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ჩვენი გუნდი ხელწამოსაკრავი არ გამხდარიყო. პლეიოფში თამაში ძალიან კარგი იქნება ჩვენთვის. თუმცა სურვილი უფრო მეტისაც გვაქვს..

**— ვის გამოარჩევთ გუნდიდან?**

— შიო ხეცურიანი, შალვა კოხრეიძე, გულივერ ახალკაცი. გუნდში სიმაღლის პრობლემა გვაქვს. ბარბაქაძეების და ყველაშვილის წასვლის შემდეგ ფაქტობრივად, ახალკაცის იმედად დავრჩით.

**— ჩემპიონატშის 9 გუნდიდან მხოლოდ ორია არათბილისური — რუსთავიდან და ბათუმიდან. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

— ალბათ, ფინანსები. იმედი მაქვს, ქუთაისს და თელავსაც ეყოლებათ მალე გუნდები.

**— ქართული კალათბურთის გაძლიერებას რა მიზეზები აფერხებს?**

— პირველ რიგში, კალათბურთი რეგიონებში უნდა იყოს განვითარებული. შემდეგ ფინანსები, აქედან გამომდინარე ლეგიონერების ნაკლებობა.

**— რა ასაკიდან უნდა დაიწყოს ბავშვმა ვარჯიში და როდის უნდა დაასრულოს მოთამაშემ კარიერა?**

— 7-დან 10 წლამდე. ძალიან პატარაც ცოდა და 10 წლის შემდეგაც ძნელია. ან ძალიან ნიჭიერი უნდა იყოს, რომ ის წლები აინაზღაუროს. რაც შეეხება კარიერის დასრულებას, ეს მოთამაშის ფიზიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ყოფილა შემთხვევა, 40 წლის ასაკშიც უთამაშიათ და 30 წლისასაც დაუნებებიათ თამაშისთვის თავი.

**— კალათბურთელის წარმატებას რა განაპირობებს?**

— გარდა იმისა, რომ კალათბურთელს ნიჭი უნდა ჰქონდეს, იღბალიც მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, ბევრი შრომაა საჭირო, მაგრამ პირველ რიგში ვთვლი, მაინც ნიჭია საჭირო.

**— პირადი ცხოვრება თუ ახდენს გავლენას შენს თამაშზე?**

— ძალიან. თუ პირადი ცხოვრება არეული გაქვს, ნაკლებად ფიქრობ საქმეზე. როდესაც ყველაფერი წესრიგშია, თამაში უკეთ გამოგდის.

**— და რა ხდება თქვენს პირად ცხოვრებაში?**

— საინტერესო ჯერჯერობით არაფერი.

**— უცხოეთში წასვლაზე თუ ფიქრობთ?**

— აქაურ პირობებს თუ შევხედავთ, ნამდვილად სჯობს წასვლა, თუმცა გაცილებით უკეთესია, როცა საკუთარ ქვეყანაში გამოგდის ის საქმე, რასაც აკეთებ. ეს სულ სხვა გრძნობაა, სხვა სტიმულია. დარწმუნებული ვარ, საქართველოში რომ იყოს ის სიტუაცია, როგორიც უცხოეთშია, ისინი, ვინც ახლა წასულები არიან, აქ ითამაშებდნენ.

**— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ვარ. მყავს უამრავი მეგობარი. ყოველთვის ერთად ვართ და ზომიერების ფარგლებში ვერთობით. ძილი არ მიყვარს, ფხიზლად ცხოვრება მირჩევნია.

**სალომე ძლიერიყაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი

**16-წლამდელთა ჩემპიონატი**

16 მარტი. სასოფლო

**მართვე-1 95:30 აფხაზეთი**

28:7 16:11 29:8

მართვე-1: ჯიშიაშვილი (29 ქულა, 22 მოხსნა), ვარსიმაშვილი (11), გულმაგარაშვილი (10 ქულა, 11 მოხსნა)

აფხაზეთი: გოლეთიანი (9), უძილაური (8)

**მართვე-4 79:73 51-ე სკოლა**

13:17 22:10 19:13 25:23

მართვე-4: ლოლიშვილი (38 ქულა, 10 მოხსნა), ჩოჩია (14 ქულა, 6 პასი, 6 ჩაჭრა), ლევინეფაძე (8 ქულა, 12 მოხსნა)

51-ე სკოლა: ფხაკაძე (33 ქულა, 8 პასი, 9 ჩაჭრა), ბარნოვი (10), პაპაშვილი (9 ქულა, 19 მოხსნა)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მართვე-4 | 11 | 8 | 3 | 19 |
| ქუთაისი | 9 | 7 | 2 | 16 |
| მართვე-1 | 9 | 7 | 2 | 16 |
| მართვე-3 | 9 | 7 | 2 | 16 |
| 51-ე სკოლა | 9 | 6 | 3 | 15 |
| რუსთავი | 12 | 3 | 9 | 15 |
| ბათუმი | 11 | 3 | 8 | 14 |
| აფხაზეთი | 12 | 0 | 12 | 12 |

**18-წლამდელთა ჩემპიონატი**

17 მარტი. სასოფლო

**მართვე-2 105:82 1 ექსპ. სკოლა**

23:22 22:14 33:20 27:26

მართვე-2: გლოველი (44 ქულა, 13 მოხსნა, 10 პასი), ქიქვეიშვილი (23), ლომოური (19)

1 ექსპ. სკოლა: ბექაური (18 ქულა, 12 მოხსნა), ჩქარეული (18), ნიკლაური (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ნაკრები-93 61:74 აკადემია**

9:18 16:22 19:16 17:18

ნაკრები-93: ბ. ბურჯანაძე (20 ქულა, 5 დაფარება), ჭუდუმარი (9)

აკადემია: ბოქოლიშვილი (19), სალინიძე (17), თენიეშვილი (16 ქულა, 12 მოხსნა), მუმლაძე (13 ქულა, 17 მოხსნა)

**დინამო 69:72 რუსთავი**

16:25 8:16 24:14 21:17

დინამო: ალხანაიძე (31 ქულა, 8 მოხსნა), გულდედავა (9 ქულა, 9 მოხსნა), ბაქრაძე (9 ქულა, 7 პასი)

რუსთავი: დვალიშვილი (25 ქულა, 24 მოხსნა), გურული 22)

**ენერჯი-ინვესტი 75:67 მართვე-1**

17:17 22:21 14:17 22:12

ენერჯი: სანაძე (27), ჩერქეზიშვილი (12 ქულა, 7 პასი), ელანიძე (9 ქულა, 12 მოხსნა), მაღრაძე (9 ქულა, 11 მოხსნა)

მართვე-1: ტიტილაშვილი (18 ქულა, 7 მოხსნა, 9 პასი, 3 ჩაჭრა), ძიძიშვილი (13 ქულა, 9 მოხსნა), ორკობელაშვილი (11)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აკადემია | 14 | 11 | 3 | 25 |
| რუსთავი | 13 | 7 | 6 | 20 |
| დინამო | 11 | 8 | 3 | 19 |
| 1 ექსპ. სკოლა | 12 | 7 | 5 | 19 |
| ენერჯი | 11 | 7 | 4 | 18 |
| მართვე 1 | 12 | 6 | 6 | 18 |
| მართვე 2 | 12 | 5 | 7 | 17 |
| ქუთაისი | 13 | 3 | 10 | 16 |
| ნაკრები 93 | 10 | 0 | 10 | 10 |

**20-წლამდელთა ჩემპიონატი**

**სამედიცინო 71:85 მაკაბი**

22:24 20:16 16:17 13:28

სამედიცინო: ლეჟავა (26), ნიკლაური (15)

მაკაბი: ჯანგველაძე (23 ქულა, 12 მოხსნა), ლონდარიძე (18 ქულა, 23 მოხსნა), კილაძე (16)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 11 | 9 | 1 | 19 |
| სამედიცინო | 11 | 5 | 5 | 15 |
| მაკაბი | 9 | 5 | 4 | 14 |
| მართვე | 9 | 4 | 5 | 13 |
| აკადემია | 9 | 5 | 2 | 12 |
| ქუთაისი | 11 | 0 | 11 | 11 |

ავტოსპორტი

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი




# წესი არავისთვის

**ფორმულა 1-ის** სამყარო ბობოქრობს — სამეფო რბოლების მამებმა ჩემპიონის გამოვლენის ახალი წესი მიიღეს, რაც, როგორც ჩანს, მათ გარდა არავისთვისაა მისაღები.

ახალი წესი კი ასეთია: მსოფლიოს ჩემპიონი არა ქულებით, არამედ მოგებული გრან პრის რაოდენობით გამოვლინდება. შარშანაც ეს წესი რომ ყოფილიყო, ჩემპიონი არა ლუის ჰემილტონი, არამედ ფელიპე მასა გახდებოდა.

ამ ახალი წესით ქულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაითვლიან, თუ რამდენიმე პილოტი ერთნაირი რაოდენობის გრან პრის მოიგებს.

ამ სისტემის მთავარი ნაკლი ის გახლავთ, რომ შეჯიბრმა შესაძლოა, 9 ეტაპის მერე გამოავლინოს ჩემპიონი და ნახევარ სეზონს პრაქტიკულად აზრი დაეკარგოს. ეს კი არც საჯინიბოებს აწყობთ, არც საფორომულე ტრასების მეპატრონეებს, არც რეკლამის შემკვეთებს და არც ტელევიზიებს. მოკლედ — არავის.

ჰოდა, ისეთი ამბავი ატყდა, წესის მიმღებებმა თქვეს, თუ ყველა წინააღმდეგი წავა, ერთი წლით გადავდებთ ახალი წესის შემოღებასო.

დრო კი ცოტაა: პირველი გრან პრი, მელბურნში, 29 მარტს გაიმართება.

ჭადრაკი

# ლომინეიშვილმა ბრინჯაო დათმო

**სანკტ-პეტერბურგში** ქალ მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა. ქართველებიდან მედლის მოპოვებისთვის ყველაზე ახლოს მაია ლომინეიშვილი იყო. მას საბოლოოდ მესამე ადგილისთვის თამაში მოუხდა. ჯერ პოლონელ რაიკლიჩს მოუგო ტაი ბრეიკში 3:2, მერე კი რუსი ოვოდო დაამარცხდა 3:2 და ასევე რუს პოგონინას ბრინჯაოს მედლისთვის დაუპირისპირდა — 1:3 და მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. ლომინეიშვილმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვა. მსოფლიოს პირველობაზე კიდევ ერთი ქართველი სოფო ხუხაშვილი ითამაშებს. ევროპის ჩემპიონატი კი მასპინძელმა კოსტინტევამ მოიგო. მან სომეხი მკრტჩიანი დაამარცხა.

სროლა

# მერიის თასს ტყვია გაარტყეს

**ნინო სალუქვაძის** ტირში მერიის თასი გათამაშდა პნევმატური პისტოლეტით სროლაში.

ჩემპიონ-პრიზიორები რამდენიმე ჯგუფში გამოვლინდნენ. ქალებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ნინო სალუქვაძემ იჩემპიონა.

1991 და შემდგომ წლებში დაბადებულები კი ამ შეჯიბრის მერე ნაკრებს შეკრავენ და ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ. თუ ჩვენები ექვსეულში შესვლას მოახერხებენ, ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ლიცენზიას მიიღებენ.

**კაცები**

1 გივი ბურჭულაძე

2 ლევან ქადაგიძე

3 ილია მაჭარაშვილი

**ქალები**

1 ნინო სალუქვაძე

2 მეგი ქადაგიძე

3 თამილა ასათიანი

**ჭაბუკები**

1 ბექა გოგინაშვილი

2 ომარ სანოძე

3 ჯუმბერ ოქრუაშვილი

**გოგონები**

1 თეონა იაშვილი

2 ნია ხაჩიძე

3 თამარ მერებაშვილი

**დებიუტანტები**

1 გიორგი წაწალაშვილი

2 თენგიზ იმნაიშვილი

3 გიგა ნასყიდაშვილი

ჭადრაკი

ბოლო. ტური

| | | |
|---|---|---|
| სებაგი (საფრანგეთი, 2529) | 0:1 | კონერუ (ინდოეთი, 2621) |
| დანიელიანი (სომხეთი, 2496) | 1:0 | ჟაო (ჩინეთი, 2508) |
| შენი (ჩინეთი, 2448) | 0,5:0,5 | ჰოუ (ჩინეთი, 2571) |
| ჩიბურდანიძე (საქართველო, 2516) | 0:1 | ფიერო (ეკვადორი, 2403) |
| მამედიაროვა (აზერბაიჯანი, 2362) | 0,5:0,5 | ილდიზი (თურქეთი, 2214) |
| სტეფანოვა (ბულგარეთი, 2557) | 0:1 | კრამლინგი (შვედეთი, 2548) |

# ჩიბურდანიძე მსოფლიოს მარცხით დაემშვიდობა



**სტამბოლში** მოჭადრაკეთა გრან პრის გათამაშება დამთავრდა. 11 ტურად ჩათამაშებული შეჯიბრი 8,5 ქულით ინდოელმა ჰუმპი კონერუმ მოიგო. მაია ჩიბურდანიძე 12 მოჭადრაკეს შორის მე-9 ადგილს დასჯერდა.

ჩიბურდანიძე ბოლო ტურში თეთრი ფიგურებით ეკვადორელ მარტა ბაკერო ფიეროს ეთამაშა. ქართველმა მოჭადრაკემ წააგო და ჯამში 5 ქულას მოუყარა თავი.

მსოფლიოს თასზე მოთამაშე 12 მოჭადრაკე 6-დან 4 გრან პრიზე მოსინჯავს ძალებს და საუკეთესოც 4 ეტაპზე ნაჩვენები შედეგით გაირკვევა.

შეგახსენებთ, რომ გამარჯვებული 2011 წელს მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის გამოსავლენად, მოქმედ ჩემპიონ რუს ალექსანდრა კოსტენიუკს ეთამაშება.

**ოთარ მხეიძე**

საბოლოო მდგომარეობა

*8,5 — კონერუ; 8 — დანიელიანი, ჰოუ; 7,5 — ჟაო; 6 — სებაგი; 5,5 — ფიერო, კრამლინგი; 5 — სტეფანოვა, ჩიბურდანიძე; 2,5 — მამედიაროვა, შენი; 2 — ილდიზი*

# ბაადურ ჯობავას ევროპული ბრინჯაო

**ჩერნოგორიის** ქალაქ ბუდვაში ვაჟ მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა. ბაადურ ჯობავამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

11 ტურად, შვეიცარიული სისტემით ჩატარებულ პირველობაზე ჯობავამ 10 მოჭადრაკის დარად 8 ქულა დააგროვა და დამატებითი ტაი-ბრეიკი ითამაშა. ბაადურმა რუსეთის სახელით გამომსვლელ მიხეილ ქობალიასთან პირველი ბლიც-პარტია წააგო, თუმც მომდევნო ორი მოუგო და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ჰოლანდიელი ივან სოკოლოვი ელოდა. ქართველმა მეტოქეს ორ პარტიაში აჯობა და ნახევარფინალში სამ რუს მოჭადრაკესთან ერთად გავიდა.

ჯობავამ ევგენი ტომაშევსკისთან პირველი პარტია მოიგო, თუმც მერე მიჯრით ორი პარტია წააგო და მესამე ადგილისთვის მატჩში ასევე რუს ერნესტ ინარკიევს 1,5:0,5 მოუგო და ბრინჯაო დაისაკუთრა. ჯობავას მსოფლიოს თასის საგზურიც ერგო.

ჩემპიონი ტომაშევსკი გახდა, ვინაც თანამემამულე მალახოვს 2:1 აჯობა.

ჯობავას საპრიზო ფონდიდან 10 ათასი ევრო ერგო. სხვა ქართველებიდან მერაბ გაგუნაშვილი 66-ე იყო, მიხეილ მჭედლიშვილი 159-ე, ხოლო თორნიკე სანიკიძე 182-ე.

**ოთარ მხეიძე**



ჩოგბურთი

# ოქსანამ გიზა უარით დაასრულა



**ოქსანა კალაშნიკოვამ** ეგვიპტის ქალაქ გიზაში მესამე ტურნირზე ითამაშა. გეხსომებათ, კალაშნიკოვამ პირველ ტურნირში გამარჯვების შემდეგ მეორეს ფინალში გავიდა.

ჩვენებურმა მეჩოგნემ მომდევნო 10-ათას დოლარიანი ტურნირიც ყოჩაღად დაიწყო. ჯერ რუსი სამოილო მიჩოგნა 6:4 6:1, მერე გერმანელ შტაინერს 6:2 6:3 აჯობა.

კვალიფიკაციის დასკვნით მატჩში უნგრელ ჰანისთან 6:7 0:3 აგებდა, მაგრამ ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

**ოთარ მხეიძე**

# ლუქსემბურგელმა ქართველები ნაადრევად გამოუშვა

**მაკა ჩახნაშვილმა** ესპანეთის ქალაქ ტენერიფეში 25 ათას დოლარიან-ტურნირზე ითამაშა. ქართველმა ჩოგბურთელმა ერთი გამარჯვება მოიპოვა და ტურნირს გამოეთიშა.

პირველი მეტოქე ბერძენი ელენი დანილიდუსი იყო. მაკამ 6:3 6:4 მოიგო და მეორე წრეში ჩინელ ჯინგჯინგ ლუსთან 2:6 6:2 6:0 მოიგო.

ტენერიფეში სოფო ქვაცაბაია და ეკატერინე გორგოძეც თამაშობდნენ. ორივე ქართველი ლუქსემბურგელ მენდი მინელთან დამარცხდა. მინელმა ქვაცაბაიას კვალიფიკაციაში 6:3 6:3 აჯობა. მერე კი გორგოძემ დაჩაგრა — 6:0 6:3.

## ქართველთა რეიტინგი

კაცები

| | | |
|---|---|---|
| 520 (523) | ირაკლი ლაბაძე | 96 |
| 912 (917) | ლაზარე კუხალაშვილი | 24 |
| 1007 (1012) | ლადო ჩიხლაძე | 17 |
| 1191 (1191) | ნიკოლოზ ბასილაშვილი | 9 |
| 1319 (1323) | ნოდარ ითონიშვილი | 6 |
| 1562 (1564) | ბექა ბუჩუკური | 2 |
| 1563(1565) | დემეტრე თაქთაქიშვილი | 2 |

ქალები

| | | |
|---|---|---|
| 154 (157) | ანა ტატიშვილი | 392 |
| 212 (215) | მაკა ჩახნაშვილი | 270 |
| 243 (245) | სოფო შაფათავა | 220 |
| 385 (387) | ოქსანა კალაშნიკოვა | 112 |
| 601(601) | ეკატერინე გორგოძე | 46 |
| 661(662) | სოფო ქვაცაბაია | 38 |
| 690 (692) | მანანა შაფაქიძე | 34 |
| 737 (738) | სალომე დევიძე | 28 |
| 905 (910) | სოფო მელიქიშვილი | 16 |

წყალში ხტომა

# დებიუტი: მსაჯისაც და სპორტსმენებისაც

**ქართველი** წყალში მხტომელები ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი 30 მარტს ევროპის ჩემპიონატზე გამოსასვლელად გაემგზავრებიან.

ევროპირველობას იტალია 1-3 აპრილს მასპინძლობს. ჩვენი სპორტსმენებისთვის დიდების ევროპის ჩემპიონატზე ძალების მოსინჯვა სადებიუტო იქნება. ჭანტურია და კორახაშვილი აქამდე მხოლოდ ახალგაზრდებში ხტებოდნენ და საკმაოდ კარგადაც. მათი მწვრთნელი ალექსანდრე ბართაიაა.



შოთა კორახაშვილი

ევროპის ჩემპიონატზე ქართველი მსაჯიც მიემგზავრება. საწყალოსნო ფედერაციის გენერალური მდივანი ირაკლი ბართაია უფროსებში ევროპაზე პირველად იმსაჯებს. მას აქამდე მხოლოდ შედარებით დაბალი დონის შეჯიბრებებზე შეეძლო მსაჯობა, რადგან შესაბამისი სარეიტინგო ქულა არ ჰქონდა, თუმც ეს კრიტერიუმი დააკმაყოფილა და ევროპის ჩემპიონატზე პირველად იმსაჯებს.

შოთა კორახაშვილი და ჭოლა ჭანტურია კი ინდივიდუალურის გარდა წყვილებშიც გამოვლენ.

**ოთარ მხეიძე**

წყალბურთი

# მოგება-წაგება და მეკარის თითი

**საქართველოს** წყალბურთელთა ნაკრებმა უკრაინის ღია პირველობა მოგება-წაგებით მოირა. ვლადიმერ ისელიძის გაწვრთნილებმა „ოდესას" 15:5 მოუგეს, „სევასტოპოლთან" კი კინკილა გოლით 11:12 წააგეს. სათქმელია, რომ „ოდესასთან" თითის ტრავმა მიიღო და მომდევნო მატჩში ბიჭებს ვეღარ დაეხმარება ნაკრების მთავარი მეკარე ზურაბ ჭუმბურიძე. ნაკრები უკრაინის პირველობის მეორე წრეში სათამაშოდ 1-6 აპრილს გაემგზავრება. იქიდან დაბრუნებულები კი 10 დღით სერბეთში წავლენ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოსამზადებლად. ნაკრები სერბეთიდან პირდაპირ წავა ეროშესარჩევზე სათამაშოდ.

## ქალები

### მსოფლიო თასის საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1 ლინდსი ვონი (აშშ) | 1788 |
| 2 მარია რეიხი (გერმანია) | 1424 |
| 3 ანია პერსონი (შვედეთი) | 1059 |
| 4 კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 1046 |
| 5 ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 914 |
| 6 ტინა მაცე (სლოვენია) | 825 |
| 7 ფაბიენ სუტერი (შვეიცარია) | 797 |
| 8 ელიზაბეტ გეორგლი (ავსტრია) | 755 |
| 9 ნადია ფანჩინი (იტალია) | 714 |
| 10 ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია) | 697 |

### სწრაფდაშვება. ჯამი

1 ლინდსი ვონი (აშშ)
2 ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია)
3 მარია რეიხი (გერმანია)

### სუპერგიგანტი. ჯამი

1 ლინდსი ვონი (აშშ)
2 ნადია ფანჩინი (იტალია)
3 ფაბიენ სუტერი (შვეიცარია)

### გიგანტური სლალომი. ჯამი

1 ტანია პოუტიაინენი (ფინეთი)
2 კატრინ ცეტელი (ავსტრია)
3 ტინა მაცე (სლოვენია)

### სლალომი. ჯამი

1 მარია რეიხი (გერმანია)
2 სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი)
3 ლინდსი ვონი (აშშ)



ლინდსი ვონი და აქსელ ლუნდ სვინდალი

# თოვლის დედოფალი ჭიანჭველების ბუდეში

**ჩრდილოეთ** შვედეთში, სადღაც ნორვეგიის საზღვართან სკანდინავიის მთებში მიკარგული სოფელი არე მხოლოდ 1300 მუდმივ მცხოვრებს ითვლის, მაგრამ წელიწადში ერთხელ ჭიანჭველების ბუდეს ემსგავსება და მისი მოსახლეობა ერთიათად იზრდება. 2007 წელს ამ სოფელმა მთის თხილამურობაში მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა. წლეულს კი არეს წიწვოვან ტყეებში კოხტად გაჭრილმა სათხილამურო ტრასებმა გამოავლინა სეზონის საუკეთესოები ქალებსა და კაცებს შორის. იქვე დაიხურა სამთო სეზონიც, რომელიც ასეთ კურორტებზე მთელი ზამთრის განმავლობაში გამართული ეტაპებისგან მსოფლიოს თასად წოდებულ ერთ დიდ მძივში იკინძება.

ქალთა შორის სეზონის დასაწყისიდანვე ლიდერობდა ამერიკელი ლინდსი ვონი, რომელსაც ქალიშვილობაში ლინდსი კილდოუ ერქვა და მაშინაც ყოჩაღობდა, მაგრამ შარშანწინ თანამემამულე მოთხილამურე ტომას ვონს მისთხოვდა და აგერ ორი წელია ლინდსი ვონად იწოდება. აქედან ძნელი სათქმელია, გვარის შეცვლამ უფრო არგო, თუ უბრალოდ გაიზარდა და გამოცდილება შეიმატა. ფაქტია რომ დღეს ქალებში ასეთი მოთხილამურე არავინაა.

ვონმა მოიგო შარშანდელი მსოფლიოს თასი და წლეულს ეს წარმატება იოლად გაიმეორა. მას შეეძლო არემდე არც მიეტანა საქმე და ადრევე, გერმანულ ოფენშვანგშივე გაენაღდებინა დიდი ბროლის გლობუსი, რომელსაც მსოფლიოს თასის მომგებს მთავარ პრიზად ერგება. ოფენშვანგში ქალები სლალომის ტიპის ტრასაზე გავიდნენ. ამ სახეობაში ვონი არცთუ ძლიერია, მაგრამ წლეულს ორი ეტაპის მოგება მაინც მოახერხა, თუმც ამ ჯერზე მოცურდა, ტრასიდან გადავიდა და არეში გასამართ შეჯიბრს ამით აზრი შეუნარჩუნა, რაკი საერთო ჩათვლის კიბეზე მეორე ადგილზე ჩასაფრებულ გერმანელ მარია რეიხს ვონის დაწევის თეორიული შანსი მაინც შერჩა.

მაგრამ დაიწყო თუ არა შეჯიბრი არეში, ვონმა მაშინვე ყველას დაანახა, თუ ვინაა მთის და თოვლის ნამდვილი დედოფალი. არეში ოთხივე ტიპის ტრასაზე გაიმართა შეჯიბრი. პირველი სწრაფდაშვება იყო, რაშიც კუდრაჭა ამერიკელი განსაკუთრებით ძლიერია და გამარჯვება მას დარჩა კიდეც, რითაც რეიხს თეორიული შანსიც ჩამოერთვა.

რეიხი პროფილით უფრო მოსლალომეა, ქალთა საზოგადოებაში ყველაზე მაღალი გახლავთ, 181 სანტიმეტრიანი შხვართისთვის არც ისე იოლია ჩქაროსნულ დისციპლინებში გაცილებით პროპორციული ტანის ვონთან ტოლ-სწორად პაექრობა, მაგრამ ახლა შეუძლებელი შეძლო და სწრაფდაშვებაში მხოლოდ 0,39 წამით ჩამორჩა გამარჯვებულ ვონს, რითაც არეში მეორე ადგილი ერგო. წლეულს ასეთი შედეგით არც დაუმთავრებია სწრაფდაშვება, მაგრამ საერთო ჩათვლაში ამან ვერც წინ წასწია და ვერც უკან — მეორე იყო და მეორედვე დარჩა.

პირველი გამარჯვებით ფრთაშესხმულმა ვონმა კი ბროლის გლობუსი რომ თავისად დაიგულა, არეს მეორე შეჯიბრში, სუპერგიგანტში ფრთები გამოისხა და ლაღად სრიალში კიდევ ერთი მოგებული ეტაპი მიითვალა. ის ისეთივე ყოჩაღია სუპერგიგანტში, როგორც სწრაფდაშვებაში. ასრებითად ამ ორ სახეობას შორის არც ისე დიდი სხვაობაა და ვონი ორივეგან საუკეთესო იყო მთელი სეზონის განმავლობაში, რაც მცირე გლობუსებად ფასდება. იანვარში საფრანგეთში ვალ დიზერში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე აკი ორივე სახეობა მოიგო.

დედოფალი ვონი გლობუსს იხუტებდა და ბედნიერი ღიმილით მთელს ხეობას ასხივოსნებდა, პრესასთან თბილი ჟღურტულის შემდეგ კი ესეც თქვა, მსოფლიოს თასის მოგება, ისიც ზედიზედ მეორედ, უდიდესი წარმატებაა, მაგრამ ჩვენს საქმეში მთავარი მაინც ოლიმპიური ჩემპიონობაა და იმედია, ერთი წლის შემდეგ ვანკუვერშიც ასეთ ფორმაში ვიქნებიო.

რეიხს კი არეში ნაკლებად გაუმართლა. მართალია, სუპერგიგანტშიც ბოლომდე იბრძოლა და ასევე პირად-სარეკორდო მესამე ადგილით დაასრულა შეჯიბრი, მაგრამ საყვარელ სლალომში მხოლოდ მეხუთე იყო. თუმცა ვონის დარად 24 წლის რეიხს გული დიდად არ დასწყვეტია. სლალომში მთელი წლის ჯამში საუკეთესო იყო, მცირე გლობუსიც მას დარჩა, პირველ ადგილზე ალზევება და იქიდან მეგობარი ამერიკელის ჩამოგდება ისედაც არარეალობად უჩანდა.

საერთო ჩათვლაში მესამე ადგილი დარჩა ჩვედთა კუმირ ანიე პერსონს, რომელიც ჯერ მხოლოდ 27 წლისაა, მაგრამ კარიერის პიკი უკვე გადაიარა და თავქვე მიექანება.

**ვანო ქობიაშვილი**

## კაცები

### მსოფლიო თასის საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1 აქსლ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 1009 |
| 2 ბენიამინ რაიხი (ავსტრია) | 1007 |
| 3 დიდიე კუშე (შვეიცარია) | 919 |
| 4 ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 891 |
| 5 ჟან-ბაპტის გრანჟი (საფრანგეთი) | 887 |
| 6 დიდიე დეფაგო (შვეიცარია) | 738 |
| 7 კარლო იანკა (შვეიცარია) | 728 |
| 8 მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) | 647 |
| 9 ტედ ლიგეტი (აშშ) | 598 |
| 10 პეტერ ფილი (იტალია) | 581 |

### სწრაფდაშვება. ჯამი

1 მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია)
2 კლაუს კროელი (ავსტრია)
3 დიდიე დეფაგო (შვეიცარია)

### სუპერგიგანტი. ჯამი

1 აქსლ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია)
2 ვერნერ ჰეელი (იტალია)
3 დიდიე დეფაგო (შვეიცარია)

### გიგანტური სლალომი. ჯამი

1 დიდიე კუშე (შვეიცარია)
2 ბენიამინ რაიხი (ავსტრია)
3 ტედ ლიგეტი (აშშ)

### სლალომი. ჯამი

1 ჟან-ბაპტის გრანჟი (საფრანგეთი)
2 ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია)
3 ჟულიენ ლიზერო (საფრანგეთი)



# NBA რეგულარული ჩემპიონატი

15 მარტი
ტორონტო 110:87 ინდიანა
მილუოკი 86:77 ბოსტონი
ატლანტა 98:80 პორტლენდი
ფილადელფია 85:77 მაიამი
დეტროიტი 84:89 მემფისი
ლეიკერსი 107:100 დალასი
ორლანდო 105:87 იუტა
კლივლენდი 98:93 ნიუ იორკი
ვაშინგტონი 106:104 საკრამენტო
გოლდენ სტეიტი 130:154 ფინიქსი
კლიპერსი 107:105 ნიუ ჯერსი

16 მარტი
შარლოტი 112:86 ტორონტო
ოკლაჰომა 78:76 სან ანტონიო
ნიუ ორლეანი 84:95 ჰიუსტონი
მემფისი 92:103 პორტლენდი
დენვერი 121:96 ნიუ ჯერსი

17 მარტი
ატლანტა 119:97 საკრამენტო
კლივლენდი 97:93 ორლანდო
დალასი 103:101 დეტროიტი
სან ანტონიო 93:86 მინესოტა
ჩიკაგო 127:121 ბოსტონი
იუტა 103:88 ვაშინგტონი
გოლდენ სტეიტი 127:120 კლიპერსი
ლეიკერსი 93:94 ფილადელფია

18 მარტი
ბოსტონი 112:108 მაიამი
ინდიანა 85:95 პორტლენდი
შარლოტონი 104:88 საკრამენტო
ნიუ იორკი 89:105 ნიუ ჯერსი
მილუოკი 80:106 ორლანდო
მემფისი 109:111 დენვერი
ნიუ ორლეანი 94:93 მინესოტა
ოკლაჰომა 96:103 ჩიკაგო
ჰიუსტონი 106:101 დეტროიტი
ფინიქსი 126:116 ფილადელფია
კლიპერსი 123:108 ვაშინგტონი

19 მარტი
ატლანტა 95:87 დალასი
კლივლენდი 97:92 პორტლენდი
ლეიკერსი 114:106 გ. სტეიტი

20 მარტი
ინდიანა 92:94 დალასი
ტორონტო 89:102 შარლოტი
ნიუ იორკი 94:121 საკრამენტო
ნიუ ჯერსი 96:88 მაიამი
ოკლაჰომა 94:101 იუტა
ნიუ ორლეანი 96:84 მემფისი
დეტროიტი 108:90 კლიპერსი
ჰიუსტონი 107:88 მინესოტა
სან ანტონიო 77:80 ბოსტონი
დენვერი 116:105 ვაშინგტონი
გ. სტეიტი 119:111 ფილადელფია

21 მარტი
კლივლენდი 102:96 ატლანტა
ორლანდო 110:103 ნიუ იორკი
შარლოტი 83:108 ინდიანა
მემფისი 87:105 ბოსტონი
მილუოკი 84:96 პორტლენდი
ჩიკაგო 109:117 ლეიკერსი
ფინიქსი 128:96 ვაშინგტონი




ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსმა“ შაბათს ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდ კავალიერსთან“ წააგო და ასე შეწყვიტა ზედიზედ მოგებათა შვიდმატჩიანი სერია. გასულ კვირას „ატლანტამ“ ოთხი თამაში მოიგო, ჩვენებურმა კი საშუალოდ 18 წუთში 5,6 ქულა და 3,5 მოხსნა აგროვა

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| კლივლენდი | 56 | 13 | 81,2 |
| ბოსტონი | 53 | 18 | 74,6 |
| ორლანდო | 51 | 18 | 73,9 |
| ატლანტა | 41 | 29 | 58,6 |
| მაიამი | 36 | 32 | 52,9 |
| ფილადელფია | 34 | 33 | 50,7 |
| დეტროიტი | 34 | 34 | 50,0 |
| ჩიკაგო | 32 | 38 | 45,7 |
| შარლოტი | 31 | 39 | 44,3 |
| მილუოკი | 31 | 40 | 43,7 |
| ნიუ ჯერსი | 30 | 39 | 43,5 |
| ინდიანა | 29 | 42 | 40,8 |
| ნიუ იორკი | 28 | 41 | 40,6 |
| ტორონტო | 24 | 45 | 34,8 |
| ვაშინგტონი | 15 | 55 | 22,5 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| ლეიკერსი | 55 | 14 | 79,7 |
| სან ანტონიო | 45 | 23 | 66,2 |
| ჰიუსტონი | 46 | 25 | 64,8 |
| დენვერი | 45 | 25 | 64,3 |
| ნიუ ორლეანი | 43 | 25 | 63,2 |
| პორტლენდი | 44 | 26 | 62,9 |
| იუტა | 43 | 26 | 62,3 |
| დალასი | 42 | 28 | 60,0 |
| ფინიქსი | 38 | 31 | 55,1 |
| გოლდენ სტეიტი | 25 | 44 | 36,2 |
| მინესოტა | 20 | 49 | 29,0 |
| ოკლაჰომა | 19 | 50 | 27,5 |
| მემფისი | 17 | 52 | 24,6 |
| კლიპერსი | 17 | 52 | 24,6 |
| საკრამენტო | 15 | 54 | 21,7 |

# რეიტინგის ავან-ჩავანი

**ფინალში** რომ გასულიყო და იქაც ემარჯვა, რუსი დინარა საფინა მომდევნო კვირის რეიტინგში გადაუსწრებდა კიდეც სერენა უილიამსს და მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდებოდა. მაგრამ რუსმა ბელარუს ვიქტორია აზარენკოსთან მეოთხედფინალში 10 ორმაგი შეცდომა დაუშვა და დამარცხდა. აზარენკომ კი ნახევარფინალი წააგო იმ ვერა ზვონარიოვასთან, რომელთან ერთადაც წყვილებში იჩემპიონა.

მეორე ფინალისტია სერბი ანა ივანოვიჩი, რომელმაც 17 წლის რუსი ანასტასია პავლიუჩენკოვა დასცა. არადა, ეს პატარა გოგო ტურნირის სენსაციად იქცა — იქამდე ელენა ივანკოვიჩი და აგნეშკა რადვანსკა დაიფრინა.

თავში ვთქვით, საფინამ პირველჩოგნობის შანსი დაკარგაო და დავაზუსტოთ: თეორიულად ისეც შეიძლება მოხდეს, რომ მომდევნო ორ კვირაში რუსი გოგო მაინც დაწინაურდეს რეიტინგში, ოღონდ არა საკუთარი წარმატების ხარჯზე, არამედ იმ შემთხვევაში, სერენა თუ ჩაფლავდება უახლოეს WTA-ს ტურნირზე და ამით ქულები ჩამოაკლდება.

კაცთა ტურნირში კი ფინალს ვერ უწია მსოფლიოს მეორე ჩოგანმა როჯერ ფედერერმა, ვისაც გზა მეოთხე ენდი მიურეიმ გადაუღობა.

დროს გავუსწროთ და ისიც ვთქვათ, რომ ფედერერმა მომდევნო თვეში მონტე კარლოს მასტერსზე თამაშიც იუარა და მიზეზად გრაფიკის შეცვლა დაასახელა.

რაფაელ ნადალის გამარჯვებები კი მგონი, ალარავის აკვირვებს.

**კაცები**
ინდიან უელსი (აშშ)
პრიზი. 4 500 000 დოლარი

### III წრე

**რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:3 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა) — ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) 6:4 6:2; **ჯონ აისნერი** (აშშ) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:4 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:2 2:6 7:6; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:2 7:6; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — სემ კუერი (აშშ) 2:6 7:5 7:6; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) — ჟერემი შარდი (საფრანგეთი) 3:6 6:4 6:4; **ენდი როდიკი** (აშშ) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4 7:6; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:3 7:6; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი) 7:5 6:4; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — მარინ ჩილიჩი (ხორვატია) 7:5 7:6; **ენდი მიურეი** (დიდი ბრიტანეთი) — პოლ ანრი მატიე (საფრანგეთი) 6:3 6:2; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:2 3:6 6:3; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 6:3 6:2; **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 7:5 6:1; **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 7:6 6:3

### IV წრე

**რაფაელ ნადალი** — დავიდ ნალბანდიანი 3:6 7:6 6:0; **ხუან მარტინ დელ პოტრო** — ჯონ აისნერი 7:6 7:6; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** — სტანისლას ვავრინკა 7:6 7:6; **ენდი როდიკი** — დავიდ ფერერი 7:6 3:6 6:3; **ივან ლიუბიჩიჩი** — იგორ ანდრეევი 4:6 7:6 7:6; **ენდი მიურეი** — ტომი რობრედო 6:2 3:0 უარი; **ფერნანდო ვერდასკო** — ფილიპ კოლშრაიბერი 6:4 3:6 6:1; **როჯერ ფედერერი** — ფერნანდო გონსალესი 6:3 5:7 6:2

### მეოთხედფინალი

**რაფაელ ნადალი** — ხუან მარტინ დელ პოტრო 6:2 6:4; **ენდი როდიკი** — ნოვაკ ჯოკოვიჩი 6:3 6:2; **ენდი მიურეი** — ივან ლიუბიჩიჩი 7:5 7:6 ; **როჯერ ფედერერი** — ფერნანდო ვერდასკო 6:3 7:6

### ნახევარფინალი

**ენდი მიურეი** — როჯერ ფედერერი 6:3 4:6 6:1; **რაფაელ ნადალი** — ენდი როდიკი 6:4 7:6

### ფინალი

*ენდი მიურეი — რაფაელ ნადალი დღეს გამთენიისას დამთავრდა*

**ქალები**
პარიბას ოფენი. აშშ
პრიზი. 4 500 000 დოლარი

### III წრე

**დინარა საფინა** (რუსეთი) — შუაი პენი (ჩინეთი) 7:5 6:4; **ჟილ კრეიბასი** (აშშ) — ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) 6:4 6:3; **შაჰარ პეერი** (ისრაელი) — ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) 6:2 6:4; **ვიქტორია აზარენკო** (ბელარუსი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:3 7:5; **ვერა ზვონარიოვა** (რუსეთი) — პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი) 6:3 6:1; **ნა ლი** (ჩინეთი) — ამელი მორესმო (საფრანგეთი) 7:5 6:2; **კაროლინ ვოზნიაცკი** (დანია) — კაია კანეპი (ესტონეთი) 6:3 3:6 6:3; **ურსულა რადვანსკა** (პოლონეთი) — ალექსა გლეტჩი (აშშ) 6:3 7:6; **ანა ივანოვიჩი** (სერბეთი) — ხისელა დულკო (არგენტინა) 6:3 6:3; **ფლავია პენეტა** (იტალია) — ანჯელა ჰეინესი (აშშ) 4:6 6:4 6:1; **სიბილ ბამერი** (ავსტრია) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:1 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხეთი) 7:5 7:5; **აგნეშკა რადვანსკა** (პოლონეთი) — ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) 6:1 6:4; **აგნეშ სავაი** (უნგრეთი) — კრისტინა ბაროისი (გერმანია) 6:3 6:4; **ნურია ლიაგოსტერა-ვივესი** (ესპანეთი) — ალისა კლეიბანოვა (რუსეთი) 7:6 6:3; **ანასტასია პავლიუჩენკოვა** (რუსეთი) — კარინ კნაპი (იტალია) 6:2 6:4

### IV წრე

**დინარა საფინა** — ჟილ კრეიბასი 7:5 6:4; **ვიქტორია აზარენკო** — შაჰარ პეერი 7:5 6:4; **ვერა ზვონარიოვა** — ნა ლი 6:4 6:4; **კაროლინ ვოზნიაცკი** — ურსულა რადვანსკა 7:5 6:3; **ანა ივანოვიჩი** — ფლავია პენეტა 6:4 4:6 6:4; **სიბილ ბამერი** — დანიელა ჰანტუხოვა 6:3 6:2; **აგნეშკა რადვანსკა** — აგნეშ სავაი 6:0 5:7 6:3; **ანასტასია პავლიუჩენკოვა** — ნურია ლიაგოსტერა ვივესი 6:3 3:0 უარი

### მეოთხედფინალი

**ვიქტორია აზარენკო** — დინარა საფინა 6:7 6:1 6:3; **ვერა ზვონარიოვა** — კაროლინ ვოზნიაცკი 6:4 6:2; **ანა ივანოვიჩი** — სიბილ ბამერი უარი; **ანასტასია პავლიუჩენკოვა** — აგნეშკა რადვანსკა 7:6 6:4

### ნახევარფინალი

**ვერა ზვონარიოვა** — ვიქტორია აზარენკო 6:3 6:3; **ანა ივანოვიჩი** — ანასტასია პავლიუჩენკოვა 6:2 6:3

### ფინალი

ანა ივანოვიჩი — ვერა ზვონარიოვა

*წუხელ გვიან დამთავრდა, შედეგი იხ. 31-ე გვერდზე*

იხ. 31-ე გვერდზე

# წააგო. დალია. დალეწა



**ინდიან უელსის** წყვილთა ტურნირში ამერიკელმა მაშონ ვაშინგტონმა და ბეტანი მატეკმა ესპანელებთან, ნურია ლიაგოსტერა ვივესთან და მარია მარტინეს სანჩესთან წააგეს. ვის არ წაუგია, მაგრამ ვაშინგტონმა მარცხი მეტისმეტად მტკივნეულად განიცადა და სასტუმროში დაბრუნებულმა იქაურობა დალეწა. ამბობენ, სანამ დალეწვას დაიწყებდა, კარგადაც გამოთვრაო.

შეშინებულმა პერსონალმა პოლიციას გამოუძახა, რომელმაც ვაშინგტონი განყოფილებაში წაიბრძანა და მხოლოდ გირაოთი გამოუშვა. 14 მაისს კი სასამართლო გაიმართება.

# რეიტინგი

| კაცები | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 14360 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 11000 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 9240 |
| 4. ენდი მიურეი (დ. ბრიტანეთი) | 7400 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 4805 |
| 6. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 4290 |
| 7. ენდი როდიკი (აშშ) | 4060 |
| 8. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 3925 |
| 9. გაელ მონფილსი (საფრანგეთი) | 3550 |
| 10. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 3330 |
| 11. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 3300 |
| 12. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 3025 |
| 13. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2990 |
| 14. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2895 |
| 15. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2710 |
| 16. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 2660 |
| 17. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2650 |
| 18. რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) | 2530 |
| 19. მარინ ჩილიჩი (ხორვატია) | 2510 |
| 20. მარდი ფიში (აშშ) | 2505 |

| ქალები | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 9432 |
| 2. დინარა საფინა (რუსეთი) | 9020 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 8400 |
| 4. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 7886 |
| 5. ვინუს უილიამსი (აშშ) | 6842 |
| 6. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 6320 |
| 7. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 5414 |
| 8. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 4953 |
| 9. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 3882 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 3448 |
| 11. ვიქტორია აზარენკო (ბელარუსი) | 3406 |
| 12. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 3346 |
| 13. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 3200 |
| 14. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 3152 |
| 15. ფლავია პენეტა (იტალია) | 2990 |
| 16. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 2760 |
| 17. ცაი ჟენი (ჩინეთი) | 2576 |
| 18. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 2494 |
| 19. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) | 2312 |
| 20. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2304 |



# შვილისხელა მამის ცოლი

**სერენა** და ვინუს უილიამსების მამამ დაქორწინება გადაწყვიტა და ცხოვრების ახალ მეგზურად თითქმის შვილების თანატოლი გოგო აირჩია.

რიჩარდ უილიამსი უკვე 67 წლისაა და სერენასა და ვინუსის დედას შვიდი წლის წინ გაეყარა.

მშვიდობიანი გაყრა არ ჰქონდათ: განქორწინებამდე სამი წლის განმავლობაში ჩოგბურთელების დედა რამდენჯერმე მოხვდა საავადმყოფოში ნეკნების მოტეხილობით, რაც, მისივე თქმით, ქმრის „კეთილი" მოპყრობის შედეგი იყო. პოლიციამ ამ საქმის გამოძიებაც სცადა, მაგრამ ვერ დაამტკიცა, რომ ქმარი ცოლს სცემდა.

რიჩარდ უილიამსის საცოლე გახლავთ 30 წლის ლაკეიშა გრეში, ქორწილი კი აპრილში აქვთ დაგეგმილი.

ერთი ეგაა, რიჩარდმა თქვა, შვილების თანხმობის გარეშე არ დავქორწინდებიო.

არადა, როგორი საქმეა: რიჩარდის უფროსი შვილი ვინუსი, მომავალ დედინაცვალზე მხოლოდ ერთი წლითაა უმცროსი.

**ქოტე ქექელია**

# კიმ კლაისტერსს კორტი მოენატრა



**მსოფლიოს** ყოფილი პირველი ჩოგანი კიმ კლაისტერს კორტს უბრუნდება, თუმცაღა რამე სერიოზულ მიზნებსა და ძველი დიდების დაბრუნებაზე პრეტენზია ჯერჯერობით არ აქვს.

კლაისტერსმა პროფესიული სპორტი 2007 წლის მაისში მიატოვა, როცა ოდენ 24 წლისა იყო და გადაწყვეტილება ტრავმებთან გამუდმებული ბრძოლით ახსნა.

ამ ორ წელიწადში კი კიმმა ამერიკელ კალათბურთელ ბრაიან ლინჩზე დაქორწინება და შვილის გაჩენაც მოასწრო.

როგორც ამბობენ, ახლა კიმი დიდი მონდომებით ვარჯიშობს და 21 ივლისს სენტ ლუისის კორტზე გამოვა. ეს არის ამერიკული ლიგის მიერ ორგანიზებული საჩოგბურთო ტურნირი, რომელშიც ანდრე აგასი, ჯონ მაკინროი და დები უილიამსებიც მიიღებენ მონაწილეობას.

**ირაკლი ნინიძე**

# პირველი ქართველი, პირველი ევროპელი

## ოსს! ფაგებულს ელის პანდური




წინა „სარბიელში“ სუმოს უმკაცრეს იერარქიასა და ლევან გორგაძესთან შეხვედრაზე გიამბეთ. იქ შევჩერდით, ლევანს, იგივე ტოჩინოშინს, ვარჯიშზე რომ უხმეს...

პატარა, დაბალჭერიანი, მართკუთხედი დარბაზი ორად იყო გაყოფილი. სიღრმეში, სცენასავით შემაღლებულ ადგილას დოჰიო გაემართათ, აქეთ კი ორ მწკრივად და ათიოდე რიგად სკამები ჩაერიგებინათ თავისი ბალიშებით. დარბაზში რამდენიმე ათეულ გულშემატკივარსა და ფოტოგრაფს მოეყარა თავი — სუმოტორთა ვარჯიშებიც კი დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში.

წინა რიგში, შუაში, განცალკევებით მდგარ სკამზე შიშიო იჯდა — კასუგანო ტოჩინოვაკა; მას გვერდს მეუღლე და ოჯახის სხვა წევრები უმშვენებდნენ, რომლებიც მასთან ერთად ინაწილებენ პასუხისმგებლობას სკოლის ყველა წევრის ავ-კარგზე.

დოჰიოზე ქვედა დივიზიონების — ძურიოსა და მაკუსიტას — სუმოტორები ვარჯიშობდნენ. ორთაბრძოლები უწყვეტ ჯაჭვად ებმოდა ერთმანეთს — და ამ ჯაჭვს არც გიოძი — მსაჯი — წყვეტდა და არც რამ რიტუალი. ერთადერთი მსაჯი შიშიო იყო. ხმის ამოღების უფლებაც მხოლოდ მას აქვს. უნდა გენახათ, როგორ გაუწყრა ერთ ფოტოგრაფს, რომლის კამერას ჩვეულებრივზე მეტი ხმა აღმოაჩნდა ჩხაკუნისას!

სანამ დამარცხებული წამოდგომას მოასწრებდეს, ორთაბრძოლაში გამარჯვებულ სუმოტორის ყველა დანარჩენი მივარდება საბრძოლო ყიჟინით — არა მე დამეჭიდე, არა მეო! ისიც, გამარჯვებული, შეუმჩნეველი მოძრაობით მორიგ მეტოქეს შეარჩევს, და ასე გრძელდება დაუსრულებლად. შიშიო ყველაფერს ყურადღებით ადევნებს თვალს და იშვიათად ერევა რაიმე შენიშვნითა თუ მითითებით, თუმცა ერთხელ დოჰიოზეც კი ავიდა და ერთ-ერთ რიკიშის, რომელმაც ზედიზედ შვიდი თუ რვა ორთაბრძოლის მერე, როგორც ჩანს, სამარცხვინოდ წააგო, პანღური ამოარტყა.

— ოსს! — შენიშვნა-პანღური მადლიერებით იქნა მიღებული.

ამასობაში დარბაზში მაკუუჩის ბიჭები შემოვიდნენ — ტოჩინონადა, ტოჩინოძანი, კიმურაიამა, ლევანი...

— ოსს! — სათითაოდ მიესალმნენ ისინი წინა რიგში მსხდომთ და გახურებას შეუდგნენ.

ძურიო-მაკუსიტების ორთაბრძოლათა ჯაჭვი კი გრძელდებოდა. სანამ ახალი ორთაბრძოლა დაიწყებოდა, წინა შერკინების დამარცხებული უკვე ფეხზე იყო, მაგრამ უცებ მოვლენათა ეს მდინარება შეწყდა — ერთმა დამარცხებულმა წამოდგომა ველარ შეძლო. ეწადა ბეჩავს, მაგრამ ველარა დგებოდა. სხვა ალბათ კვნესით ქვეყანას შესძრავდა, ის კი უჩუმრად პირქვე დამხობილიყო და ცდას არ აკლებდა, რომ წამომდგარიყო, მაგრამ უშედეგოდ. კარგა ხანს არავინ მიდიოდა დასახმარებლად, მაგრამ რა დაინახეს, რომ საქმე სერიოზულად იყო, მიესიენ. უმცროსი იოაკატებიც ავიდნენ დოჰიოზე, შიშიოც ავიდა.

მე დრო ვიხელთე, ლევანისკენ გავიწიე და ტუჩების მოძრაობით დაშავებულზე ვკითხე, რა ჰქვია, ვინ არის-მეთქი. მერე გეტყვიო, ტუჩების მოძრაობით მიპასუხა მანაც.

მერემდე ვერ მოვითმინე და თარჯიმანს ვთხოვე, იქნებ გულშემატკივართაგან ვინმეს ვკითხოთ ამ საცოდავი ყმაწვილის სახელი-მეთქი. მანაც იქვე მჯდომ საშუალო ასაკის კაცს ჰკითხა. რიუო აღმოჩნდა — ძურიოს რიკიში. მერე ის საშუალო ასაკის კაცი თარჯიმანს ჩემზე ეკითხება, ტოჩინოშინის მამაო? არაო, ნაკაგავამ რომ უპასუხა, გული დაწყდასავით, არადა, როგორ ჰგვანან ერთმანეთსო!

იუმორისთვის იმ სიტუაციაში არც მე მცხელოდა და არც სხვას, მაგრამ ჩემდაუნებურად გამახსენდა ამოჭრილი, მაგრამ გახმაურებული ეპიზოდი გია დანელიას „მიმინოდან“, ბუბასა და ფრუნზიკას ლიფტში იაპონელები რომ დაემგზავრებიან და ერთმანეთს რომ გადაუჩურჩულებენ თავის ენაზე, მაინც როგორ ჰგვანან ეს რუსები ერთმანეთსო!

მერე ის საცოდავი რიუო ერთმა უმცროსმა იოაკატამ და ერთმა რიკიშიმ ზურგზე მოიკიდეს და გარეთ გამოვიდნენ. მე გასასვლელში ვიდექი ჩემი ფოტოაპარატით და მათთვის ხელი რომ არ შემეშალა, წინ გამოვუძეხი. სანამ რიუის მანქანაში ჩასვამდნენ, აქეთ ოსს-ოსსის ძახილი ატყდა. მოვიხედე და საოცრად ნაცნობი სახე დავინახე — ფერად ხალათში გამოწყობილიყო და თავი ისე ეჭირა, ეტყობოდა, დიდი ვინმე უნდა ყოფილიყო. პირდაპირ ჩემსკენ მოდიოდა.

— ოსსს! — პატივისცემით მივესალმე და გზა დავუთმე.

— ოს! — აგდებულად მიპასუხა და დარბაზში შევიდა.

მერე ყურადღება ისევ რიუოზე გადავიტანე. მინდოდა გამეგო, რა დაემართა, რამდენად სერიოზული იყო ტრავმა. ამ დროს დარბაზიდან ჩემი თარჯიმანი გამოვიდა და, დროზე შემოდი, აქ რას უყურებ, ასაშორიუ მოვიდაო!

იოკოძუნა აკინორი ასაშორიუ, დიდი ჩემპიონი!

აი, თურმე ვისი ყოფილა ის საოცრად ნაცნობი სახე!

სასწრაფოდ ჩავრთე ფოტოაპარატი და დარბაზში შევედი. იოკოძუნა კუთხეში იდგა და ხურდებოდა. ვულე და ვულე სურათები, მაგრამ ცუდი განათება იყო, ფლეშის გამოყენებას კი იქ არავინ დაუშვებდა.

სანამ იოკოძუნა ხურდებოდა, დოჰიოზე მაკუუჩის ჯამაათი გამოვიდა. ჯერ ძურიო-მაკუსიტებს ავარჯიშებინეს თავი — თითოს ორ-ორი და სამ-სამი აწვებოდა, მერე კი ერთმანეთსაც დაეჭიდნენ. როგორც შემდეგ გავიგე, კასუგანობეიაში დღეს სავარჯიშოდ საკაიგავა-ბეიას რიკიში გოეიდოც მოსულა.

დოჰიოზე გასვლის წინ და შემდეგ ყველას თავისი ცუკებიტოები ეხვივნენ გარს. ერთი პირსახოცს აწვდიდა, მეორე ზურგს უწმენდდა თუ უმშრალებდა, მესამეს წყალი მიჰქონდა.

ერთი, არ ვიცი ვისი ცუკებიტო კი დოჰიოს პირას იდგა და ხელში მარილით სავსე თასი ეჭირა.

ხოლო ასაშორიუ ხურდებოდა და ხურდებოდა. მშვიდად, აუჩქარებლად. ჯერ ერთ ფეხს ასწევდა თავზე მაღლა, მერე - მეორეს. ან ჩაჯდებოდა და შორისით ლამის თიხის იატაკს ეხებოდა.

თან ფოტოაპარატს ვაჩხაკუნებდი და თან თავში უჩვეულო რითმა მიტრიალებდა. მერე ეს რითმა სტრიქონებად იქცა და ტანკა და ჰაიკუ არა, მაგრამ ერთი ლამაზი კალამბური კი გამომივიდა:

მე რომ მეგონა — ასე შორია,
ახლა ჩემს წინ დგას ასაშორიუ.

მართლაც როგორი სიურპრიზია! ჩემს წინ, დაბალჭერიანი სავარჯიშო დარბაზის ბნელ კუთხეში მშვიდად ხურდება დიდი ჩემპიონი, რომელიც ორ წელიწადში ღმერთის სახით მოევლინება ტამანას ბუდისტური ტაძრის მომლოცველებს!

მერე იოკოძუნამ დოჰიოსკენ გადაინაცვლა და ყველას აგრძნობინა, რომ გახურებას მორჩა და გამარჯვებულთან დაჭიდებას აპირებდა. და აქ პირველად მთელი ვარჯიშის განმავლობაში, გამარჯვებულს არავინ მივარდნია, არა მე დამეჭიდე, არა მეო; ყველამ იოკოძუნას უტია გზა.

გამარჯვებული კი ტოჩინოშინი იყო, უკვე დაღლილი ორი თუ სამი მოგებული ორთაბრძოლით.

ასაშორიუს მისი დოჰიოდან გადაგდება არ გასჭირვებია. არც სხვების. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... თან ამას ისე ადვილად და მსუბუქად აკეთებდა, ერთ ხანს ეჭვიც შემეპარა, ხომ არ უწვებიან-მეთქი! რას უწვებიან, ვინ უწვება! ამ მონღოლის დამარცხება თუნდაც ვარჯიშზე, თუნდაც რამდენიმე მაყურებლის თვალწინ, თუნდაც სულ უმაყურებლოდ, ყველა რიკიშისთვის საამაყო და სანუკვარია. იმ დღეს ეს ერთხელ ტოჩინოშინმაც შეძლო.

საღამოს კი ინტერნეტში ასეთი ნიუსი დაიდება:

„6 მარტი. დღეს იოკოძუნა ასაშორიუ გასვლით ვარჯიშზე (დეგეიკო) იყო კასუგანოს სკოლის ფილიალში. ლურჯმა დრაკონმა 16 ორთაბრძოლა გამართა კოტოსუბ გოეიდოსთან, ტოჩინოძანთან, ტოჩინოშინთან და 14 გამარჯვება მოიპოვა“.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ამგვარი ნიუსის მარტო თვითმხილველი კი არა, ერთგვარი მონაწილეც ვიქნებოდი!

შეხვედრა მეორე: კოკაი

შეხვედრაა მეორე, თორემ კოკაი პირველია! პირველი ქართველი სუმოში, პირველი ევროპელი. ევროპელთათვის სწორედ მან გაჭრა სუმოს ფანჯარა. მან შეიტანა ახალი სიო იაპონელების, მონღოლების, კორეელებისა და ამერიკელების კამპანიაში. მის კვალს მიჰყვნენ რუსიც, ბულგარელიც, ესტონელიც...

ფუტოში კოკაიმ მაკუუჩიში 227

ეროვნული ბიბლიოთეკა



ორთაბრძოლა მოიგო 465-დან. პროფესიონალურ დოჰიოზე იგი პირველად 2001 წლის მაისის ბაშოზე გამოვიდა ძიონოკუტიში — უდაბლეს, მეექვსე დივიზიონში; შემდეგ ძიონიდანსა და სანდამეში — მეხუთე და მეოთხე დივიზიონებში გაიმარჯვა, მცირე თასები დაიმსახურა და 2002 წლის მარტში მესამე დივიზიონში — მაკუშიტაში გამოსვლის უფლება მოიპოვა. ლევანმა ამ დივიზიონშიც გაიმარჯვა, სუმოში თავისი დებიუტიდან 11 ბაშოს შემდეგ ძურიოში — მეორე, ელიტურ დივიზიონში გადავიდა და სეკიტორი გახდა. ძურიოში იგი მხოლოდ ოთხი ბაშოს განმავლობაში დარჩა და თითოეულ მათგანში კაჩიკოში (მეტი გამარჯვება და ნაკლები დამარცხება) აჩვენა; 2003 წლის ნოემბერში კი 14 ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, კიდევ ერთი მცირე თასი დაიმსახურა და მაკუუჩიში, მსოფლიოს 42 უძლიერეს რიკიშის შორის დაიკავა ადგილი. იგი უმაღლეს დივიზიონში მე-13 უცხოელი აღმოჩნდა პროფესიონალური სუმოს მთელი ისტორიის მანძილზე.

მე საკუთარი თვალით და ყურით დავრწმუნდი, როგორი პოპულარულია კოკაი იაპონიაში. ტაქსისტებს თუ სასტუმროს თანამშრომლებს, როცა ვერაფრით ვაგებინებდი, ვინ ვიყავი და სადაური, კოკაის სახელს ვუხსენებდი ხოლმე და ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა, სწორედ ისე, როგორც ამ ორი ათეული წლის წინათ სტალინის ხსენებისას.

„პანასონიკის" ცენტრში კი, რომ გაიგეს, კოკაის უნდა შევხვედროდი, გოგოებს თვალები გაუბრწყინდათ და აღფრთოვანებული წივილ-კივილით მოკითხვები და კოცნები დამაბარეს მასთან.

კოცნებისა რა მოგახსენოთ და მოკითხვები კი გადავეცი, როგორც კი ერთმანეთს მივესალმეთ და სასაუზმოდ მოვკალათდით პირდაპირ იატაკზე გაშლილ ვეება მრგვალ მაგიდასთან.

მე იმ ბედნიერთა რიცხვს ვეკუთვნი, ვისაც მიშა თუმანიშვილის „ჭინჭრაქა" უნახავს რუსთაველის თეატრში. ჰოდა, იმ მაგიდასაც ისე ვუსხედით მე და კოკაი, როგორც რამაზ ჩხიკვაძის ქოსიკო და სერგო ზაქარიაძის დევი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კამათელს კი არ ვაგორებდით, ჩანკო-ნაბეს გეახლებოდით. „ჩანკო" ქართულად არეულ შეჭამანდს, აჯაფსანდალს ნიშნავს; ნაბე - ტაფას. დევმა ჩანკოთი სავსე პირველი ფიალა ძალიან მალე ამოაშრო და ერთ-ერთმა ცუკებიტომ სასწრაფოდ ახალი მოართვა. მეორე ცუკებიტომ იაპონურად რაღაც უთხრა და დანა-ჩანგალი ხომ არ გინდაო, ლევანმა მკითხა. არა-მეთქი — ჩხირებით ჭამა პირველად ამ ოციოდე წლის წინათ ვცადე და არცთუ ურიგოდ გამომდის.

დარბაზი, სადაც კოკაი და მისი კლუბი — ოიტაკაძე-ბეია ოსაკის ბაშოსათვის ემზადება, შინტოისტურ ტაძარს ეკუთვნის. ტაძარს მოძჰატიმანგუ ჰქვია და ოსაკის პრეფექტურის ქალაქ საკაიში მდებარეობს.

კოკაი თავის სკოლაში პირველი ნომერია. ოიტაკაძედან მაკუუჩიში მხოლოდ ის გამოდის და ჰეიაში ყველაფერი მის გარშემო ტრიალებს. იგი ერთადერთია, ვინც ოთახში მარტო ცხოვრობს, დანარჩენი 15 სუმოტორი კი 5-5-ად არიან განაწილებული.

კოკაის წინა ბაშო ჩაუვარდა და ახლა დასავლეთის მე-8 მაეგაშირაა. მისი უმაღლესი მიღწევა 2006 წლის სექტემბრისა და ნოემბრის ბაშოებზე მოდის, რომლებზეც იგი კომუსუბის რანგში გამოდიოდა.

— კომუსუბობაზე ან მაკუუჩიში გადასვლაზე მეტად ძურიოში გადასვლა გამიხარდა. ეს დიდი წყალგამყოფი იყო. სწორედ ამ აღმასვლით მთავრდება სუმოში ძველი ცხოვრება და იწყება ახალი.

მე უმცროს ძმაზე ვეკითხები, გიორგი ცაგურიაზე, რომელიც ცუკასაუმის სახელით გამოდიოდა დაბალ დივიზიონებში.

— როცა მან ტრავმა მიიღო, ჩვენ დიდხანს ვითათბირეთ, როგორ მოქცეულიყო. თანაც ტრავმაც არის და ტრავმაც! მას ფეხის ცერი არათუ მოტყდა, მთლიანად მოძვრა ხორციანად, ფეხის ცერზე კი სუმოში დიდი დატვირთვა მოდის. ჩემს ძმას იმ დონის მისაღწევადაც კი, რომელზეც ბოლოს იყო, ტრავმის მოშუშების შემდეგ სულ ცოტა, 2-3 წელი დასჭირდებოდა, თუ საერთოდ მიაღწევდა. თანაც სწორედ იმ პერიოდში მამა გარდაგვეცვალა და ოჯახი მისახედი იყო. ამიტომ გადავწყვიტეთ, გიორგის თავი დაენებებინა სუმოსათვის და შინ დაბრუნებულიყო.

ძმები ცაგურიები სოხუმში დაიბადნენ და თავის თავზე გამოსცადეს ლტოლვილობის მწარე ხვედრი. ისინი პატარა ბიჭები იყვნენ, როცა მშობლებმა ომის ხანძარს გამოარიდეს და თბილისში გამოუშვეს. ეს გაგრის დაკარგვის შემდეგ მოხდარა. მათმა მშობლებმა კი ბოლოს კოდორის ხეობის ჯოჯოხეთი გამოიარეს და ისე გამოვიდნენ სამშვიდობოს.

— ღმერთის წყალობით, ყველანი გადავრჩით, მაგრამ მაშინდელი შთაბეჭდილებები და განცდები არასოდეს წაიშლება მეხსიერებიდან, — ლევანი აქამდე მადიანად ატრიალებდა ჩხირებს, ამის თქმაზე კი ჩანკოთი სავსე თასი თავის ჩხირებიანად გვერდზე გადადო. ცუკებიტიმ ყურები ცქვიტა, მაგრამ ვერაფერი გაიგო — თასი ჯერ კიდევ სანახევროდ სავსე იყო. კოკაიმ ხელის მოძრაობით ანიშნა, არაფერი მინდაო და ისიც კვლავ მოლოდინის პოზაში გაიყინა.

— ორი წელი მეც ასე ვიყავი — მოიბოდიშასავით ლევანმა, როცა მე და ნაკაგავამ ერთმანეთს გადავხედეთ. სხვათა შორის, ის, ვისაც მაშინ მე ვემსახურებოდი, ახლა ჩემზე დაბლაა რანგით... რა არის მაინც ცხოვრება!..

10-11 წლის ლევანმა სოხუმშივე დაიწყო ჭიდაობაზე სიარული. თავისუფალს ჭიდაობდა. მამამისიც მოჭიდავე იყო. მასაც თავისუფალი უჭიდავია.

— თბილისში რომ ჩამოვედი, „დინამოზე" მიმიყვანეს თამაზ გოგოლაძესთან... მიირთვი, აი, ესეც ძალიან გემრიელია! — ლევანმა შემწვარ თევზზე მანიშნა — 2-3 წელი ვივარჯიშე, თბილისისა თუ საქართველოს პირველობებიც მოვიგე. მერე ნახალოვკაში გადავედი „შრომით რეზერვებში". ამის შემდეგ ნაკრებშიც შემიყვანეს.

— მძიმეში ჭიდაობდი?

— კი. თავიდანვე დიდი ბავშვი ვიყავი და მძიმეში ვჭიდაობდი. ბოლოს 130 კილო გავხდი. იქ დაკლება მიჭირდა, აქ კი ეს დიდ წონად არ ითვლება... აი, ეს არის რომ გიმატებს წონას — ლევანმა ჩანკოთი სანახევროდ სავსე თასი ცუკებიტოს გაუწოდა და მანაც ვეება ქვაბიდან ერთი დიდი ულუფა კიდევ ჩაამატა — თანაც რეჟიმი გვაქვს ისეთი, რომ რასაც ვჭამთ, სულ ჯანში მიდის. წარმოიდგინე, უკვე 12 საათი ხდება და აქამდე ლუკმა არ ჩამსვლია პირში, არადა, დილის 6 საათიდან ვვარჯიშობ. დაღლილი და დამშეული ორგანიზმი თითოეულ კალორიას ხარბად ისრუტავს; თანაც ჭამის შემდეგ 2-3 საათით ვიძინებთ. აქ ვისაც წონის მომატება არ შეუძლია, ნაკლები შანსი აქვს. არიან ძალიან მაგარი ბიჭები, მაგრამ ვერც სიმაღლეს იმატებენ, ვერც წონას და ზემოთ ვერ ადიან. ასეთმა ვარჯიშზე შეიძლება კიდეც მოუგოს მაღალსა და წონიანს, მაგრამ ბაშოზე, სადაც დღეში მხოლოდ ერთი ბრძოლაა, ძალიან ცოტა შანსი აქვს.



შიშით იჭდა — კასუგანო ტოჩინოვაკა

ჩემთვის უფრო საოცარი ის არის, როგორ იკლებენ წონაში ყოფილი სუმოტორები სპორტიდან წასვლის შემდეგ. არცერთ ოიაკატას, რომელიც მინახავს, წონაზე მაინცდამაინც არ ეტყობა, რომ ის ოდესღაც სუმოს ჭიდაობდა. ყოფილა შემთხვევა, სპორტიდან წასვლის შემდეგ სუმოტორს 70 კილოგრამიც დაუკლია.

რაკი წონაზე ჩამოვარდა სიტყვა, უნდა ვთქვა, რომ ქართველი სეკიტორები სხეულის აგებულებით და გარეგნული იერით სასიამოვნოდ გამოირჩევიან სუმოს ელიტაში. არ ვიცი, ეს მათი სიმაღლის დამსახურებაა, თუ გენეტიკური რამ თვისება, მაგრამ ფაქტი ასეთია.

**ბაატა ნაცვლიშვილი**

*ავტორის ფოტოები*

*ოსაკა-თბილისი*

**დასასრული მომდევნო სარბიელში**



ლევან გორგაძემ დიად მონღოლ ასაშორიუს ვარჯიშისას ერთი ორთაბრძოლა მოუგო

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გაიხადე!

**სიდნეიში**, საერთაშორისო ტურნირზე, შვედმა ტერეზა ალსჰამერმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში: ძველი რეკორდი 0,02 წამით გააუმჯობესა, მაგრამ რად გინდა, სიხარული არ დასცალდა.

საქმე ის გახლავთ, რომ ალსჰამერი „ზედმეტად" ჩაცმული იყო და რეკორდის ჩათვლას ვინ დაეძებს, შვედი გოგო საერთოდაც მოხსნეს შეჯიბრიდან.

მოგეხსენებათ, თანამედროვე ტექნოლოგიური საცურაო კოსტუმები, სრულიად ახლებური აკვადინამიკური თვისებებით, მოცურავეებს დამატებით სისწრაფეს აძლევს. ცურვის მამები კი თვლიან, რომ ეს უსამართლობაა და სპორტსმენმა შედეგი ტექნოლოგიური პროგრესის ხარჯზე კი არა, საკუთარი შესაძლებლობებით უნდა აჩვენონ.

სპორტული სამართლიანობის აღდგენის მიზნით 14 მარტს დუბაიში გამართულ კრებაზე ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ დაადგინა, რომ სპორტსმენებს საცურაო კოსტუმი ყელს და მკლავებს აღარ უნდა უფარავდეს. ამასთანავე სიგრძე მუხლამდე უნდა ჰქონდეს.

სხდომაზე ისიც ითქვა, რომ ახალი წესი მსოფლიოს ჩემპიონატზე ამოქმედდება, რომელიც რომში 17 ივნისს დაიწყება.

17 ივნისამდე, მოგეხსენებათ, საკმაო დროა, მაგრამ ხსენებული ავსტრალიური ტურნირის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, წესი ცხოვრებაში წინსწრებით გაეტარებინათ.

შვედმა მოცურავემ რეკორდის არჩათვლა გააპროტესტა და არგუმენტად სწორედ ეს წინსწრება დაასახელა.

**კოტე კეკელია**

# დიდი კარიერის დასასრული

**ცურვაში** ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა უკრაინელმა იანა კლოჩკოვამ 26 წლისამ კარიერა დაასრულა.

„გადაწყვეტილება იოლად არ მიმიღია — თქვა კლოჩკოვამ — მაგრამ სპორტში ყველაფერს მივაღწიე და ახლა ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც მინდა წარმატების მიღწევა.

კლოჩკოვამ სიდნეის ოლიმპიადაზე ორი ოქრო მოიგო: 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. 800 მეტრზე თავისუფალ სტილში კი ვერცხლი მოიგო. ორმაგი ოქროს შედეგი მან მომდევნო ოლიმპიადაზეც გაიმეორა.



# შესაძლოა, სამუდამო რეკორდსმენი

**ოთხშაბათს**, ჩვენი დროით გამთენიისას, „ნიუ ჯერსის" მეკარემ მარტინ ბროდომ კარიერაში 552-ე გამარჯვება მიითვალა...

საოცარი სანახაობა იყო. „ნიუ ჯერსი" „ჩიკაგოს" ხვდებოდა. ნიუ არკის დარბაზი ბოლო წლებში პირველად პირთამდე შეივსო. ბოლო წუთებზე, როცა ნიუჯერსელები 3:2 იგებდნენ, გულშემატკივრებმა ერთხმად დაიწყეს „მარტი, მარტის" ძახილი. ხოლო როცა თამაში დასრულდა, ბროდო საკუთარ კარს ეცა და ბადე ჩამოგლიჯა.

კი ჩამოგლიჯა, მაგრამ მერე ისე სათუთად ჩაიხუტა გულში, სამჯერ რომ მოიგო სტენლის თასი, მაშინ არ ჩაუხუტებია...

552 მოგება ნჰლ-ის რეგულარული ჩემპიონატის 987 მატჩში ისეთივე ეპოქალური მოვლენაა, როგორიც, ვთქვათ, უეინ გრეცკის 894 გოლი და 1963 პასი.

მარტინ ბროდომ ოთხშაბათს დიადი პატრიკ რუას რეკორდი დაამხო და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ფრანკო-კანადელი მეკარის შედეგს კარგა ხანს ვერავინ შესწვდება — თუ ოდესმე შეწვდა, ისევე როგორც უეინ გრეცკის ნახსენები რეკორდი მოჩანს სამუდამოდ. ბროდო ხომ კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს და შესაბამისად, მოგებების რაოდენობას კიდევ გაზრდის.

ბროდო ამ რეკორდის გარეშეც უნიკალური პიროვნებაა ჩრდილოამერიკულ ჰოკეიში. 18 წლისა იყო, „ნიუ ჯერსიში" რომ მივიდა და გუნდის სხვა მეკარეები სათადარიგოთა სკამზე გაისტუმრა. არადა, 18 წელი ტუტუმწოვრობის ასაკია ნჰლ-ის მეკარეობისთვის.

„ეშმაკები" იმ დროს უცუდესთაგანი იყვნენ ლიგაში, მეკარეობაში მოდას კი დომენიკ ჰაშეკი ქმნიდა.

ჩადგა ბროდო კარში და გარდატეხაც ამით დაიწყო. ბროდოს კარში ჩადგომით მოდურმა ტენდენციებმაც ჰაშეკიდან მისკენ გადაინაცვლეს. რითი გამოირჩევა? ყოველი შეტევისას არ წვება.

ერთადერთი, რამაც ბოლო წლებში მარტინ ბროდოს იმიჯი შელახა განქორწინება იყო. მისმა ცოლმა მელანიმ, ოთხი შვილის დედამ, დიდი სკანდალი მოაწყო და საჯაროდ განაცხადა, რომ კანადაში გასვლით თამაშებზე მარტინს ცოლის ნახევარდა ჟენევიევა დაჰყავდა და საყვარლადაც ჰყავდა...

სასამართლოზე მელანიმ უზარმაზარი ქონება: ნორდ კოლდუელის, ორლანდოს და სენტ ადოლფის სახლები, იახტა, რამდენიმე მანქანა და „ნიუ ჯერსის" აქციები მოითხოვა — მეკარე ამავდროულად კლუბის აქციონერიც გახლავთ.

მეკარემ უცნობია, როგორ და, საქმის უჩუმრად მოგვარება მოახერხა.

დღეს კი ყველა სხვა მეკარე მისი სათამაშო მანერის მიბაძვას ცდილობს.

**გიორგი დარჯანია**



## რეგულარული ჩემპიონატი

16 მარტი
კოლამბუსი 0:4 დეტროიტი
სენტ ლუისი 5:3 მინესოტა
ანაჰაიმი 0:1 სან ხოსე
ვანკუვერი 4:2 კოლორადო

17 მარტი
ატლანტა 5:1 ვაშინგტონი
ლოს ანჯელესი 3:4 ნეშვილი

18 მარტი
ნიუ ჯერსი 3:2 ჩიკაგო
მონრეალი 3:4 (ბ) რეინჯერსი
ოტავა 4:2 ბუფალო
პიტსბურგი 6:2 ატლანტა
ტამპა 3:4 (ბ) ტორონტო
ფლორიდა 0:3 ვაშინგტონი
დეტროიტი 3:2 ფილადელფია
მინესოტა 3:2 (ბ) კოლორადო
ედმონტონი 2:1 (ბ) სენტ ლუისი
ვანკუვერი 4:2 დალასი
ფინიქსი 4:3 სან ხოსე

19 მარტი
კაროლინა 4:2 ნიუ ჯერსი
კოლამბუსი 4:3 (ოტ) ჩიკაგო
კალგარი 2:1 დალასი
ანაჰაიმი 4:3 (ოტ) ნეშვილი

20 მარტი
ბოსტონი 2:3 (ოტ) ლოს ანჯელესი
ოტავა 5:4 მონრეალი
ტამპა 2:5 ვაშინგტონი
ფლორიდა 3:1 ტორონტო
კოლორადო 1:8 ედმონტონი
ვანკუვერი 3:0 სენტ ლუისი
ფინიქსი 2:3 (ბ) ანაჰაიმი
სან ხოსე 3:2 (ბ) ნეშვილი

21 მარტი
ნიუ ჯერსი 4:0 მინესოტა
კაროლინა 5:4 აილენდერსი
ბუფალო 4:6 ფილადელფია
პიტსბურგი 4:1 ლოს ანჯელესი
ატლანტა 3:6 დეტროიტი
ჩიკაგო 4:5 (ბ) ედმონტონი
კალგარი 2:3 სენტ ლუისი
სან ხოსე 5:2 დალასი

22 მარტი
მონრეალი 2:5 ტორონტო
ოტავა 5:2 აილენდერსი
რეინჯერსი 5:3 ბუფალო
კაროლინა 4:1 ვაშინგტონი
ფლორიდა 1:3 კოლამბუსი
ტამპა 3:4 (ბ) ატლანტა
ფინიქსი 5:1 ვანკუვერი

### აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 71 | 34 | 3 | 21 | 222:173 | 97 |
| ფილადელფია | 70 | 29 | 10 | 22 | 226:203 | 86 |
| პიტსბურგი | 73 | 27 | 8 | 26 | 232:219 | 86 |
| რეინჯერსი | 72 | 25 | 8 | 26 | 186:196 | 84 |
| აილენდერსი | 72 | 18 | 8 | 40 | 182:234 | 56 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ბოსტონი | 72 | 39 | 10 | 17 | 239:170 | 100 |
| მონრეალი | 72 | 26 | 9 | 27 | 214:220 | 81 |
| ბუფალო | 72 | 26 | 8 | 30 | 212:208 | 76 |
| ტორონტო | 73 | 21 | 13 | 30 | 219:257 | 73 |
| ოტავა | 71 | 25 | 10 | 30 | 191:206 | 72 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ვაშინგტონი | 73 | 35 | 6 | 23 | 238:216 | 96 |
| კაროლინა | 74 | 31 | 7 | 28 | 213:210 | 85 |
| ფლორიდა | 72 | 28 | 10 | 27 | 198:203 | 80 |
| ატლანტა | 73 | 21 | 6 | 37 | 223:249 | 66 |
| ტამპა | 72 | 19 | 16 | 33 | 189:240 | 62 |

### დასავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 72 | 39 | 9 | 15 | 270:212 | 105 |
| ჩიკაგო | 70 | 30 | 11 | 22 | 229:190 | 85 |
| კოლამბუსი | 72 | 28 | 6 | 28 | 201:200 | 82 |
| ნეშვილი | 72 | 26 | 7 | 30 | 184:199 | 77 |
| სენტ ლუისი | 72 | 24 | 9 | 30 | 199:212 | 75 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კალგარი | 71 | 35 | 6 | 24 | 233:218 | 88 |
| ვანკუვერი | 71 | 32 | 9 | 24 | 214:196 | 85 |
| ედმონტონი | 71 | 28 | 9 | 27 | 207:216 | 79 |
| მინესოტა | 71 | 25 | 8 | 30 | 180:178 | 74 |
| კოლორადო | 72 | 19 | 2 | 39 | 188:229 | 64 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| სან ხოსე | 71 | 38 | 10 | 14 | 230:175 | 104 |
| ანაჰაიმი | 71 | 25 | 6 | 31 | 197:206 | 74 |
| დალასი | 72 | 24 | 8 | 31 | 204:222 | 74 |
| ლოს ანჯელესი | 71 | 23 | 10 | 31 | 186:209 | 70 |
| ფინიქსი | 72 | 28 | 7 | 35 | 179:219 | 67 |

*I გრაფა — თამაში; II — მოგება; III — ოვერტაიმში წაგება; IV — წაგება; V — შაიბების სხაობა; VI — ქულა*

*ბომბარდირები: ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 50; პარიზე (ნიუ ჯერსი) 41; კარტერი (ფილადელფია) 39; კოვალჩუკი (ატლანტა) 37; მარლო (სან ხოსე) 37; ჰოსა (დეტროიტი) 36; ვანეკი (ბუფალო) 35; კამალერი (კალგარი) 35*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუბილარი ლეგენდები

## HAPPY BIRTHDAY

www.wikipedia.org

**23 მარტი**

1931 ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია, ჭადრაკი)
1931 ევგენი გრიშინი (სსრკ, ჰოკეი)
1953 ბო დიასი (ვენესუელა, ბეისბოლი)
1954 გენო აურემია (იტალია, კალათბურთი)
1955 მოზეს მელოუნი (აშშ, კალათბურთი)
1963 მიჩელი (ესპანეთი, ფეხბურთი)
1963 ფერნანდო იერო (ესპანეთი, ფეხბურთი)
1972 ჯო კალძაგე (ბრიტანეთი, კრივი)
1973 ირჟი დუდეკი (პოლონეთი, ფეხბურთი)
1973 ჯეისონ კიდი (აშშ, კალათბურთი)
1979 მისტი ჰეიმანი (აშშ, ცურვა)
1979 დონჩა ოკალაჰანი (ირლანდია, რაგბი)
1986 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, მოტორბოლა)

**24 მარტი**

1921 ვასილი სმისლოვი (სსრკ, ჭადრაკი)
1949 რუუდ კროლი (ჰოლანდია, ფეხბურთი)
1957 პიერ ჰარვი (კანადა, ველორბოლა, თხილამურობა)
1958 მაიკ ვუდსონი (აშშ, კალათბურთი, ზაზა ფაჩულიას ახლანდელი მწვრთნელი)
1973 იაცეკ ბაკი (პოლონეთი, ფეხბურთი)
1975 ტომას იოჰანსონი (შვედეთი, ჩოგბურთი)
1982 ფური დიუ-პრე (სამხრეთ აფრიკა, რაგბი)
1984 კრის ბოში (აშშ, კალათბურთი)

**25 მარტი**

1920 არტურ ვინტი (იამაიკა, მძლეოსნობა)
1926 ლასლო პაპი (უნგრეთი, კრივი)
1935 გაბრიელ ელორდე (ფილიპინები, კრივი)
1959 ჯონ ჯეფრი (შოტლანდია, რაგბი)
1965 აივერი ჯონსონი (აშშ, კალათბურთი)
1971 შერილ სვუპერსი (აშშ, კალათბურთი)
1974 სერჟ ბესენი (საფრანგეთი, რაგბი)
1975 სტეისი დრაგილა (აშშ, მძლეოსნობა)
1976 ვლადიმირ კლიჩკო (უკრაინა, კრივი)

**26 მარტი**

1945 მიხაილ ვორონინი (სსრკ, ტანვარჯიში)
1952 მიდიე ზირონი (საფრანგეთი, ავტორბოლა)
1962 ჯონ სტოქტონი (აშშ, კალათბურთი)
1964 ულფ სამუელსონი (შვედეთი, ჰოკეი)
1968 ლორენ ბროშარი (საფრანგეთი, ველორბოლა)
1970 პოლ ბოსველტი (ჰოლანდია, ფეხბურთი)
1973 მეტ ბერკი (ავსტრალია, რაგბი)
1975 გორდონ ბალოკი (შოტლანდია, რაგბი)
1979 პიერ ვომე (კამერუნი, ფეხბურთი)
1984 დრიუ მიჩელი (ავსტრალია, რაგბი)

**27 მარტი**

1940 სანდრო მუნარი (იტალია, ავტორბოლა)
1956 ტომას ვასბერგი (შვედეთი, ბარის თხილამურობა)
1961 ტომი რომინგერი (შვეიცარია, ველორბოლა)
1971 დევიდ კულჰარდი (ბრიტანეთი, ავტორბოლა)
1972 ჯიმი ჰასელბაინკი (ჰოლანდია, ფეხბურთი)
1974 გაისკა მენდიეტა (ესპანეთი, ფეხბურთი)
1976 ჯამელ ბელმადი (ალჟირი, ფეხბურთი)
1984 ადამ ეშლი-კუპერი (ავსტრალია, რაგბი)

**28 მარტი**

1922 ჯოი მაქსიმი (აშშ, კრივი)
1942 ჯერი სლოუნი (აშშ, კალათბურთი)
1944 რიკ ბერი (აშშ, კალათბურთი)
1961 ბაირონ სკოტი (აშშ, კალათბურთი)
1964 ალექსანდრ ვოლკოვი (უკრაინა კალათბურთი)
1965 სტივ ბული (ინგლისი, ფეხბურთი)
1972 კიტ ტკაჩუკი (აშშ, ჰოკეი)
1975 ივან ელგერა (ესპანეთი, ფეხბურთი)
1980 ლუკ უოლტონი (აშშ, კალათბურთი)
1984 კრისტოფერ სამბა (კონგო, ფეხბურთი)
1986 ბარბორა სტრიჩოვა (ჩეხეთი, ჩოგბურთი)

**29 მარტი**

1945 უოლტ ფრეზერი (აშშ, კალათბურთი)
1952 თეოფილო სტივენსონი (კუბა, კრივი)
1965 ვულა პატულიდუ (საბერძნეთი, მძლეოსანი)
1972 რუი კოშტა (პორტუგალია, ფეხბურთი)
1973 მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია, ფეხბურთი)
1974 მარკ ჟენე (ესპანეთი, ავტორბოლა)
1976 იგორ ასტარლოა (ესპანეთი, ველორბოლა)
1976 ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, ჩოგბურთი)



### 1931 წლის 23 მარტი
### ვიქტორ კორჩნოი
**(შვეიცარია, ჭადრაკი)**

საბჭოთა საჭადრაკო სკოლის აღზრდილი ვიქტორ კორჩნოი ერთ-ერთი საუკეთესოა მათგან, რომელთაც მსოფლიოს ჩემპიონობა არ ერგოთ. 1976 წელს დასავლეთ ევროპაში გაიქცა, შვეიცარიის მოქალაქეობა მიიღო და მსოფლიოს ექსჩემპიონ ბობი ფიშერის განდეგილობის ჟამს იოლად გახდა „დანარჩენი მსოფლიოს" ნომერ პირველი მოჭადრაკე. ტიტულისთვის ორჯერ შეეტოქა საბჭოეთის ნალოლიავებ კერპ ანატოლი კარპოვს და ორჯერვე დამარცხდა. თუმცა არავისთვის იყო საიდუმლო, რომ ყოფილი სამშობლოს „რკინის ხელი" ფსიქოლოგიურად ამუშავებდა თავისუფლების მოყვარე გენიოსს.

ცნობილი ფაქტია, რომ 1978 წელს ფილიპინებში გამართული მატჩისას კორჩნოიზე დარბაზიდან ტელეპატიურად მოქმედებდა ჰიპნოზიორი დოქტორი ზუხარი. კორჩნოი დღემდე რჩება აქტიურ მოჭადრაკედ. სამი წლის წინ ვეტერანთა შორის მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა.



### 1955 წლის 23 მარტი
### მოზეს მელოუნი
**(აშშ, კალათბურთი)**

ამერიკული კალათბურთის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული „დიდი კაცი" მოზეს მელოუნი უმაღლეს დონეზე ორი ათეული წელი თამაშობდა. კარიერა 1974 წელს ნბა-ს კონკურენტ ლიგა აბა-ში დაიწყო და ზუსტად ოცი წლის შემდეგ ნბა-ში რომ დაასრულა, ყველა დროის მესამე მომხსნელი და მეექვსე მექულე გახლდათ.

1976 წლიდან ნბა-ში თამაშობდა. ქარიმ აბდულ ჯაბარის, ლარი ბერდისა და მეჯიქ ჯონსონის ეპოქაში სამჯერ გახდა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე. მესამედ ეს 1983 წელს მოხდა, როცა „ფილადელფია" აჩემპიონა. მასვე დარჩა ფინალის უძვირფასესის წოდებაც, თუმცაღა იმ გუნდში თამაშობდა კიდევ ერთი ლეგენდა, „დოქტორ ჯეიდ" წოდებული ჯულიუს ირვინგი.



### 1926 წლის 25 მარტი
### ლასლო პაპი
**(უნგრეთი, კრივი)**

ლასლო პაპმა სამოყვარულო კრივში ლეგენდის სახელი დაიგდო, საშუალო წონაში ზედიზედ მოიგო 1948 წელს ლონდონის, 1952 წელს ჰელსინკის და 1956 წელს მელბურნის ოლიმპიადები. 55 შეხვედრაში პირველივე რაუნდში დაანოკაუტა მეტოქე. მოყვარულებში დაუმარცხებელმა, მელბურნის შემდეგ პროფესიონალებში სცადა ბედი და არც აქ წაუგია. თავიდან კი გაუსხლტა კომუნიზმის კლანჭებს და პროფესიულ რინგზე თითქმის ოცდაათი ბრძოლა გამართა, რომელთაგან 27 მოიგო და ორი ფრედ დაასრულა, მაგრამ 1964 წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის რომ უნდა ეკრივა, კომუნისტურმა უნგრეთმა უცხოეთის ვიზა არ მისცა და საკრივო ლეგენდაც აქ დასრულდა.



### 1959 წლის 25 მარტი
### ჯონ ჯეფრი
**(შოტლანდია, რაგბი)**

შოტლანდიური რაგბის ოქროს თაობის გამორჩეული ვარსკვლავი, „დიად თეთრ ზვიგენად" მონათლული ჯონ ჯეფრი თავისი ეპოქის საუკეთესო ფლანკერი (შერკინების მესამე ხაზი) იყო. დაცვაში გაუვალი შეტევაშიც შიშს თესდა მეტოქეთა რიგებში და არაერთი უმნიშვნელოვანესი ლელო დაუდია. სულ 40 სანაკრებო თამაშში 11 ლელოს გატანა მოასწრო, რაც მორკინალისთვის სამოყვარულო რაგბობაში ძალიან ბევრი იყო და არც ახლაა ცოტა.

1988 წელს ედინბურგის ცენტრალურ გამზირზე, „პრინცების ქუჩაზე" ინგლისელ დინ რიჩარდსთან ერთად ფეხბურთი წაითამაშა, რაც ექვსთვიან დისკვალიფიკაციად დაუსვეს. მაგრამ დაბრუნდა და, მოედანზე საგმირო საქმეები დაატრიალა: 1990 წელს ნაკრებს ხუთი ერის დიდი სლემით, ანუ წაუგებლად მოგებაში დაეხმარა, 1991 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი შოტლანდია პირველად და საბოლოოდ გაიყვანა ნახევარფინალში, სადაც სქოთები მხოლოდ 6:9 დამარცხდნენ ინგლისთან.



### 1971 წლის 25 მარტი
### შერილ სვუპერსი
**(აშშ, კალათბურთი)**

შერილ სვუპერსი ქალთა ნბა-ში 1996 წლიდან ანუ დაარსებიდან თამაშობს და მოიგო ყველაფერი როგორც ამერიკაში, ასევე მსოფლიოში. ვნბა-ს სამგზის უძვირფასეს მოთამაშეს და სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს „ქალბატონ ჯორდანს" ეძახიან.



### 1974 წლის 25 მარტი
### სერჟ ბესენი
**(საფრანგეთი, რაგბი)**

თანამედროვე რაგბის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი, უმოწყალო მბოჭავი და მეტოქის გამთამაშებლებზე მონადირე. 2002 წელს ექვს ერზე ინგლისთან ფინალის ტოლფას მატჩში ისე დაეტაკა მეტოქეთა საუკეთესო მოთამაშე ჯონი უილკინსონს, რომ ფიზიკურად გამოთიშა თამაშიდან, ინგლისელთა თავკაც კლაივ ვუდვორდს კი ათქმევინა, ერთადერთი, მაგ ბესენის გამო წავაგეთო.

მაგრამ ბესენი შეტევაშიც ყოჩაღობდა და საფრანგეთის ნაკრებს 63 თამაშში 9 ლელო შეაწია. ორი მსოფლიოს თასის მონაწილეა. დაიბადა კამერუნში. 17 წლისა უკვე „ბიარიცში" ირიცხებოდა, თუმც ნაკრებში მხოლოდ 26 წლისა დამკვიდრდა.



### 1975 წლის 25 მარტი
### სტეისი დრაგილა
**(აშშ, მძლეოსნობა)**

ისინბაევამდელი ეპოქის საუკეთესო ჭოკით მხტომელი ქალი. გვარიანად გაუმართლა, რომ რუსზე 9 წლით უფროსია და სანამ ისინბაევა გამოჩნდებოდა, მოასწრო ორი მსოფლიოს ჩემპიონატის (1999 და 2001) და ერთი ოლიმპიადის (2000) მოგება. მაშინ მისი პირადი რეკორდი იყო 4,83 მეტრი, თუმც მერე ისინბაევასთან შეჯიბრში გაიზარდა და 4,93 მეტრამდეც ასწია თამასა. ეს შედეგი მას მძლეოსნობის ისტორიაში მეორე ადგილზე ამკვიდრებს.



### 1962 წლის 26 მარტი
### ჯონ სტოქტონი
**(აშშ, კალათბურთი)**

ნბა-ს რეკორდსმენი პასებში და ჩაჭრებში, კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი. პროვინციულ ქალაქ სპოკანში დაბადებულმა სტოქტონმა მთელი კარიერა შესწირა პროვინციულსავე სოლტ ლეიკ სიტის გუნდ „იუტა ჯაზს". აქ გაატარა სრული ცხრამეტი სეზონი. ორჯერ ითამაშა ფინალში (1997, 98) და ორჯერვე მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგოსთან" დამარცხდა. 1992 წელს „ოცნების გუნდთან" ერთად მოიგო ბარსელონას ოლიმპიადა. მომდევნო ოლიმპიადაზე, 1996 წელს ატლანტაში კი უკვე ნაკრების კაპიტანის რანგში იჩემპიონა.

### 1952 წლის 29 მარტი
### თეოფილო სტივენსონი
**(კუბა, კრივი)**

რინგის რისხვა, შავი გოლიათი, რომელიც სამოყვარულო კრივის მეორე ლეგენდა ლასლო პაპისგან განსხვავებით ბოლომდე მოყვარულად დარჩა და არ აჰყვა პროფესიულ რინგზე მილიონების კეთების ცდუნებას. სტივენსონმა გაიმეორა პაპის რეკორდი და 1972, 76 და 80 წლებში სამჯერ მოიგო ოლიმპიადა. ალბათ, ჩეოთხედაც ვერავინ შეუბრუნებდა ხელს, მაგრამ გაქანებული ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირს აყოლილმა კუბამ 1984 წელს ლოს ანჯელესში არ გაუშვა დელეგაცია. პაპის და სტივენსონის რეკორდს მოგვიანებით შესწვდა კიდევ ერთი კუბელი ფელიქს სავონი.

სტივენსონს 1976 წელს დაუკავშირდნენ პროფესიული რინგის მსოფლიოს ჩემპიონის, მუჰამედ ალის წარმომადგენლები და ყოველგვარი სარეიტინგო ბრძოლების გარეშე შესთავაზეს ტიტულისთვის ბრძოლა, რაც მილიონიან ჰონორარსაც გულისხმობდა. მაგრამ ფიდელ კასტროს იდეოლოგიით მუშტიდან ფეხებამდე გაჟღენთილმა სტივენსონმა არ ისურვა წარყვნილ კაპიტალიზმთან შერწყმა და ცინიკურად მოიშორა ალის ელჩები. თქვა — რა არის მილიონი დოლარი რვა მილიონი კუბელის სიყვარულთან შედარებითო. პატრიოტიზმის ასეთი გამოვლინება ფიდელმა იმით დაუფასა, რომ სპორტის მინისტრად დანიშნა. თეოფილო სტივენსონი კუბელი ხალხისთვის დღემდე ეროვნულ გმირად რჩება.



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მწ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 1 | რუსეთი-აზერბაიჯანი | 1.10 | 8.00 | 16.00 | 1.00 | 1.02 | 5.33 |
| 18:00 | 2 | რუსეთი-აზერბაიჯანი 0:1 | 1.25 | 4.50 | 6.20 | | | |
| 19:00 | 3 | სომხეთი-ესტონეთი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 4 | სომხეთი-ესტონეთი 0:1 | 3.60 | 3.50 | 1.65 | | | |
| 19:00 | 5 | უელსი-ფინეთი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 6 | უელსი-ფინეთი 0:1 | 4.20 | 3.50 | 1.55 | | | |
| 20:00 | 7 | ლუქსემბურგი-ლატვია | 5.00 | 3.50 | 1.65 | 2.05 | 1.24 | 1.12 |
| 20:00 | 8 | ლუქსემბურგი-ლატვია 1:0 | 2.00 | 3.40 | 2.70 | | | |
| 20:45 | 9 | მოლდოვა-შვეიცარია | 4.90 | 3.50 | 1.65 | 2.04 | 1.23 | 1.12 |
| 20:45 | 10 | მოლდოვა-შვეიცარია 1:0 | 2.00 | 3.40 | 2.70 | | | |
| 21:00 | 11 | ისრაელი-საბერძნეთი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 21:00 | 12 | ისრაელი-საბერძნეთი 0:1 | 4.20 | 3.50 | 1.55 | | | |
| 21:15 | 13 | ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი | 3.50 | 3.20 | 2.00 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| 21:15 | 14 | ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი 1:0 | 1.65 | 3.50 | 3.60 | | | |
| 22:00 | 15 | კვიპროსი-საქართველო | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 22:30 | 17 | ალბანეთი-უნგრეთი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 22:30 | 18 | ალბანეთი-უნგრეთი 1:0 | 1.45 | 3.60 | 5.00 | | | |
| 22:45 | 19 | ირლანდია-ბულგარეთი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| 22:45 | 20 | ირლანდია-ბულგარეთი 0:1 | 3.60 | 3.50 | 1.65 | | | |
| 22:45 | 21 | რუმინეთი-სერბეთი | 1.90 | 3.25 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.73 |
| 22:45 | 22 | რუმინეთი-სერბეთი 0:1 | 3.50 | 3.50 | 1.70 | | | |
| 23:00 | 23 | მალტა-დანია | 12.00 | 6.50 | 1.15 | 4.21 | 1.04 | 1.00 |
| 23:00 | 24 | მალტა-დანია 1:0 | 5.00 | 4.25 | 1.35 | | | |
| 23:00 | 25 | გერმანია-ლიხტენშტეინი | 1.01 | 12.00 | 35.00 | 1.00 | 1.00 | 8.93 |
| 23:45 | 27 | მონტენეგრო-იტალია | 4.50 | 3.25 | 1.75 | 1.88 | 1.25 | 1.13 |
| 23:45 | 29 | სლოვენია-ჩეხეთი | 3.50 | 3.20 | 2.00 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| 23:45 | 30 | სლოვენია-ჩეხეთი 1:0 | 1.65 | 3.55 | 3.60 | | | |
| 23:45 | 31 | ბელგია-ბოსნია | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 23:45 | 32 | ბელგია-ბოსნია 0:1 | 2.60 | 3.35 | 2.10 | | | |
| 23:45 | 33 | ჰოლანდია-შოტლანდია | 1.35 | 4.00 | 9.00 | 1.00 | 1.17 | 2.76 |
| 23:45 | 34 | ჰოლანდია-შოტლანდია 0:1 | 1.80 | 3.60 | 2.95 | | | |
| 23:45 | 35 | პორტუგალია-შვედეთი | 1.55 | 3.50 | 5.80 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| 23:45 | 36 | პორტუგალია-შვედეთი 0:1 | 2.40 | 3.40 | 2.25 | | | |
| 23:45 | 37 | ლიტვა-საფრანგეთი | 4.60 | 3.30 | 1.75 | 1.92 | 1.26 | 1.14 |
| 23:45 | 38 | ლიტვა-საფრანგეთი 1:0 | 1.85 | 3.40 | 3.00 | | | |
| 23:45 | 39 | ესპანეთი-თურქეთი | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| 23:45 | 40 | ესპანეთი-თურქეთი 0:1 | 2.05 | 3.50 | 2.50 | | | |
| 23:45 | 41 | მექსიკა-კოსტა რიკა | 1.00 | | | | | |
| 23:00 | 47 | არგენტინა-ვენესუელა | 1.20 | 5.80 | 8.50 | 1.00 | 1.05 | 3.44 |
| 23:00 | 48 | არგენტინა-ვენესუელა 0:1 | 1.00 | | | | | |
| 23:00 | 49 | კოლუმბია-ბოლივია | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 23:00 | 50 | ეკვადორი-ბრაზილია | 4.30 | 3.30 | 1.70 | 1.86 | 1.21 | 1.12 |
| 23:00 | 51 | პერუ-ჩილე | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 23:00 | 52 | ურუგვაი-პარაგვაი | 2.25 | 3.10 | 2.80 | 1.30 | 1.24 | 1.47 |
| 23:00 | 53 | კენია-ტუნისი | 2.60 | 3.00 | 2.40 | 1.39 | 1.24 | 1.33 |
| 23:00 | 54 | რუანდა-ტუნისი | 2.90 | 3.10 | 2.20 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| 23:00 | 55 | ტოგო-კამერუნი | 3.25 | 3.20 | 1.95 | 1.61 | 1.21 | 1.21 |
| 21:00 | 56 | სუდანი-მალი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 22:00 | 445 | ბურკინა ფასო-გვინეა | 2.50 | 3.10 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| 23:00 | 446 | მაროკო-გაბონი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 447 | მოზამბიკი-ნიგერია | 3.40 | 3.35 | 1.85 | 1.68 | 1.19 | 1.19 |
| 18:00 | 448 | კოტ დიუარი-მალავი | 1.10 | 6.70 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.42 |
| 21:00 | 449 | განა-ბენინი | 1.10 | 6.70 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.42 |
| 21:00 | 450 | ეგვიპტე-ზამბია | 1.20 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.43 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 431 | დაგენემი-ბრენტფორდი | 2.55 | 3.30 | 2.65 | 1.43 | 1.29 | 1.46 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 23:15 | 432 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 2.00 | 3.25 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.68 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 23:10 | 433 | თუნი-კონკორდია | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 434 | ტრევიზო-გროსეტო | 2.50 | 2.80 | 2.90 | 1.32 | 1.34 | 1.42 |
| 23:55 | 435 | სალერნიტანა-ბრეშა | 2.95 | 2.75 | 2.50 | 1.42 | 1.35 | 1.30 |
| | | იტალია. სერია C1/A | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 436 | ჩეზენა-პადოვა | 1.85 | 2.90 | 4.35 | 1.12 | 1.29 | 1.74 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 437 | სტრასბური-ანჟე | 2.00 | 2.90 | 4.15 | 1.18 | 1.34 | 1.70 |
| | | რუსეთი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 438 | ცსკა-ტომსკი | 1.35 | 4.30 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.85 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 20:15 | 439 | ტეპლიცე-სპარტა | 2.85 | 2.90 | 2.45 | 1.43 | 1.31 | 1.32 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 440 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 2.25 | 3.30 | 3.20 | 1.33 | 1.32 | 1.62 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 441 | ტრომსიო-რუსენბორგი | 2.95 | 3.30 | 2.40 | 1.55 | 1.32 | 1.38 |
| | | შერეული | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 442 | ბოტევი-ლოკომოტივი(ბულ) | 4.20 | 3.30 | 1.75 | 1.84 | 1.23 | 1.14 |
| 20:00 | 443 | ილიჩევეცი-მეტალისტი(უკრ) | 6.50 | 3.50 | 1.45 | 2.27 | 1.18 | 1.02 |
| 21:00 | 444 | დინამო კ-არსენალი(უკრ) | 1.25 | 4.80 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.24 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10431 | დაგენემი-ბრენტფორდი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10432 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10433 | თუნი-კონკორდია | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10434 | ტრევიზო-გროსეტო | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10435 | სალერნიტანა-ბრეშა | 3.35 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.46 | 1.13 |
| 10437 | სტრასბური-ანჟე | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10438 | ცსკა-ტომსკი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10439 | ტეპლიცე-სპარტა | 3.25 | 2.00 | 2.70 | 1.23 | 1.47 | 1.14 |
| 10440 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10441 | ტრომსიო-რუსენბორგი | 3.35 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.46 | 1.13 |

### II ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19431 | დაგენემი-ბრენტფორდი | 2.90 | 2.30 | 2.70 | 1.28 | 1.39 | 1.24 |
| 19432 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 2.35 | 2.45 | 3.40 | 1.19 | 1.38 | 1.42 |
| 19433 | თუნი-კონკორდია | 2.35 | 2.50 | 3.50 | 1.21 | 1.40 | 1.45 |
| 19434 | ტრევიზო-გროსეტო | 2.70 | 2.40 | 2.90 | 1.27 | 1.39 | 1.31 |
| 19435 | სალერნიტანა-ბრეშა | 3.35 | 2.40 | 2.40 | 1.39 | 1.39 | 1.20 |
| 19437 | სტრასბური-ანჟე | 2.35 | 2.45 | 3.40 | 1.19 | 1.38 | 1.42 |
| 19438 | ცსკა-ტომსკი | 1.65 | 2.50 | 6.50 | 1.00 | 1.31 | 1.80 |
| 19439 | ტეპლიცე-სპარტა | 3.25 | 2.40 | 2.65 | 1.38 | 1.45 | 1.25 |
| 19440 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 2.65 | 2.30 | 3.30 | 1.23 | 1.46 | 1.35 |
| 19441 | ტრომსიო-რუსენბორგი | 3.35 | 2.40 | 2.40 | 1.39 | 1.39 | 1.20 |

| 1-ლი ტაიმი/მირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11431 | დაგენემი-ბრენტფორდი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11432 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11433 | თუნი-კონკორდია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11434 | ტრევიზო-გროსეტო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11435 | სალერნიტანა-ბრეშა | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11437 | სტრასბური-ანჟე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11438 | ცსკა-ტომსკი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11439 | ტეპლიცე-სპარტა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11440 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11441 | ტრომსიო-რუსენბორგი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| ფრეს გარეშე(ძირ დრო) | | | |
|---|---|---|---|
| 16431 | დაგენემი-ბრენტფორდი | 1.80 | 1.85 |
| 16432 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 1.40 | 2.55 |
| 16433 | თუნი-კონკორდია | 1.50 | 2.30 |
| 16434 | ტრევიზო-გროსეტო | 1.80 | 1.85 |
| 16435 | სალერნიტანა-ბრეშა | 2.05 | 1.62 |
| 16437 | სტრასბური-ანჟე | 1.40 | 2.55 |
| 16438 | ცსკა-ტომსკი | 1.10 | 5.50 |
| 16439 | ტეპლიცე-სპარტა | 1.95 | 1.70 |
| 16440 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1.58 | 2.10 |
| 16441 | ტრომსიო-რუსენბორგი | 2.05 | 1.62 |

| რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირ. დრო) | | | |
|---|---|---|---|
| 14431 | დაგენემი-ბრენტფორდი | 1.90 | 1.90 |
| 14432 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 1.70 | 2.20 |
| 14433 | თუნი-კონკორდია | 1.75 | 2.10 |
| 14434 | ტრევიზო-გროსეტო | 1.85 | 1.95 |
| 14435 | სალერნიტანა-ბრეშა | 1.95 | 1.85 |
| 14437 | სტრასბური-ანჟე | 1.70 | 2.20 |
| 14438 | ცსკა-ტომსკი | 1.20 | 2.60 |
| 14439 | ტეპლიცე-სპარტა | 1.95 | 1.85 |
| 14440 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1.80 | 2.00 |
| 14441 | ტრომსიო-რუსენბორგი | 1.95 | 1.85 |

| პირველი ტაიმი ფრეს გარეშე | | | |
|---|---|---|---|
| 23431 | დაგენემი-ბრენტფორდი | 1.51 | 1.46 |
| 23432 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 1.20 | [illegible] |
| 23433 | თუნი-კონკორდია | 1.25 | 1.80 |
| 23434 | ტრევიზო-გროსეტო | 1.42 | 1.50 |
| 23435 | სალერნიტანა-ბრეშა | 1.60 | 1.35 |
| 23437 | სტრასბური-ანჟე | 1.20 | 1.80 |
| 23438 | ცსკა-ტომსკი | 1.00 | 3.80 |
| 23439 | ტეპლიცე-სპარტა | 1.55 | 1.37 |
| 23440 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1.32 | 1.65 |
| 23441 | ტრომსიო-რუსენბორგი | 1.60 | 1.35 |

| გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირ. დრო) | | | |
|---|---|---|---|
| 13431 | დაგენემი-ბრენტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 13432 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 1.60 | 2.00 |
| 13434 | ტრევიზო-გროსეტო | 1.70 | 1.90 |
| 13435 | სალერნიტანა-ბრეშა | 1.70 | 1.90 |
| 13437 | სტრასბური-ანჟე | 1.70 | 1.90 |
| 13438 | ცსკა-ტომსკი | 2.00 | 1.60 |
| 13439 | ტეპლიცე-სპარტა | 1.80 | 1.80 |
| 13440 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1.60 | 2.00 |
| 13441 | ტრომსიო-რუსენბორგი | 1.50 | 2.10 |

| გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2.(0:0 ითვლება წყვილად) | | | |
|---|---|---|---|
| 17431 | დაგენემი-ბრენტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17432 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17433 | თუნი-კონკორდია | 1.85 | 1.95 |
| 17434 | ტრევიზო-გროსეტო | 1.85 | 1.95 |
| 17435 | სალერნიტანა-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17437 | სტრასბური-ანჟე | 1.85 | 1.95 |
| 17438 | ცსკა-ტომსკი | 1.85 | 1.95 |
| 17439 | ტეპლიცე-სპარტა | 1.85 | 1.95 |
| 17440 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1.85 | 1.95 |
| 17441 | ტრომსიო-რუსენბორგი | 1.85 | 1.95 |

| რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი (ძირ. დრო) | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15431 | დაგენემი-ბრენტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15432 | ფრაიბურგი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15433 | თუნი-კონკორდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15434 | ტრევიზო-გროსეტო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15435 | სალერნიტანა-ბრეშა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15437 | სტრასბური-ანჟე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15438 | ცსკა-ტომსკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15439 | ტეპლიცე-სპარტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15440 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15441 | ტრომსიო-რუსენბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

უცხოური ფეხბურთი

# შეაფურთხა, არ შეაფურთხა, საკითხავი, აი, ეს არის აბა, ეს რა ფოტოებია?!



სესკ ფაბრეგასს, ცხადია, მიხაელ ბალაკთან ინციდენტიც გაუხსენეს

**ინგლისის** ასოციაციის თასის მეოთხედფინალურ მატჩში, რომელიც შუა კვირაში გაიმართა და „არსენალმა“ „ჰალი“ 2:1 დაამარცხა, ინციდენტი მოხდა: ნამატჩევს „მეთოფეთა“ კაპიტანმა სესკ ფაბრეგასმა მეტოქე გუნდის მეორე მწვრთნელს შეაფურთხა.

„ის, რომ „არსენალის“ კაპიტანმა ჩემს თანაშემწეს, ბრაიან ჰორტონს შეაფურთხა, ნათლად გვიჩვენებს, რასაც წარმოადგენს ეს კლუბი — თქვა „ჰალის“ მენეჯერმა ფილ ბრაუნმა — აღშფოთებულები ვართ, ბრაიანი კი ფიქრობს, შეიტანოს თუ არა საჩივარი ფეხბურთის ასოციაციაში.“

თავად სესკ ფაგრეგასმა, რომელსაც იმ მატჩში არც კი უთამაშია და სათადარიგოებშიც არ იყო, თქვა, მსგავსი არაფერი ჩამიდენიაო:

„ბრალდებას უარვყოფ. რა სისულელეა?! ცხოვრებაში არავისთვის შემიფურთხებია! ელემენტარულად, როგორ შევაფურთხებდი, როცა მოედანზე არც ვყოფილვარ. გასაგებია, რომ „ჰალი“ საკამათო გოლით დამარცხდა — მსგავსი რამ მეც არაერთხელ შემმთხვევია, მაგრამ უკმაყოფილების ასეთი ცილისწამებით გამოხატვა, არ შეიძლება. ბოლოს და ბოლოს, რა ჩემი ბრალია, მსაჯმა საკამათო გოლი თუ ჩათვალა?!

ამ ბრალდების მერე ისიც გამოხსენეს, თითქოს 2005 წელს ჩემპიონთა ლიგის მატჩში მიხაელ ბალაკს შევაფურთხე. ესეც ტყუილია. იმ ეპიზოდში ბალაკისკენ დავიხარე და რაღაც ვუყვირე, მაგრამ არ შემიფურთხებია“.

ფეხბურთის ასოციაცია ინციდენტის გამოძიებას აპირებს. ერთი რამ კი ამთავითვე გარკვეულია: ჩინოვნიკები არც მწვრთნელის და არც ფეხბურთელის განცხადებას ჭეშმარიტებად არ მიიღებს და ბლომად ხალხის დაკითხვას აპირებს.

„არსენალის“ გამარჯვების გოლისას კი ისე ჩანდა, რომ უილიამ გალასი ოფსაიდში იყო.

**ირაკლი ნინიძე**



სესკ ფაგრეგასი ამბობს, იქ არ ვყოფილვარო. აბა, ვინ არის ეს ბიჭი ჯინსებსა და ქურთუკში?!











## კვირის ტრავმები



**„ინტერის“** რუმინელი მცველი კრისტიან კივუ კუნთის ტრავმის გამო მწყობრიდან გამოვიდა და დაახლოებით, ერთი თვე ველარ ითამაშებს. კივუმ ტკივილი წინა კვირას, „ფიორენტინასთან“ მატჩისას იგრძნო და შეცვლა ითხოვა.

ბოლო ხანს კივუს ტრავმები ქრონიკულად მიეძალა და ამის გამო ევრო 2008-ის მერე ნაკრების ჩატარებული ხუთი მატჩიდან მხოლოდ ერთში ითამაშა.

მას ახლაც მოუწევს ორი შეხვედრის გამოტოვება: 28 მარტს სერბეთთან და 1 აპრილს ავსტრიასთან.

**„კიევოს“** ხანგრძლივი დროით გამოაკლდა ფორვარდი ფერნანდო მაკინვა. ფეხბურთელს ოთხთავა კუნთის ტრავმა აქვს და, სავარაუდოდ, ერთი თვე გაუცდება.

„კიევოსთვის“ ეს ერთადერთი დანაკლისი არ არის. ნახევარმცველი სიმონე ბენტივოლიო, ასევე კუნთის ტრავმის გამო, ორ კვირას გამოტოვებს. ეს სერიოზული დანაკლისია გუნდისთვის, რომელიც სერია A-ში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის.



**„ფეიენოორდის“** თავდამსხმელი იონ დალ ტომასონი რამდენიმე კვირას იუქმებს. წინა ტურში პსვ-სთან (1:0) მოგებული მატჩისას, მეორე ტაიმის მე-9 წუთზე, დალ ტომასონმა თეძო დაიშავა.

— ტრავმა არასდროს არის დროული — თქვა დალონებულმა ტომასონმა — ეს ტრავმა კი განსაკუთრებით გულდასაწყვეტია, რადგან სანაკრებო მატჩების გამოტოვებაც მომიხდება.

დანიის ნაკრები მალტას და ალბანეთს დალ ტომასონის გარეშე შეხვდება.

**„ესპანიოლის“** მცველმა სტივ ფინანმა კუნთი გაიჭიმა და მოედანზე ერთი თვე ველარ გავა.

სათქმელია, რომ „ლივერპულიდან“ ესპანეთში გადაბარგების მერე ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელს გამუდმებით აქვს ჯანმრთელობის პრობლემები. სექტემბერს აქეთ ფინანმა პრიმერადივიზიონის ოდენ ოთხ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

შეგახსენებთ, რომ „ესპანიოლი“ გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზეა.



**„მარსელმა“** სერიოზული დანაკლისი განიცადა — ნახევარმცველი ქარიმ ზიანი დაახლოებით, ერთი თვით გამოაკლდა. ალჟირის ნაკრების 26 წლის ფეხბურთელს დღეს საოპერაციო მაგიდაზეც დააწვენენ. მას საზარდულის ძველი ტრავმა გაუმიზეზდა.

გუნდის მთავარ მწვრთნელ ერიკ გერეტსს კი იმედი აქვს, ზიანი ფორმას მალე აღიდგენს და სეზონის ბოლო მატჩებში დაგვეხმარებაო. შეგახსენებთ, რომ „მარსელი“ კვლავაც განაგრძობს ბრძოლას საფრანგეთის ჩემპიონობისა და უეფას თასისთვის.

**„ტერეკის“** რუმინელი ლეგიონერი ფლორენტინ პეტრე ორ სანაკრებო მატჩს გამოტოვებს — ამის თაობაზე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვიქტორ პიცურკამ განაცხადა. ზუსტი დიაგნოზი ჯერ არ არსებობს, მაგრამ ეჭვი მუხლის მყესების დაზიანებაზეა.

პეტრე ნაკრებს ავსტრიასთან და სერბეთთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ვერ დაეხმარება.

## ქალმა პრეზიდენტი ციხეში გაუშვა



**ესპანური** „ხერესის“ პრეზიდენტი ხოაკინ ბილბაო ციხეში ჩააყუდეს. დაპატიმრების მიზეზი ის გახდა, რომ პრეზიდენტმა და მისმა მძღოლმა ერთ-ერთ ბარში სტუმრობისას სროლა ატეხეს. ბარს Jerez de la Frontera ჰქვია და მისი მეპატრონე რუსი ქალბატონი გახლავთ. ამ ქალბატონმა თქვა, ბილბაომ ჩემზე შურისძიების მიზნით ისროლაო.

კლუბის პრეზიდენტს ქალთან უჩხუბია, მერე გამოსულა, მანქანაში ჩამჯდარა და იქიდან დაუხვრეტია ბარის ვიტრინა.

უახლოეს დღეებში ამხანაგური სასამართლო კლუბშიც მოეწყობა, რომელზეც ბილბაოს გაკიცხავენ და პრეზიდენტობიდან გადააყენებენ.

გამოძიება კი მას იარაღის უკანონო ტარებაშიც ედავება.

**კოტე კეკელია**

## ალალმართალი ჯერარდი
### დაზარალებულმა კბილები თავისით ჩაიმტვრია?!

**პარასკევს**, როცა ლივერპულელები ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის წილისყრას გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს, მათი კაპიტანი სტივენ ჯერარდი სულ სხვა საქმით იყო დაკავებული: სასამართლოში ბრძანდებოდა.

ამბავს მოკლედ შეგახსენებთ: 29 დეკემბერს, „ნიუკასლის“ დამარცხების მერე (5:1) ჯერარდი და მისი მეგობრები პაბში შებრძანდნენ და გემრიელად მოილხინეს. დროსტარება კი იმით დასრულდა, რომ იმავე პაბში მყოფი ვინმე მარკუს მაკგი საავადმყოფოში მოხვდა ჩამტვრეული კბილებით და ჩალურჯებული სახით.

სტივენ ჯერარდის დანაშაული ყველა პუნქტში რომ დადასტურებულიყო, ფეხბურთელს 5-წლიანი პატიმრობა ელოდა.

სასამართლო ჩრდილოეთ სტეპტონის საგრაფოში ჩატარდა. ჯერარდი სხდომის დაწყებამდე 15 წუთით ადრე მისულა და დარბაზში მოსამართლის შესვლამდე სხვა ბრალდებულებთან: „აკრინგტონის“ ფეხბურთელებთან, იან დანბევინთან და რობერტ გრანტთან უმასლაათია.

მოსამართლემ კი ბრძანა, რომ მარკუს მაკგიზე თავდასხმაში ფეხბურთელები უბრალონი არიან, თუმცა არ არის გამორიცხული, ისინი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში დაადანაშაულონ.

მომდევნო სხდომა 3 აპრილს ჩატარდება, თუმცა ჯერარდს შეუძლია, მშვიდად იყოს — მთავარი ბრალდება უკვე მოეხსნა.



## აბა, ჩაიცვი კაბა!

**მწვრთნელთა** და ფეხბურთელთა საყურადღებოდ: ბრაზილიური „ფიგეირენსეს“ მწვრთნელმა რობერტო ფერნანდესმა დასჯის ფრიად ორიგინალური და, რაც მთავარია, ეფექტური მეთოდი მოიგონა — ფეხბურთელს, რომელიც ცუდად ითამაშებს ან ვარჯიშისას მწვრთნელის მითითებებს ზუსტად არ შეასრულებს, მომდევნო ვარჯიშზე კაბის ჩაცმას აიძულებს.

აბა, წარმოიდგინეთ, როგორი ეფექტური მეთოდია! როგორი საქმეა, კაბით რომ გახვალ და მთელი ვარჯიში თანაგუნდელების დაცინვას ისმენ...

რობერტო ფერნანდესის პირველი მსხვერპლი კი ნახევარმცველი ჟაირო გამხდარა და ახალი მეთოდის ეფექტურობაც მაშინ დამტკიცდა — მომდევნო მატჩში ჟაიროს ისე უთამაშია, კაცი უკეთესს ვერც ინატრებდა.

**კოტე კეკელია**



## ეგებ შვილმა უშველოს

**ტურინის** „იუვენტუსის“ ნახევარმცველ ჯულიანო ჯანიკედას მეუღლე ფედერიკა რიდოლფი მალე დედა გახდება, ჯანიკედა კი ამბობს, მთელი ცხოვრება ამაზე ვოცნებობდიო.

იტალიელი ჟურნალისტები ამბობენ, ეგებ შვილის დაბადებამ გამოუკეთოს ფეხბურთელს ხასიათი, რომლის კარიერაც, რა ხანია, დაღმა მიდისო.

**ოთარ მხეიძე**



# უეფას თასი 2008-09
## 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

# სანამ ახალი მფლობელი მოვა

— უეფას თასს ახალი პატრონი ეყოლება, რადგან „ზენიტმა" ტურნირს ხელი დაუქნია. სანკტპეტერბურგელებს აქამდე იტალიური კლუბისთვის გოლი არ გაეტანათ, „უდინეზეს" კი გაუტანეს და მოუგეს კიდეც, მაგრამ მეოთხედფინალს ვერ გასცდნენ;

— „ვერდერს" საფრანგეთში არასოდეს მოეგო და ვერც „სენტ ეტიენს" სძლია, რომელიც შინ ევროთასებზე 1982 წლიდან არ დამარცხებულა. ბრემენელებს კი მეოთხედფინალში გასასვლელად ფრეც ეყოთ;

— „მარსელი" და „აიაქსი" მეექვსედ შეხვდნენ ერთმანეთს ევროთასებზე. აქამდე თუ ორმატჩიანი დუელიდან გამარჯვებული „აიაქსი" გამოდიოდა, ამჯერად „მარსელი" გაძვრა;

— ევროთასებზე პირველი შიდაუკრაინული გარჩევა კიევის „დინამოს" გამარჯვებით დასრულდა;

— მოსკოვის ცსკა-ს უეფას თასზე ბოლო ცხრა მატჩში არ წაეგო და მეათეში დამარცხდა. ცხრიდან რვა მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა;

— „გალათასარაი" „ჰამბურგთან" დამარცხდა და შინ გერმანულ კლუბთან 1998 წლის მერე პირველად წააგო;

— პსჟ-მ პორტუგალიაში პირველად მოიგო. მანამდე სამი სტუმრობიდან სამჯერვე ხელცარიელი დაბრუნდა. „ბრაგა" ინტერტოტოდან შემორჩენილი ერთადერთი გუნდილა იყო უეფას თასზე;

— „მანჩესტერ სიტის" ამ სეზონში მეორედ შეხვდა დანიური გუნდი და ორივეჯერ პენალტების სერიაში იმარჯვა. მეორე შესარჩევ ეტაპზე „მიდტიულანდს" აჯობა, ამჯერად კი „ოლბორგს".

**ზენიტი 1:0 უდინეზე**

1:0 ტიმოშჩუკი (34)

ზენიტი: მალაფეევი, კიმ დონ ჯინი, კრიჟანეცი, შირლი (პუსტი 71), ფაიზულინი (თეკე 71), ტიმოშჩუკი, სემშოვი, დენისოვი, დანი, პოგრებნიაკი, ზირიანოვი

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

უდინეზე: განდანოვიჩი, საპატა, პასკუალე, ფელიპე, ლუკოვიჩი (ისლა 60), ასამოა, ინლერი, დაგოსტინო, პეპე, კვალიარელა, დი ნატალე (ობოდო 90)

მწვრთნელი: პასკუალე მარინო

გაფრთხილება: პეპე, კვალიარელა, კრიჟანეცი

მსაჯი: მარტინ ეტკინსონი (ინგლისი)

19 500 მაყურებელი

4 კარში დარტყმა 8
8 კარისკენ დარტყმა 5
14 ჯარიმა 16
12 კუთხური 9
6 თამაშგარე 3
54 ბურთის ფლობა 46
1 გაფრთხილება 2

**ოლბორგი 2:0 (პენ. 3:4) სიტი**

1:0 შელტონი (85), 2:0 იაკობსენი (90)

ოლბორგი: ზაზა, იაკობსენი, ბეშამი, ბეგელუნდი, ნილსენი, იენსენი (ნომვეტე 46), იოჰანსონი, აუგუსტინუსენი, რისგორი (ტრეისი 77), შელტონი, კაკა (კრისტინსენი 106)

მწვრთნელი: მაგნუს პერსონი

სიტი: გივენი, კომპანი (ელანუ 107), ონუოჰა, ბრიჯი (გარიდო 55), დანი, რიჩარდსი, აილენდი, საბალეტა, რაიტ-ფილიპსი, ევანსი, რობინიო (კაისედო 96)

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

გაფრთხილება: კომპანი, რისგორი, ბეშამი, რაიტ-ფილიპსი

მსაჯი: სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

10 734 მაყურებელი

5 კარში დარტყმა 4
8 კარისკენ დარტყმა 6
14 ჯარიმა 15
11 კუთხური 6
0 თამაშგარე 4
48 ბურთის ფლობა 52
2 გაფრთხილება 2

**აიაქსი 2:2დ.დ.(2:1) მარსელი**

1:0 ენოჰი (33), 1:1 ნიანგი (35), 2:1 სულეიმანი (74), 2:2 მირსი (110)

აიაქსი: ვერმერი, ოლიგერი, ემანუელსონი, სილვა, ალდერვეირელდი, შილდერი, ენოჰი (დე იონგი 112), აისატი (ლეონარდუ 97), ანიტა, სუარესი, სულეიმანი (კვიტანიჩი 104)

მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი

მარსელი: მანდანდა, ტაიბო, როდრიგესი, ილტონი, მირსი, შეირუ, ზუნდენი, მბამი, ვალბუენა (ზიანი 52), ნიანგი (სამასა 59), კონე (ბენ არფა 77)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: ვალბუენა, ილტონი, ნიანგი, სუარესი, როდრიგესი, შილდერი

გაძევება: სილვა (120)

მსაჯი: ფლორიან მაიერი (გერმანია)

47 650 მაყურებელი

5 კარში დარტყმა 2
5 კარისკენ დარტყმა 6
15 ჯარიმა 23
6 კუთხური 6
0 თამაშგარე 5
52 ბურთის ფლობა 48
2 გაფრთხილება 5

**სენტ ეტიენი 2:2 ვერდერი**

0:1 პრედლი (6), 0:2 პისარო (27), 1:2 ბენალუანი (64), 2:2 გრაკსი (90)

სენტ ეტიენი: ჟანო, ტალვარიდისი, ვარო, ბაიალ სალი, ბენალუანი, სოუ, დერნი, მაცუი (პაიე 80), ოკერი (მონსორო 72), მირალასი (გრაკსი 63), გომისი

მწვრთნელი: ალენ პერენი

ვერდერი: ვიზე, ბენიში, ნალდუ, პრედლი, მერტესაკერი, დიეგუ (პანტი 75), ოზილი, ფრინგსი, ნიმაიერი (ციოლისი 72), როზენბერგი, პისარო (ალმეიდა 86)

მწვრთნელი: ტომას შააფი

გაფრთხილება: ბენიში, მერტესაკერი, პისარო

მსაჯი: ალექსანდრუ დან ტუდორი (რუმინეთი)

33 522 მაყურებელი

2 კარში დარტყმა 5
5 კარისკენ დარტყმა 3
8 ჯარიმა 15
4 კუთხური 5
1 თამაშგარე 1
53 ბურთის ფლობა 47
0 გაფრთხილება 3

**ბრაგა 0:1 პსჟ**

0:1 ორო (81)

ბრაგა: ედუარდუ, ევალდუ, პერეირა, ლეონე, პეიშოტუ (სა 84), როდრიგესი, ალანი (მოსორუ 72), ვანდინიო, ბურგოსი, სეზარი (ჟორჟინიო 87), რენტერია

მწვრთნელი: ჟორჟე ჟესუსი

პსჟ: ლანდრო, კამარა, საკო (სეარა 46), არმანი, ტრაორე, სესენიონი, კლემანი, შანტომი, კეჟმანი (ორო 77), ლუინდულა, პანკრატი (მაბიალა 87)

მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

გაფრთხილება: პერეირა, ლეონე, საკო, არმანი

მსაჯი: კრეიგ ტომსონი (შოტლანდია)

16 371 მაყურებელი

2 კარში დარტყმა 2
14 კარისკენ დარტყმა 2
7 ჯარიმა 14
9 კუთხური 3
0 თამაშგარე 1
51 ბურთის ფლობა 49
2 გაფრთხილება 2

**მეტალისტი 3:2 დინამო**

1:0 სლუსარი (29), 2:0 კოელიუ (56), 2:1 საბლიჩი (68), 3:1 ასევედო (70), 3:2 ნინკოვიჩი (79)

მეტალისტი: გორიანოვი, პაპა, ბორდიანი (ბერეზოვჩუკი 72), ობრადოვიჩი, მაიდანა, დევიჩი (ოლეინიკი 58), ვალიაევი (ზეზე 83), ედმარი, სლუსარი, ასევედო, კოელიუ

მწვრთნელი: მირონ მარკევიჩი

დინამო: ბოგუში, ბეტაუ, საბლიჩი, კორეა (ნინკოვიჩი 60), ნესმაჩნი (გუსევი 68), ერიომენკო, მიხალიკი, ელკადური, ალიევი, კრავეცი (იუსუფი 85), მილევსკი

მწვრთნელი: იური სიომინი

გაფრთხილება: პაპა, მიხალიკი

მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)

26 000 მაყურებელი

4 კარში დარტყმა 3
9 კარისკენ დარტყმა 9
8 ჯარიმა 5
2 კუთხური 4
0 თამაშგარე 0
50 ბურთის ფლობა 50
1 გაფრთხილება 1

**შახტარი 2:0 ცსკა**

1:0 ფერნანდინიო (53პ), 2:0 ადრიანუ (71)

შახტარი: პიატოვი, კუჩერი, შევჩუკი, იშჩენკო, დულიაი, ფერნანდინიო (ვილიანი 90), ლევანდოვსკი, ჟადსონი (ილსინიო 78), სრნა, ადრიანუ (სელეზნიოვი 83), გლადკი

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

ცსკა: აკინფეევი, ვ. ბერეზუცკი, შჩენიკოვი, ა. ბერეზუცკი, შემბერასი, იგნაშევიჩი, მამაევი (რიჟოვი 77), ძაგოევი (კარვალიუ 66), ერკინი (ალდონინი 66), კრასიჩი, ვაგნერ ლავი

მწვრთნელი: ზიკო

გაფრთხილება: იშჩენკო, აკინფეევი, შემბერასი, სელეზნიოვი, რიჟოვი

მსაჯი: ბიორნ კაიპერსი (ჰოლანდია)

25 500 მაყურებელი

7 კარში დარტყმა 1
5 კარისკენ დარტყმა 2
14 ჯარიმა 19
9 კუთხური 3
4 თამაშგარე 6
63 ბურთის ფლობა 37
2 გაფრთხილება 3

**გალათასარაი 2:3 ჰამბურგი**

1:0 კეველი (42პ), 2:0 ბაროში (49), 2:1, 2:2 გერერო (57, 60), 2:3 ოლიჩი (90)

გალათასარაი: დე სანქტისი, იამანი, აქმანი, სარიოღლუ (ნონდა 86), სერკარი (ბაში 77), ოზბეკი, კეველი, ბალთა, ლინკოლნი (უმით ქარანი 66), ტურანი, ბაროში

მწვრთნელი: ბიულენთ ქორქმაზი

ჰამბურგი: როსტი, სილვა, მატიისენი, იანსენი, ბენჯამინი (გრავგორდი 80), ბოატენგი, პიტროიპა, ჟოგო, იაროლიმი, ოლიჩი (რინკონი 90), გერერო

მწვრთნელი: მარტინ იოლი

გაფრთხილება: ბოატენგი, როსტი, აქმანი

მსაჯი: პედრო პროენსა (პორტუგალია)

23 500 მაყურებელი

5 კარში დარტყმა 4
6 კარისკენ დარტყმა 6
16 ჯარიმა 10
6 კუთხური 4
2 თამაშგარე 1
50 ბურთის ფლობა 50
2 გაფრთხილება 3

## კვირის ტრავმები



**„სევილიას"** მცველი ჟულიენ ესკუდე ლაზარეთში მოხვდა და მოედანს ერთი კვირის მერეღა დაუბრუნდება.

ფეხბურთელმა წინა კვირას „მალაგასთან" მატჩისას (2:2) კუნთი გაიწყვიტა და შესაცვლელი შეიქნა. ამ სეზონში ესკუდემ ესპანეთის პრიმერაში 19 მატჩი ჩაატარა.

**„ვესტ ჰემის"** მცველმა მეთიუ აპსონმა პრემიერლიგის წინა ტურში ოდენ ნახევარი საათი ითამაშა, რის მერეც დაიმტვრა და მოედნიდან საკაცით გასაყვანი გახდა. ეს ამბავი 29 წლის მცველს „ვეს ბრომვიჩთან" მატჩისას შეემთხვა (0:0).

როგორც ექიმები ამბობენ, კუნთის ტრავმა სერიოზული არ არის, თუმცა რამდენიმე მატჩის გამოტოვება ფეხბურთელს მაინც მოუწევს. გამოსატოვებელ მატჩთა ნუსხაშია სანაკრებო შეხვედრაც, რომელიც 21 აპრილს გაიმართება და ინგლისის ნაკრები უკრაინას ხვდება.

**„ატალანტას"** ნახევარმცველმა კრისტიანო დონიმ კიდევ ერთი ტრავმა მიიღო და საქმეს სულ მცირე სამი კვირით ჩამოშორდა.

35 წლის ფეხბურთელმა სერია A-ს ამ სეზონში 24 მატჩი ჩაატარა და შვიდი გოლიც გაიტანა. მარცხენა ბარძაყის ტრავმა კი დონიმ „ტორინოსთან" მატჩისას მიიღო.

ვარაუდობენ, რომ ფეხბურთელი 11 აპრილს „ნაპოლისთან" მატჩში დაბრუნდება, იქამდე კი იუქმებს.



**„მონაკოს"** ნახევარმცველი ალეხანდრო ალონსო სეზონის დარჩენილ ნაწილს მუხლის ტრავმის გამო გამოტოვებს. ტრავმა კი ფეხბურთელმა „ტულუზთან" მატჩისას მიიღო, როდესაც შეიჰ მბენგს შეასკდა.

**რუსული** პრემიერლიგის პირველივე ტურში მოსკოვის „სპარტაკს" ერთბაშად სამი ფეხბურთელი დაემტვრა: 19 წლის მცველი ევგენი მაკეევი, 21 წლის მცველი ფიოდორ კუდრიაშოვი და 27 წლის ჰავბეკი სერგეი კოვალჩუკი.

ამათგან პირველს ორი-სამი კვირა უქმობა მოუწევს, დანარჩენი ორი კი მწყობრში ამ კვირაში ჩადგება.

**„ბოლტონის"** ნახევარმცველი მარკ დეივისი ფეხბურთს რამდენიმე კვირით ჩამოშორდა. „ფულემთან" მატჩის 68-ე წუთზე ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრი შესაცვლელი შეიქნა. მკურნალობის ზუსტ ვადას ექიმები ვერ აზუსტებენ.

# სამი გოლი და მრისხანება



**უნგრელი** ქალი მსაჯი კატალინ კულჩსარი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ჩაეწერა: საფინალო სასტვენის მერე წითელი ბარათი ხუთჯერ ააფრიალა.

ქალბატონ კულჩსარს უნგრეთის მესამე დივიზიონის მატჩის განსჯა მიანდეს, რომელშიც „ბადაცსონიტომაზი“ და „სელდიომეკი“ ხვდებოდნენ ერთმანეთს.

მატჩი სტუმრებმა 1:2 წააგეს და ნამატჩევს მსაჯობის თაობაზე უკმაყოფილება გამოთქვეს. ამის პასუხად კულჩსარმა დამარცხებულთა სამ ფეხბურთელს, მთავარ მწვრთნელს და მის თანაშემწეს წითელი ბარათი ამოუღო.

„სელდიომეკის“ პრეზიდენტმა კი განმარტა: „არბიტრმა სამი გოლი არ ჩაგვითვალა. თამაშის დასრულების მერე ჩვენი მწვრთნელები და ფეხბურთელები მასთან მივიდნენ და გოლების გაუქმების მიზეზი ჰკითხეს. ამ უბრალო კითხვამ მსაჯი განარისხა და ბარათები ჩამოარიგა.“

გაძევებულმა მთავარმა მწვრთნელმა იშტვან ბალჰშიმ კი ასეთი კომენტარი გააკეთა: „გამოდის, რომ ყველა, ვინც უნგრულ ფეხბურთში ვსაქმიანობთ, გიჟები ვართ.“ მწვრთნელისავე თქმით, მატჩის ვიდეოკასეტა ფეხბურთის ფედერაციას გაეგზავნა და მისი ნახვის მერე ფედერაციაში დარწმუნდებიან, რომ კატალინ კულჩსარი მსაჯობას საერთოდ უნდა ჩამოაშორონ.

**ქოტე ქექელია**

# ფურთხის ღირსი ხარ შენ, რონალდუ



**მოგეხსენებათ**, პოპულარობა სასიამოვნო, საპატიო მაგრამ ამავე დროს ფრიად უხერხული რამაა. ხოლო თუ ისეთ პიროვნებებზე ვილაპარაკებთ, როგორიც, ვთქვათ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუა, პოპულარობის სიამეც და ტვირთიც ორმაგდება.

აი, რა შეემთხვა პორტუგალიელ ფეხბურთელს რამდენიმე დღის წინ.

მანჩესტერის ცენტრში თავისი „ბენთლიდან“ გადმოსულ რონალდუს გზა მაწანწალამ გადაუჭრა, რომელიც არც ავტოგრაფებზე მონადირე გახლდათ და არც მშიერი — კითხვის მოყვარული აღმოჩნდა და ფეხბურთელს გაზეთის ყიდვა მოსთხოვა.

რონალდუმ ყური არ ათხოვა და გზა განაგრძო.

უკან მანქანასთან დაბრუნებულს, მაწანწალამ ისევ სთხოვა, გაზეთი მიყიდეო. რონალდუ მანქანაში ჩაჯდა. მაწანწალა მიხვდა, რომ გაზეთის წაკითხვა არ ეღირსებოდა და გაავდა. „ბენთლის“ აფურთხა, მანქანის პატრონი კი უწმაწური სიტყვებით შეამკო.

როგორც თვითმხილველები ყვებიან, რონალდუ რამდენიმე წამი გაშეშებული იჯდა მანქანაში, მერე კი გამოერკვა და „ბენთლი“ ადგილიდან მოწყვიტა.

ისიც ვთქვათ, რომ კრიშტიანუ რონალდუ პირად მცველთა სამსახურზე ჯიუტად უარს ამბობს.

**ქოტე ქექელია**

# თუკი ფლორენტინო დაუძახებს

**როპერტო კარლოსმა** თქვა, ეგებ „რეალში“ დავბრუნდეო. იქვე პირობაც დათქვა: ეს იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, კლუბის პრეზიდენტად ისევ ფლორენტინო პერესს თუ აირჩევენო.



შეგახსენებთ, ბრაზილიელმა მცველმაც და ყოფილმა პრეზიდენტმა „რეალი“ 2007 წელს დატოვეს. რობერტო კარლოსი მას მერე თურქულ „ფენერბაჰჩეში“ თამაშობს, ხოლო პერესი კვლავაც ცდილობს „რეალის“ პრეზიდენტის გამოთავისუფლებული სავარძლის დაკავებას.

რობერტო კარლოსი: „თუკი ფლორენტინო მეტყვის, რობერტო, დაბრუნდიო, დავჯდები და სერიოზულად დავფიქრდები ამ წინადადებაზე, რაკი არასოდეს გამომირიცხავს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მეორედ მისვლის შესაძლებლობა. დიახ, ფენერბაჰჩესთან“ კონტრაქტი მაკავშირებს, რომელიც ახლახან გავახანგრძლივე, მაგრამ ეს ფეხბურთია და ყველაფერი შეიძლება მოხერხდეს. ყველამ იცის, როგორ პატივს ვცემ ფლორენტინოს.

„რეალში“ 11 შესანიშნავი წელი გავატარე, რომლებიც საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში. თურქეთში ჩემი კარიერა დასასრულისკენ მიდის, მაგრამ „რეალში“ თუ დავბრუნდი, კვლავ ვიგრძნობ თავს დიდი მანქანის ნაწილად. თავდაუზოგავი შრომით ისევ ძველებურად ავთამაშდები და კარიერის დასრულებაზე აღარ ვიფიქრებ.

**ქოტე ქექელია**

# მკვლელობა მოედანზე

**წინა** კვირას ერაყში, პირდაპირ მატჩის მსვლელობისას მოკლეს სამოყვარულო „ბუჰაითარის“ მოთამაშე მუთანა ჰალიდი.

